# საერთო გაზეთი

№49 (233) • 5-11.XII.2012 წელი • გამოდის ოთხშაბათს • www.saertogazeti.com; E-mail: saertogazeti@yahoo.com • ფასი 1 ლარი

## kidev erTi nabiji aqeT, saqarTvelosken!



## me-9 arxidan `nacionalebis~ agentura garbis...

ერთი გამაგებინა, რომელმა „ჭკვიანმა“ ურჩია ბიძინა ივანიშვილს გენ. დირექტორად მაინცდამაინც კახა ბექაური დაენიშნა და რომელმა „პროფესიონალმა“ შთააგონა, ბექაური მაგარი „ტელევიზიონშიკია“ და თქვენს არხსაც ისე ააწყობს, თქვენ რომ გეკადრებათო?

## ლუკა კურტანიძე:

თუ მათგან გულწრფელი სინანული ვიგრძენი, ყველას შევუნდობ, იმათაც კი, ვინც რუსთაველზე, როგორც ბოლო ნაძირალა, ისე მათრიეს...





## კოხა არაბული:

## saakaSvili 5 ianvrisTvis unda ganidevnos saqarTvelodan!

## `arZaSi umosi ubeduri~...



„თუ ასე გაგრძელდა, ზუსტად სამეგრელოდან დაიწყება იმ გეგმის განხორციელება, რაც ნაციონალებს აქვთ ჩაფიქრებული“

რა უნდა ურჩიოს ყველაზე „ბასრმა ჩანგალმა“ და ქვეყნის უსექსობის დამტირებელმა მინისტრს?



ISSN 2233-3983

## cixis biznesi da ofSorSi gadasrolili milionebi

# sazogadoebrivi moZraoba `lazare~

## „ენა, მამული, სარწმუნოება, ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“



დღეს, როდესაც ქვეყანაში 2000-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია და 100-ობით პარტია არსებობს, რომლებიც წლების განმავლობაში დეკლარირებულად ერთი და იგივეს აცხადებენ, შეიძლება, საზოგადოებამ იფიქროს და თქვას: რა საჭიროა, კიდევ ერთი საზოგადოების ჩამოყალიბება? მაგრამ ასე არ ვფიქრობ მე და, პირველ რიგში, ის გამოჩენილი ქართველები, რომლებიც ჭეშმარიტად ერის გვირგვინს ქმნიან და მის სულიერ სიმდიდრეს წარმოადგენენ, სწორედ ამიტომაც ჩვენ, იმ ადამიანებმა, რომელთა სიაც ,,საერთო გაზეთში‘‘ იყო გამოქვეყნებული (თუმცაღა ამ სიას სიჩქარის გამო რამდენიმე გამოჩენილი ადამიანის სახელი და გვარი აკლდა, რისთვისაც პირადად მე ბოდიშს ვუხდი მათ), შევიკრიბეთ და ვეახლეთ საქართველოს პატრიარქს. მან დაგვლოცა და კურთხევა მოგვცა, რომ ვიღვაწოთ ქვეყანაში მშვიდობისა და ერის საკეთილდღეო საქმეების საკეთებლად. ჩვენს დროშაზე ექვსი სიტყვაა ამოტვიფრული – ენა, მამული, სარწმუნოება, ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. ეს სიტყვები ორ უდიდეს ქართველს ეკუთვნის – ილია ჭავჭავაძეს და ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს, და ისეა ერთმანეთში გადაჯაჭვული და შენივთებული, რომ პირდაპირ მიგვანიშნებს, რა გზით უნდა ვიაროთ.

ჩვენ ბოლომდე დავიცავთ სარწმუნოებას, ჩვენს ქართველობას და ყველაფერს ღირსეულს, რაც სისხლისა და დიდი ომების ფასად აქამდე მოიტანა ჩვენმა მამა-პაპამ.

ყველას, ვისაც გათავისებული აქვს ჩვენი მრწამსი და შეხედულებანი, გელოდებით, რათა დავაფუძნოთ საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ლაზარე‘‘, ეს სახელი შეირჩა სწორედ 27 სექტემბერს, როცა პირველად შედგა დიდი შეკრება ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით და დავარქვით ,,ლაზარე‘‘, იმიტომ, რომ 1 ოქტომბრის შემდგომ ნაცებისგან წაშლილი და გაუბედურებული საქართველო წამოდგა და წელში გასწორდა. თუმცა შიდა და გარე მტრები ყველანაირად ცდილობენ დააკნინონ ქართველი ხალხის გამარჯვება ძალადობაზე და სისასტიკეზე, ამიტომაც ვიმეორებთ, ქართველმა ხალხმა უნდა დაიბრუნოს ღირსება და, პირველ რიგში, დაიცვას თავისი ქართველობა. სხვა შემთხვევაში, ჩვენი გადაშენება გარდაუვალია.

როგორც პატრიარქი ბრძანებს: თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენშივე დავიცვათ ჩვენი წილი საქართველო და შევთხოვოთ უფალს, რომ საბოლოოდ გაგვიყვანოს სამშვიდობოს.

**7 დეკემბერს, საღამოს 18 საათზე, პარასკევს, თეატრის მოღვაწეთა კავშირში (მსახიობთა სახლი) შედგება საზოგადოება „ლაზარეს“ პირველი კრება.**

საზოგადოება „ლაზარეს“
დამფუძნებელთა სახელით —
**რეზო ამაშუკელი**

## სასჯელაღსრულების სამინისტრო ჯანდაცვის სფეროში ცვლილებების გეგმას საზოგადოებას 15 დეკემბერს წარუდგენს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ჯანდაცვის სფეროში ცვლილებების გეგმას საზოგადოებას 15 დეკემბერს წარუდგენს.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, პრაქტიკულად, გაძარცვულია ციხის რესპუბლიკური საავადმყოფო, რის გამოც პატიმრების სამკურნალოდ გადაყვანა გარე საავადმყოფოებში უწევთ.

,,ასევე ვერ შედის ძალაში, წინა მთავრობის მიერ საზეიმოდ გახსნილი ტუბერკულოზის ახალი ცენტრი, რადგან ის დაუმთავრებელია. ერთი თვე გვინდა იმისათვის, რომ შენობა ბოლომდე დასრულდეს, ერთი თვე კი იმისათვის, რომ დანადგარები შემოვიტანოთ. სავარაუდოდ, ცენტრი იანვრის ბოლოსთვის ამოქმედდება‘‘ - აღნიშნა სუბარმა.

## არჩილ კბილაშვილი: გირგვლიანის საქმეზე თაკო სალაყაია ჯერ არ დაკითხულა



მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებით, სანდრო გირგვლიანის საქმეზე ვანო მერაბიშვლის მეუღლის თაკო სალაყაიას დაკითხვა ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

დღეს ჟურნალისტებთან შეხვედრისას სალაყაიას დაუკითხაობის მიზეზად კბილაშვილმა მისი საქართველოში არ ყოფნა დაასახელა.

,,ამჟამად “ნაციონალური მოძრაობის” გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია საქართველოში არ იმყოფება. არც სანდრო გირგვლიანის და არც “გირგვლიანი 2”-ის საქმეზე სალაყაიას დაკითხვა ჯერ არ მომხდარა. გირგვლიანის საქმეზე უკვე დავკითხეთ ის ადამიანები და ის თანამშრომლები, რომლებიც ქვეყანაში იყვნენ და გამოძიებას შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდეს”, - განაცხადა კბილაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სანდრო გირგვილიანი 2005 წელს წამებით მოკლეს. მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე, მას შელაპარაკება მოუვიდა შსს მაღალჩინოსნებთან, რომლებთან ერთადაც მაშინდელი შს მინისტრის ვანო მერაბიშვილი მეუღლე თაკო სალაყაიაც იმყოფებოდა.

## კახა კუკავა: რუსეთი მზად არის დიალოგისთვის და არა კაპიტულაციისთვის

,,რუსეთში საქართველოსთან დიალოგისთვის მზადყოფნა არის, თუმცა რაღაც განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ არის”, - ეს განცხადება დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე მოსკოვიდან დაბრუნებულმა კახა კუკავამ გააკეთა.

“თავისუფალი საქართველოს” ლიდერის განცხადებით, ეს ხდება გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ერთგვარი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, როცა განაცხადა, რომ მოსკოვთან დიალოგისთვის მზად არის, ოღონდ დიალოგის დღის წესრიგი არ აქვს.

“იმიტომ, რომ არც საგარეო ვექტორს, არც ნატოს საკითხს, არც ოკუპირებული ტერიტორიების საკითხს, არც არაოკუპირებული ტერიტორიების საკითხს და არც სხვა საკითხებს ჩვენ არ განვიხილავთ და რა უნდა განიხილონ, არ ვიცი. უნდა გააცნობიეროს საქართველოს ახალმა მთავრობამ, ისევე როგორც ძველმა მთავრობამ, რომ რუსეთი მზად არის დიალოგისთვის და არა კაპიტულაციისთვის. თუ ვინმეს ასე წარმოუდგენია რუსულ-ქართული ურთიერთობები, რომ: გაიყვანეთ ჯარი ოკუპირებული ტერიტორიებიდან და დააბრუნეთ ჩვენი პროდუქცია რუსეთის ბაზარზე, ეს არის არა დიალოგი, არამედ ის, რომ რუსეთმა კაპიტულაცია გამოაცხადოს და კრემლზე აღმართოს თეთრი დროშა და ამისთვის, რა თქმა უნდა, მზად არ არიან. საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოამზადოს წინადადებათა პაკეტი, თუნდაც პირველი ეტაპისთვის, რომელშიც არ იქნება



ყველაზე უფრო წონიანი საკითხები, მაგრამ იქნება ერთგვარი ჟესტი, რომლეზეც განოხრციელდება ორი მხრიდან ერთმანეთის მიმართულებით გარკვეული მოძრაობა. საქართველოს ხელისუფლებას მართებს მეტი აქტიურობა და ძალისხმევა ამ მიმართულებით”, - განაცხადა მან.

## დათა ახალაიას, სოსო თოფურიძეს, ოლეგ მელნიკოვს და გერონტი ალანიას ორთვიანი პატიმრობა შეეფარდათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ დირექტორს, დათა ახალაიას, კუდ-ის ყოფილ თანამშრომლებს – სოსო თოფურიძეს, ოლეგ მელნიკოვს და გერონტი ალანიას, დაუსწრებლად, აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა.



ისინი უფლებამოსილების გადამეტაში, კერძოდ პოლიციელების ცემაში არიან ბრალდებულები. დათა ახალაიას თავისუფლების უკანონო აღკვეთაშიც ედება ბრალი.

როგორც ცნობილი გახდა, ამჟამად არც ერთი ბრალდებული საქართველოში არ იმყოფება. კუდ-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა დათა ახალაიამ და სოსო თოფურიძემ ქვეყანა 2012 წლის 5 ოქტომბერს დატოვეს, ოლეგ მელნიკოვი 2010 წლის დეკემბერიდან, ხოლო გერონტი ალანია 2012 წლის 22 ოქტომბიდან საქართველოში არ იმყოფებიან.

დღევანდელ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარე ითხოვდა, არც ერთი ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიები არ გამოეყენებინათ. მათი თქმით, საქმეში არ არსებობდა მტკიცებულებები, დარღვეული იყო აგრეთვე, ბრალის წაყენების პროცედურები.

წინა სასამართლო სხდომა 2013 წლის 16 იანვარს გაიმართება.

## სასწრაფო დახმარების ექიმებმა გამოძახებებზე დაგვიანების მიზეზები განმარტეს




თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების თქმით, გამოძახებებზე დაგვიანებას სამედიცინო აპარატურის სიმწირე, ავტოპარკისა და მედპერსონალის სიმცირე იწვევს, რის გამოც პაციენტთა საყვედურები დღითიდღე იზრდება.

მედპერსონალი არსებული პრობლემის დროულად გადაჭრას ითხოვს, რადგან როგორც მათ განაცხადეს, მათ ინტერესებში შედის გამოძახებაზე დროულად მისვლა და დახმარების აღმოჩენა.

როგორც სასწრაფო დახმარების ექიმებმა დღევანდელ პრესკონფერენციაზე ”მაესტროს” პრესკლუბში განაცხადეს, ჯანდაცვის მინისტრს დავით სერგეენკოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ პრობლემებზე უკვე ესაუბრნენ.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# კვირის ჩანაწერები

## განსაცდელი



– ჩემი ქვეყანა განსაცდელშია, მაგრამ მე ჩემს ქვეყანას განსაცდელში არ მივატოვებო, – თქვა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელიც პრეზიდენტობასთან ერთად შეთავსებით ოპოზიციონერიც არის.

მას არ დაუკონკრეტებია, რატომ არის ქვეყანა განსაცდელში და საიდან უნდა ველოდოთ ამ განსაცდელს – გარედან, შიგნიდან თუ ერთდროულად ორივე მხრიდან?

დიახ, სააკაშვილს არ დაუკონკრეტებია, რა განსაცდელს გულისხმობდა იგი, მაგრამ მეც და ჩემსავით, ალბათ, სხვებიც მშვენივრად ვხვდებით, რა საფრთხეებზე „გვინამიოკებს“ ჩვენი ოპოზიციონერი პრეზიდენტი.

როგორც ჩანს, საქმე ეხება თვით „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი ლიდერის მიერ დაყრილ ჭორებს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილი ცდილობს შეცვალოს პოლიტიკური კურსი და გეზი დასავლეთის ნაცვლად რუსეთისკენ აიღოს.

მიუხედავად არაერთი განცხადებისა და განმარტებისა, მიუხედავად ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯებისა, „ნაცმოძრაობის“ მიერ აგორებული ეს ჭორი დღემდე ვერ ჩაცხრა.

ვერ ჩაცხრა იმიტომ, რომ ჩვენი ოპოზიციონერი პრეზიდენტი და მისი გუნდი გამალებული მუშაობენ იმისთვის, რომ მათ მიერ შეთითხნილი ეს ჭორი დასავლეთს რეალობად მოაჩვენონ და ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნან, თითქოს საქართველო ხვალ-ზეგ ზურგს შეაქცევს ნატოს, აშშ-ს, ევროპას და რუსეთს ჩაუსკუპდება კალთაში.

**„ნაცმოძრაობა“ ცდილობს კიდევ ერთხელ მოატყუოს მის მიერ ბევრჯერ მოტყუებული დასავლეთი, რომ ერთადერთი გარანტი, ერთადერთი ძალა, რომელიც ბოლომდე უერთგულებს დასავლეთს, მხოლოდ და მხოლოდ „ნაცმოძრაობაა“, სხვები კი რუსეთუმეები არიან.**

აი, ეს პრიმიტიული და თეთრი ძაფით ნაკერი სიცრუე რატომღაც სიმართლედ ეჩვენებათ ვიღაც-ვიღაცებს დასავლეთში და საქართველოში აქოშინებულნი ჩამორბიან, რომ „საგანგაშო“ სიტუაცია როგორმე დააგულირონ და ქვეყანა განსაცდელისგან „იხსნან“.

არადა, ერთადერთი განსაცდელი საქართველოსთვის ისევ და ისევ „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელიც ვერა და ვერ ეგუება დამარცხებას და პოლიტიკური საფლავიდან ხელახლა ცდილობს წამოდგომას, ამ მიზნის განსახორციელებლად კი საკუთარ ქვეყანას მტრობს და საერთაშორისო ასპარეზზე ყალბ ინფორმაციებს ავრცელებს.

**როგორც ჩანს, ახალ ხელისუფლებას მოუწევს ბოლომდე თქვას სიმართლე და სააკაშვილის რეჟიმს ზუსტი პოლიტიკური შეფასება მისცეს.**

**მტკივნეული იქნება ეს დასავლეთისთვის, ძალიან მტკივნეული, მაგრამ სხვა გზა სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს.**

## მოკვეთილები



– ჩვენ მათ არ მოვექცევით ისე, როგორც ისინი ამას იმსახურებენ. ჩვენ მოვექცევით ისე, როგორც ეს ქართველ ხალხს, მის კულტურას და ისტორიას ეკადრებაო, – თქვა ბიძინა ივანიშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ მისამართით.

მაინც როგორ იქცეოდა ქართველი ხალხი იმ დროს, როცა ადამიანები დანაშაულს ჩადიოდნენ და საუკუნეებით დადგენილ ადათ-წესს არღვევდნენ?

როგორ იქცეოდა და შეიკრიბებოდა თემი და დამნაშავეს მოიკვეთდა!

არც იჭერდნენ. არც საპროტესტო გარიგებას სთავაზობდნენ, არც გირაოს ითხოვდნენ. უბრალოდ, მოიკვეთდნენ.

ოღონდ სანამ ეს უმკაცრესი სიტყვა „მოიკვეთოს“! ითქმოდა, მანამდე სოფლის კითხული კაცები დაწვრილებით გამოიკვლევდნენ ბრალდებულის ბრალეულობას და განაჩენი მხოლოდ ამის შემედგ გამოჰქონდათ.

**რომ დაფიქრდე, თუნდაც თანამედროვე მართლმსაჯულებასთან შედარებით, როგორი ბრძნული, ღრმად ფილოსოფიური და შორს გამიზნული განაჩენია — არც იჭერ, არც სიცოცხლეს ართმევ, უბრალოდ, მოიკვეთ, თავის ცოდვას და დანაშაულს ზურგზე აჰკიდებ და მარტოს უშვებ თავის გზაზე.**

მოკვეთა იმაზეც მიგვანიშებს, რომ ადამიანისთვის ყველაზე დიდი სასჯელი თავისიანებიდან, თავისი სისხლ-ხორციდან, თავისი სამშობლოდან გარიყვა და გაძევებაა.

თემის წინ სოფლის უხუცესი საბრალდებო დასკვნას წარმოთქვამდა: მოიკვეთოს ესა და ეს სოფელ-თემიდან ამის და ამის გამო და ამიერიდან წყეულიმც იყოს, ვინც მას გამარჯვება უთხრას, წყვეულიმც იყოს, ვისაც პური შიოდეს და პური მიაწოდოს, წყალი წყუროდეს და წყალი ასვას, სციოდეს და გაათბოს.

სიყვარულიდან მოკვეთაა ეს, სიყვარულზე, თანადგომაზე და თანაალმობაზე უარის თქმაა.

აი, ასე ექცეოდა ქართველი ხალხი დამნაშავეს.

**თუ ქართველი ხალხის წეს-ადათის მიხედვით ვაპირებთ მოვექცეთ „ნაციონალებს“, მაშინ რატომ გვისხედან ესენი პარლამენტში, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში და რატომ ვაძლევთ უფლებას აქეთ გვმოძღვრონ და გვამუნათონ?**

როგოც ამბობენ, მალე შეიძლება რაღაც ამნისტიის მაგვარი რამ გამოიცეს სპეციალურად „ნაციონალი“ დამნაშავეებისთვის.

– ყველასთვის არა, მაგრამ შედარებით მსუბუქი დანაშაულებისთვის შეიძლება რაღაც შეღავათები დაწესდესო, – გვეუბნებიან.

რას ვიზამთ, ყველა დამნაშავე „ნაციონალი“ რომ დაიჭირონ, კიდევ რამდენიმე ციხე გვექნება ასაშენებელი.

ვისაც ამნისტია არ შეეხებამ იმათ რა ვუყოთ?

რა ვუყოთ და ისე მოვექცეთ, როგორც ქართველი ხალხის ტრადიციებს, მის ზნესა და კულტურას ეკადრება...



# kidev erTi nabiji aqeT, saqarTvelosken!

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – ასე ერქმევა ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც „ქართული ოცნებისა“ და „ეროვნული ფორუმის“ შერწყმის შედეგად უნდა დაიბადოს.

პარტიებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და უახლოეს ხანებში, როგორც ამბობენ, დეკემბრის ბოლოს, ახალი პარტიის დამფუძნებელი ყრილობაც გამართება.

აი, ასეთია ის ძუნწი და მშრალი ინფორმაცია, რაც ერთი კვირის წინ გაჟღერდა.

ამ ფრიად საინტერესო, მე ვიტყოდი, სენსაციურ ინფორმაციას, ჩემდა გასაკვირად, არც პოლიტიკური წრეების, არც მასმედიის, არც საზოგადოების მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია – არც შეფასებები, არც ანალიზი, არც დისკუსია, არც კომენტარები, არც პროგნოზი.

არადა, ვფიქრობ, ამ ორი პოლიტიკური ძალის შერწყმით უაღრესად მნიშვნელოვანი რამ ხდება ქართული პოლიტიკური თეატრის სცენაზე.

* * *

სააკაშვილის რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიების, უამრავი ხელოვნური დაბრკოლების, კოლოსალური საჯარიმო სანქციების, დევნის, შევიწროების მიუხედავად ბიძინა ივანიშვილმა მაინც მოახერხა შეექმნა რამდენიმე პოლიტიკურ სუბიექტისგან შემდგარი საკმაოდ მრავალფეროვანი კოალიცია, რომელმაც, როგორც მოგეხსენებათ, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და აი, ამ გამარჯვებიდან სულ რაღაც თვენახევარში კეთდება განცხადება, რომ „ქართულ ოცნებას“ უერთდება „ეროვნული ფორუმი“ და იქმნება ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია.

ვიყოთ მართლები და პატიოსნად ვაღიაროთ, რომ ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიებიდან დამოუკიდებლად ბევრი ვერ მოახერხებდა გამარჯვებას კი არა საარჩევნო ბარიერის გადალახვასაც კი.

ყველაფერი გადაწყვიტა ერთი კაცის, ბიძინა ივანიშვილის, ფაქტორმა.

სინამდვილეში ამ ერთმა კაცმა, რა თქმა უნდა, ქართველ ხალხთან ერთად, მოიპოვა ეს ნანატრი გამარჯვება.



**ფაქტობრივად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იქნებოდა ამ კოალიციაში – წულოვანი რეიტინგის მქონე რომელიმე პარტია, პარტიად წოდებული რამდენიმე კაციანი დაჯგუფება თუ პოლიტიკური წრეებისთვის საერთოდ უცნობი სუბიექტი – გამარჯვება მაინც გარანტირებული იყო, რადგან კოალიციას ბიძინა ივანიშვილი ედგა თავკაცად.**

როგორც ჩანს, ბევრს უკვე დაავიწყდა როგორ და რანაირად მოხვდნენ პარლამენტში და, ცოტა არ იყოს ყინჩად და ქედმაღლურად გადმოგვხედავენ ხოლმე „მაღლიდან“.

ნურც იმას დავმალავთ, კოალიციაში შემავალ ზოგიერთ პარტია ქართველ ხალხს ხაზგასმულად არ უყვარდა და დღემდე ხაზგასმულად არ უყვარს, თუმცა როგორც ბიძინა ივანიშვილის ფავორიტებს, მაინც ითმენს.

ქართველ ხალხსა და ივანიშვილს შორის თითქოს უსიტყვო გარიგება და შეთანხმება მოხდა.

რომლის მიხედვითაც ქართველი ხალხი ბოლომდე ენდო ბიძინა ივანიშვილს და მის მიერ წარდგენილ პერსონებს უსიტყვოდ და უაპელაციოდ დაუჭირა მხარი, თუმცა ზოგიერთი მათგანის მიმართ სულაც არ იყო სიმპათიით განწყობილი.

მალე ერთმა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ იჩინა თავი – კოალიციაში შემავალ პარტიებს ზედმეტად გამძაფრებული პირადულ-ეგოისტური ინსტინქტები აღმოაჩნდათ და ყველამ ცალ-ცალკე იწყო საბნის თავისკენ გადაქაჩვა და საკუთარი კადრების წინ წამოწევასა და დასაქმებაზე ფიქრი.

შიდა კონკურენცია, შიდა დაპირისპირება საერთო სივრციდან საკუთარი თავისთვის რაც შეიძლება მეტი სივრცის დასაუფლებლად და მოსაკავებლად, მართალია, გარედან ნაკლებად ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ეს დაპირისპირება და ეს კონკურენცია ნამდვილად არსებობს.

**ყოველივე ამან საგრძნობლად შეავიწროვა და ერთგვარ წნეხში მოაქცია თავად ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნება“.**

განსაკუთრებით თვალში საცემია ეს რეგიონებში, სადაც „ქართულ ოცნებას“ და მის აქტივისტებს ზოგჯერ ერთდროულად უტევენ „ნაციონალებიც“ და კოალიციაში შემავალი სხვა პარტიებიც.

**იმის თქმა არ გვინდა, რომ კოალიციის წევრი პარტიები ბიძინა ივანიშვილს ებრძვიან.**

**არა, ისინი ივანიშვილს არ ებრძვიან, მაგრამ იბრძვიან საკუთარი პრაგმატული ინტერესების განსახორციელებლად და პოზიციების გასამყარებლად,**

რაც, საბოლოო ჯამში, მაინც ივანიშვილის, უფრო ზუსტად, მისი პარტიის წინააღმდეგ გალაშქრებად აღიქმება.

ყოველივე, ეს სამართლიან გულისწყრომას და უკმაყოფილებას იწვევს იმ ადამიანებში, რომლებიც „ქართული ოცნების“ წევრები და, აქედან გამომდინარე, უშუალოდ და პირდაპირ კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები არიან.

**გამოდის, რომ „პოლიტიკური ხიზნები“ სახლის მესაკუთრეს, მის ამშენებელს და საძირკვლის ჩამყრელს, ნებსით თუ უნებლიეთ, ავიწროვებენ და სახლის ყველა კუთხე-კუნჭულის დასაკუთრებას და დაპატრონებას ცდილობენ.**

ეს რომ ასე მოხდებოდა, ამის განჭვრეტა თავიდანვე არ იყო ძნელი და პრევენციული ზომების მიღება, რა თქმა უნდა, მაშინათვე ჯობდა, თუმცა არც ახლაა გვიან...

– მხოლოდ ორი ადამიანის დასაქმება მოვახერხე, – განაცხადა ამასწინათ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ.

ამ ნათქვამში შესანიშნავად ჩანს ის ზოგადი სურათი, რაც კოალიციაშია შექმნილი...

ძალიან ბევრი რამ გააკეთა, ძალიან ბევრი გასცა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური მოკავშირეების ამბიციების დასაკმაყოფილებლად, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამას არ იმსახურებდნენ. დაუმსახურებლად გაცემული სიკეთე კი ყოველთვის ისჯება უმადურობით...

* * *

– რატომ მაინცდამაინც „ეროვნული ფორუმი“ და არა თქვენ? – ჰკითხეს ლევან ბერძენიშვილს.

– „ეროვნულ ფორუმს“ უფრო მეტი აქვს საერთო „ქართულ ოცნებასთან“... ჩვენც ბევრი გვაქვს საერთო, მაგრამ მათ უფრო მეტი აქვთ – იყო პასუხი.

მართალია ბატონი ლევანი – „ეროვნულ ფორუმს“ თავისი მრწამსით და იდეოლოგიით გაცილებით მეტი რამ აკავშირებს „ქართულ ოცნებასთან“, ვიდრე, ვთქვათ, „რესპუბლიკელებს“, თუმცა „რესპუბლიკებს“ „ქართული ოცნების“ ლიდერის მიერ მოპოვებული გამარჯვებიდან გაცილებით მეტი წილის მიღების სურვილი აქვთ, ვიდრე სხვებს.

„ეროვნული ფორუმი“ ყოველთვის იყო ეროვნული ძალა, ეროვნული ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური ორგანიზაცია.

„ქართული ოცნების“ არჩევანი და არჩევანი „ეროვნული ფორუმისა“, თამამად შეიძლება ითქვას, ზუსტად ემთხვევა ქართველი ხალხის სურვილს და მოთხოვნას.

**ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც კარგა ხანია გვაკვირვებს პოლიტიკური გამჭრიახობით და მოულოდნელი სვლებით, კიდევ ერთი ნაბიჯი გადმოდგა აქეთ, საქართველოსკენ და ქართველი ხალხისკენ.**

## ბაჩო ახალაია და ირაკლი ოქრუაშვილი ერთ შენობაში არიან მოთავსებული





საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი ბაჩო ახალაია და ირაკლი ოქრუაშვილი სასჯელს ამჟამად თბილისში, აბუსერიძე ტბელის (ყოფ. მატროსოვის) ქუჩაზე მდებარე ერთ დაწესებულებაში იხდიან.

როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე სასჯელაღსრულების, პრობაციიისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, მას შემდეგ რაც ტბელის ქუჩაზე მდებარე დაწესებულება გარემონტდა, ბაჩო ახალაია იქ გადაიყვანეს.

„გუშინ ბაჩო ახალაია მატროსოვის დაწესებულებაში გადავიყვანეთ. გუშინვე სასამართლო პროცესის შემდეგ ამავე დაწესებულებაში ირაკლი ოქრუაშვილის გადაყვანაც მოხდა. ეს არის ის შენობა, სადაც მათი უსაფრთხოება იქნება დაცული. გამუდმებით მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი. ოქრუაშვილი და ახალაია ერთმანეთისგან დაშორებით არიან და მათ ერთმანეთთან კონტაქტი არ უწევთ“, აღნიშნა სუბარმა.

როგორც სუბარმა აღნიშნა, მატროსოვის დაწესებულება ერთსართულიანი და აქედან გამომდინარე ბაჩო ახალაია და ირაკლი ოქრუაშვილი იმ შენობაში ერთ სართულზე იმყოფებიან.

ცნობისათვის: ე.წ. მატროსოვის დაწესებულებაში სასჯელს სახელმწიფო პირები და მაღალჩინოსნები იხდიან.

„მედიანიუსი“

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `arvelaZis biznesi~

სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება, ძველ, ფაშისტურ ხელისუფლებასთან ერთგვარად თავის მართლების რეჟიმში ჩადგა და პარლამენტის სხდომათა დარბაზი იქნება ეს თუ სატელევიზიო დებატები, მუდმივად თავს იცავს. არადა, ამის შემყურე გაღიზიანებული ქართველობა, ლამისაა ისევ ქუჩაში გამოვარდეს, ისევ ახალი არჩევნების მოთხოვნით გამოვიდეს და რაც ყველაზე მთავარია — ორივეს, უმრავლესობასაც და ე.წ. „უმცირესობასაც“ დაანახოს, რომ ამ ქვეყანაში მთავარი სწორედ ხალხია და სწორედაც, რომ ხალხის მოთხოვნით უნდა იქნეს ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებული, რადგან ბევრი სხვა „პოლიტიკოსისგან“ განსხვავებით, სააკაშვილის ნაცისტურმა რეჟიმმა — მხოლოდ საქართველოს მოსახლეობა აზარალა და ზედ საქართველოს ტერიტორიებიც მიაყოლა, ათასობით გამოდევნილი ოჯახების თანხლებით! ამას ისიც ადასტურებს, რომ პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ამასწინდელ ბრიფინგზე ასეთი ფრაზა თქვა: „პროკურატურასთან უშველებელი რიგებია, ნაც. მოძრაობისგან გამწარებული ხალხის მიერ შემოტანილ საჩივრებს ბოლო არ უჩანს. ჩვენ, ალბათ, ძალიან დიდ დროს მოვანდომებთ თითოეული განცხადების განხილვას“-ო და ეს აბსოლუტური სიმართლეა, რადგან „დიდი შიშიანობის“ ეპოქაში ძალიან ბევრი ადამიანი საკუთარი აზრის თუ წართმეულის შესახებ საერთოდ არ საუბრობდა, ანდა მიწაში ჩაჰქონდა საკუთარი ბოლმა, რომელიც ერთგვარი უძლურებით იყო გამოწვეული. ბატონებო. ერთია, როცა კონკრეტული მოქალაქე დაზარალდა, გაღატაკდა, მათხოვრად იქცა და ჩივის, ხოლო მეორეა როცა სახელმწიფოსაც იგივე დაემართა გაუმაძღარი „ნაც. ვირთხების“ გამოისობით, მაგრამ სახელმწიფო ქონება, სახელმწიფო ბიუჯეტი, სტრატეგიული ობიექტები და მილიარდობით დაგროვილი საგარეო ვალი, ფეხს ხომ ვერ აიდგამს და ხომ ვერ მივა პროკურატურის კანცელარიაში — არიქა, ჩვენც დავზარალდით, ჩვენც კაპიკ-კაპიკ გამოგვხრა ნაცისტურმა რეჟიმმა და მოგვხედეთ, შეგვისწავლეთო?

ქართული პრესა წლების განმავლობაში ჟურნალისტური გამოძიებისაკენ ილტვოდა და სურდა, რომ დოკუმენტურად გამოემზეურებინა „ნაცების“ გაუმაძღარი სტომაქი, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, კონკრეტული ჟურნალისტის ინტერესში მოხვედრილი ჩინოვნიკი პრესასთან არ თანამშრომლობდა, ხოლო მისი ე.წ. პრესცენტრის ხელმძღვანელი მაქსიმალურად ცდილობდა არ ეპასუხა ჩვენს სატელეფონო ზარებზე და თუ უპასუხებდა, ისეთ სისულელეს გეტყოდა, ჯობდა, არ დაგერეკა! სამაგიეროდ, პრესასთან ურთიერთობა არ უჭირდა არც მაშინდელ ოპოზიციას და არც უმრავლესობას, პირიქით, თუ დაკავებული იყვნენ, მოგიბოდიშებდნენ და მათთვის ხელსაყრელ დროს გთხოვდნენ დარეკვას, თუ არადა, უკიდურეს შემთხვევაში, შეხვედრის ადგილს გინიშნავდნენ და ინტერვიუ იქნებოდა თუ ვრცელი კომენტარი, უპრობლემოდ კეთდებოდა.

ცნობილია, რომ ესა თუ ის ინფორმაცია, ხშირ შემთხვევაში, პრესასთან უფრო ადრე მიდის, ვიდრე კონკრეტულ უწყებასთან, მაგრამ თუკი ადრე, რომელიმე კონკრეტულ ინფორმაციის გადამოწმებას ჟურნალისტები მაქსიმუმ ერთ საათს ვანდომებდით, დღეს ასე არ ხდება და მეტიც — მთელი დღე რომ რეკო რომელიმე ჩინოვნიკის ძლივს მობილურზე (თუ ქალაქის ტელეფონზე), არავინ გპასუხობს და თუ გპასუხობს ძალიან უხეშად და ძალიან კატეგორიულად: „ჩემი ტელეფონის ნომერი, ვინ მოგცათო“, არადა, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში მართლაც რომ ექსკლუზიური დოკუმენტაცია გამოვფინეთ სამზეოზე, სადაც შავით თეთრზე იყო დაწერილი, თუ რა დანაშაულებრივ, კრიმინალურ გადარიცხვებს აწარმოებდა ერთ-ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია, „ნაც.მოძრაობის“ თვალსაჩინო წარმომადგენლის, ყოფილი ჩინოვნიკისა და



სულ ბოლოს ტელეკომპანია „იმედის“ შეფის საკუთრებაში არსებული შპს „აი-პი-აი“-საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტში“. ჩემს მიერ მომზადებულ სტატიაში, რასაკვირველია, არ მივუთითებდი ინფორმაციის წყაროს, მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ მოპოვებული დოკუმენტი ზღვაში წვეთი იყო იმ დოკუმენტებთან შედარებით რომელიც ჩემს ინფორმატორს გააჩნდა და ვწერდი იმასაც, რომ ეს პიროვნება „შარახვეტია ინტრიგანი კი არა, ყოფილი ჩინოვნიკია და დოკუმენტებით შეუძლია დაადასტუროს, თუ როგორ იპარავდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარს, „ნაც.ხელისუფლება“-თქო! ახლა იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პიროვნების უსაფრთხოება ეჭვის ქვეშ დგას — ფაქტია, მაგრამ ძვირფასო ახალო ხელისუფალნო, როცა გაზეთში გიბეჭდავთ უტყუარ მტკიცებულებას, როცა მოგიწოდებთ, რომ სასწრაფოდ მიიღოთ ზომები აღნიშნული ფინანსური აფიორის შესახებ და რაც ყველაზე მთავარია, გაწვდით მაღალ „პადაჩას“ ნაცისტების დასატოპკად — დღეების განმავლობაში რატომ არ იღებთ ტელეფონებს და თუკი შემთხვევით გვიპასუხეთ, ეგრევე რატომ გვიცილებთ თავიდან? ხომ ფაქტია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარი კომპრომატები ან წაშალა, ანდა დაწვა? თქვენც ხომ კარგად დაინახეთ „ინფო 9“-ის მიერ გადაღებულ კადრებში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე „დოკუმენტების კოცონი“ როგორ გიზგიზებდა? დალოცვილებო, პრესა „ნაც.ხანძრები“-დან გადარჩენილ ფაქტებს გთავაზობთ და არც ინტერესდებით, რამდენიმე მილიონი, უფრო სწორად კი 23 მილიონი მხოლოდ ერთი სახელმწიფო უწყებიდან სად გააქრო „ნაც.მოძრაობამ“ და ვის ჯიბეში გადაამისამართა?

ჰოდა, ვიდრე თქვენ პრესას არ კითხულობთ და ჩვენ, პრესის თანამშრომლებს არ გვეკონტაქტებით, „ნაც.მოძრაობა“ და მათი ქოლგის ქვეშ მყოფი „შპს“-ები, ახალ-ახალ მზაკვრობებს სჩადიან და ყოველგვარი მორიდების გარეშე რეცხავენ იმ კვალს, რომლის წყალობითაც ბევრი ფული იშოვეს და კიდევ ბევრს იშოვიან, თუკი თქვენ სათანადო რეაგირებას არ მოახდენთ, ყველა გამოქვეყნებული ფაქტის შესახებ.

მაშ ასე, კიდევ ერთი სკანდალური დოკუმენტი „საერთო გაზეთი“-ს ფურცლებზე. — ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ „შპს აი-პი-აი“ საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტი“ რეგისტრირებულია 13.02.2008 წელს ქ.თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი, №22, ბინა 2-ში და მისი მფლობელები 50-50 წილით კახაბერ გიგიტელაშვილი და გიორგი არველაძე არიან. როგორც „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში ვიუწყებოდი, აღნიშნულ „შპს“-ს, არაერთი საბიუჯეტო ორგანიზაციიდან თითქმის ყოველთვიურად ერიცხებოდა ათასობით ლარი და, როგორც ჩემი „წყარო“ მეუბნებოდა, გიორგი არველაძის „შპს“ ერთგვარ ფინანსურ გამტარს წარმოადგენდა ბიუჯეტიდან ფინანსების უკანონო გადინების და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის მშობელი დედის, გიული ალასანიას პირად ანგარიშს შორის. „საერთო გაზეთში“, აგრეთვე გამოქვეყნდა უტყუარი დოკუმენტი, რომელშიც თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ გადაირიცხა აღნიშნულ „შპს“-ში 15 000 ლარი საბიუჯეტო ორგანიზაციიდან, მაგრამ დღეს ნახეთ რა ხდება? „ნაცებმა“ იყნოსეს რა საფრთხე — ახლა უკვე საჯარო რეესტრიდან დაიწყეს დოკუმენტების გაქრობა-ჩასწორება და უკვე 12 ოქტომბერს, ანუ არჩევნების წაგებიდან მე-12 დღეს თავის უკანონო „კაშელიოკს“, გიორგი არველაძეს წაეშველნენ კვალის დაფარვაში. კერძოდ, ჩვენს მიერ უკვე დღეს წარმოდგენილი ახალი დოკუმენტით ჩანს, რომ „შპს აი-პი-აი“ საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტის რეგისტრაციის თარიღი იგივეა, ხოლო მისამართი არა ჭავჭავაძის გამზირი I ჩიხი №22, ბინა 2-ია, როგორც ეს პირველ დოკუმენტშია მოცემული, არამედ უკვე ქ.თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თბილისის ზღვა, საიალქნო კლუბის მიმდებარედ, ნაკვეთი 01-136-ია.

ახალ დოკუმენტში აგრეთვე თვალნათლივ ჩანს, რომ აღნიშნულ „შპს“-ს 100 პროცენტიანი წილი, უკვე ვინმე დავიდ ვარდიძეზე გადაუფორმებიათ და ყველაზე საყურადღებო მთელ ამ „მასკარადში“ ის არის, რომ ახალი მფლობელი, ბატონი დავიდი — ლიტვის რესპუბლიკის მოქალაქეა. ხოლო გიორგი არველაძე და ვინმე კილაბერიძე კი არსად აღარ ფიქსირდებიან. ახლა, ლაპარაკი იმაზე, რომ „შპს აი-პი-აი“-ი რაიმე კუთხით, (გარდა უკანონო შემოსავლებისა) მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ლიტველი მოქალაქისთვის, ზედმეტი და სასაცილოა, მაგრამ მაინცდამაინც არჩევნების შემდეგ რატომ გასხვისდა არველაძის „კანტორა“ და მაინცდამაინც უცხო ქვეყნის მოქალაქეზე — ვფიქრობ, ძნელი ამოსახსნელი არ უნდა იყოს!

ჰოდა, ბატონო ახალო ხელისუფალნო, ჩვენთან ერთად თქვენც იფიქრეთ წარმოდგენილ დოკუმენტებზე და როდესაც „ნაცები“ მაღალ-მაღალი ტრიბუნებიდან ელიტარული კორუფციის არ არსებობაზე, თავიანთი მოღვაწეობის „უმწიკვლობაზე“ და პოლიტიკურ „ცელქობაზე“ დამოძღვრას დაგიწყებენ. აი, ამდაგვარი დოკუმენტებით კიდევ ბევრი დოკუმენტური ფაქტებით და მყარი არგუმენტებით „იმართლეთ თავი“ — გამიგეთ?

რაც შეეხება, 23 მილიონი ლარის არამიზნობრივად გახარჯვის ფაქტს და ამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ერთ რამეს მოგახსენებთ — ინფორმაციების მომწოდებელი ჩემი წყარო, (ისევე როგორც ამ ერთი კვირის განმავლობაში), კატეგორიულად ითხოვს შეხვედრას ან ბიძინა ივანიშვილთან, ან ნოდარ ხადურთან, ანდა ღარიბაშვილთან.

იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული უწყებების პრეს-სამსახურები წაიკითხავენ ამ ინფორმაციას და თავიანთ შეფებს გადასცემენ.

ძვირფასო მკითხველებო, ახლა თქვენ მინდა მოგმართოთ და გკითხოთ: როცა ჟურნალისტი, საკუთარ სიცოცხლეს აყენებს საფრთხეში და კონსპირაციულად ხვდება დოკუმენტებით აღჭურვილ მოარულ „ბომბს“, რათა „ნაც. მოძრაობის“ მიერ მოპარულ მილიონებს ფარდა ახადოს, ჟურნალისტი აქეთ უნდა ეხვეწებოდეს მთავრობას, უმრავლესობის დეპუტაციას, თუ ამა თუ იმ მინისტრის მოადგილეს — არიქა, ჩქარა შეხვდით ამ პიროვნებას, მოუსმინეთ, გამოართვით დოკუმენტაცია და მის უსაფრთხოებაზეც იზრუნეთ-თქო? — თუ პირიქით უნდა იყოს და პირველივე სტატიაზე, რედაქციის ტელეფონი უნდა „ფეთქდებოდეს“ მათი უწყებებიდან ანალოგიური მოთხოვნით?

ჩემი ღრმა რწმენით, პირუკუ უნდა იყოს, მაგრამ რას გაიგებ? ამასობაში კი საქმე ფუჭდება, საქმე, რომელიც „ნაც. მოძრაობამ“ უკვე გააფუჭა, მაგრამ ეტყობა „გასაფუჭებელი კიდევ ბევრი აქვთ“ და ამიტომაც არიან ასეთ „დუხზე!“

**ირინე გოგოსაშვილი**



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

№ 1-

განაცხადის ნომერი: 460565
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12038751
ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/03/2012 18:19:03

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს აი-პი-არ-საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტი
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ჭავჭავაძის გამზ., I ჩიხი, N22, ბ.N2
საიდენტიფიკაციო კოდი: 205241013
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 13/02/2008
მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ-ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ზა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01010002188, კახაბერ გიგიტელაშვილი, დირექტორი, ,

პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 01013001894, გიორგი არველაძე, | 50.00000000% | 205241013-SH-00001 |
| 01010005906, დიმიტრი კილაბერიძე, | 50.00000000% | 205241013-SH-00002 |

ყადაღა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის
საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:
რეგისტრირებული არ არის

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. http://public.reestri.gov.ge



ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

№ 2-

განაცხადის ნომერი: 539252
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12114448
ამონაწერის მომზადების თარიღი: 12/10/2012 18:17:37

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს აი-პი-არ საზოგადოებრივი კვლევების ინსტიტუტი
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვა, საიალქნო კლუბის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/136
ელექტრონული ფოსტა: d.vardidze@gmail.com
საიდენტიფიკაციო კოდი: 205241013
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 13/02/2008
მარეგისტრირებელი ორგანო: თბილისის საგადასახადო ინსპექცია
საგადასახადო ინსპექცია: თბილისის რეგ-ცენტრი გლდანი-ნაძალადევის გ-ზა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01010002188, კახაბერ გიგიტელაშვილი, დირექტორი, ,

პარტნიორები

| | წილი | ანგარიშის ნომერი |
|---|---|---|
| 37601231462, 23082523, , დავიდ ვარდიძე, ლიტვა, | 100.00000000% | 205241013-SH-00003 |

ყადაღა/აკრძალვა:
რეგისტრირებული არ არის
საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:
რეგისტრირებული არ არის

http://public.reestri.gov.ge 1(2)

# rodis Sedgeba qarTuli osvencimis jalaTTa sasamarTlo?

რამდენიმე დღის წინ ხელთ ჩამივარდა სახალხო დამცველის ანგარიშები 2006 წლიდან 2011 წლის ჩათვლით, სადაც ნაწამებ, დასახიჩრებულ და გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა 600-ზე მეტია.

**2009 წელს სახალხო დამცველის აპარატმა პატიმართა გარდაცვალების 91 შემთხვევა აღრიცხა, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 56 პროცენტით გაიზარდა და 142 მიაღწია. სახალხო დამცველის ხელთ არსებულ სიაში ზუსტად არის მითითებული 2010 წელს სასჯელაღსრულების სისტემაში გარდაცვლილი 142 პატიმრის ვინაობა და გარდაცვალების ადგილი.**

2011 წელს გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა 140 იყო. სიკვდილიანობის გარდა მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა ციხის გადატვირთულობა, მაშინ, როცა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სულ 23630 ადგილია, 2011 წლისათვის 24 000-ზე მეტი პატიმარი იყო.

*„დღის ნებისმიერ დროს, როცა დაწესებულების თანამშრომელი შემოიხედავს კარის სათვალთვალოში, პატიმრებმა უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი საქმიანობა, ადგნენ ფეხზე და დადგნენ კარისკენ სახით.*

*თუ საკნის კარი გაიღო, უნდა დადგნენ მწკრივში, სახით კედლისკენ.*

*შემოწმების წინ ზედმიწევნით უნდა დაალაგონ საკანი ისე, რომ არანაირი ნივთი ან ტანსაცმელი არ იდოს არც ტუმბოზე, არც საწოლზე, კარის გაღებისთანავე უნდა დადგნენ მწკრივში. სახით კარისკენ და პირველმა მათგანმა ხელში უნდა დაიჭიროს ნაგვის პარკი.*

*რადიოს უნდა მოუსმინონ მაქსიმალურად დაბალ ხმაზე. მოერიდონ ნორმალურ ხმაზე ლაპარაკს ან სიცილს, ვინაიდან ნებისმიერი ხმა, რომელიც გავა საკნიდან, აღიქმება ხმაურად და გამოიწვევს დასჯას...*

*პატიმრებს ნებადართული აქვთ ტანსაცმლის გარეცხვა საკანში, ოღონდ გაშრობა არა, რის გამოც ისინი ტანსაცმელს აშრობენ ღამით, ხოლო დღის განმავლობაში სველს მალავენ ტუმბოებში.*

*პატიმრებს აკრძალული აქვთ კარზე დაკაკუნება. არ მუშაობს მორიგის გამოსაძახებელი ზარი, რის გამოც გადაუდებელი საჭიროების დროს, თუნდაც ჯანმრთელობის უკიდურესი გაუარესების გამო პატიმრები იძულებულნი არიან კართან ჩაუსაფრთდნენ კონტროლიორს და ჩავლისას ხმადაბლა უთხრან: „ბატონო კონტროლიორო, პატიმარია ცუდად!“*

*თუ კონტროლიორმა გააღო საკნის კარის სარკმელი და მოუხმო რომელიმე პატიმარს, იგი ასახელებს გვარს, ხოლო კართან მოსული პატიმარი პასუხობს თავისი სახელისა და მამის სახელის დასახელებით. როგორც ქუთაისის, ასევე გლდანის დაწესებულებაში მოქმედებს „მორიგეობის“ სისტემა, რაც, საბოლოო ჯამში, უტოლდება ერთი პატიმრის პასუხისმგებლობას სხვის მიერ ჩადენილ გადაცდომაზე.*

*22 საათზე სინათლის ჩაქრობის შემდეგ აკრძალულია ფეხზე დარჩენა და ნებისმიერი გადალაპარაკება. საუბარიც ზედმეტია წიგნის წაკითხვაზე ან რაიმე, თუნდაც უხმაურო აქტივობაზე. პატიმრებს სამარტოო საკნიდან საერთო საკანში გადაყვანის წინ ათავსებენ კარანტინში, რაც შეიძლება ერთიდან სამ დღემდე გაგრძელდეს.*

*ამ დაწესებულებაში პატიმრებს დღის განმავლობაში არ აქვთ საწოლის პირველ სართულზე წამოწოლის უფლება. ეკრძალებათ სიგარეტის მოწევა საკანში, ამიტომ რიგრიგობით ეწევიან საპირფარეშოში.*

*ექიმთან ვიზიტისას ხელები ზურგზე უნდა დაიწყონ და სირბილით გადაადგილდნენ“.* — ეს არის გლდანის მე-8 საპყრობილის არაოფიციალური შინაგანაწესი.

ამ „რეჟიმის“ დამრღვევი პატიმარი არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ხდებოდა. დამრღვევნი ხვდებოდნენ ე.წ. ბოქსში, 2-3 კვ. მ. ფართის მქონე საკანში, სადაც არ დგას მაგიდა, არც სკამი, არც საწოლი. პატიმრებს იქ ათავსებდნენ ფეხშიშველს, საცვლების ამარა 3-დან 24 საათის ხანგრძლივობით. ზოგიერთებს, როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია მოცემული, და ამ „დემოკრატიის შუქურის“ თუ ლამპრის ყურამდეც არაერთხელ მისულა, სცემდნენ „ბოქსში“, ზოგიერთი პატიმრის გადმოცემით, ე.წ. „ბოქსებში“ ხშირად ასხამდნენ წყალს, რომ პატიმრები იატაკზე არ დაწოლილიყვნენ.

პატიმართა დასჯის მიზეზი ხდებოდა აგრეთვე, გასეირნების დროს ერთმანეთთან გადალაპარაკება, მიესალმება და ა.შ.

სახალხო დამცველის ანგარიშით, გაცილებით მძიმე მდგომარეობა იყო ქუთაისის მეორე დაწესებულებაში. საკარანტინე ნაწილში, სადაც ახლადშეყვანილ პატიმრებს ათავსებდნენ, კარის ყოველი გახმაურებისას აიძულებდნენ თავზე ხელებდაწყობილნი დამდგარიყვნენ ფანჯრისკენ სახით, თუ რომელიმე პატიმარი ვერ მოასწრებდა საწოლის მეორე სართულიდან დროულად ჩამოსვლას და ადმინისტრაციის მიერ მითითებულ მდგომარეობაში დადგომას, მთელი საკანი ისჯებოდა.

დაჩოქება თავზე ხელებდაწყობილი, ხშირად 1-2 საათი გრძელდებოდა.

კარანტინში მყოფ პატიმრებს, რომლებსაც იქ ყოფნის პერიოდში არ ასეირნებდნენ, კარანტინის საკნიდან შემოწმებაზე გასვლისას ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები მუცელში ან გვერდებში იდაყვებს ურტყამდნენ.

გიორგი მიქიაშვილის 2006 წლის 15 აგვისტოს განმარტებით, იგი სცემეს სად-ის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. მათ შორის, დირექტორის მოადგილემ **გოგა ბუთლიაშვილმა**.

სახალხო დამცველის წარმომადგენლის სიტყვებით, მიქიაშვილს ცემისგან აღენიშნებოდა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე სისხლნაჟღენთები, ექსკორიაციები, შუბლის ძვლის და თავის თმოვან ნაწილში ტრავმის შედეგად განვითარებული ბორცვისებური წარმონაქმნები.

ახმედ ა. 2001 წლის 25 ივლისს გადაიყვანეს ქუთაისის მეორე სასჯელაღსრულების დაწესებულების კორპუსის მე-3 სართულზე, იქ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, იმის გამო, რომ მან კუთვნილი გასეირნება მოითხოვა. ცემის და გინების შემდეგ გადაიყვანეს სამარტოო საკანში, დაადეს ხელბორკილი. რეჟიმის უფროსი **გაგა ლიპარტელიანი** და კიდევ ერთი თანამშრომელი აიძულებდნენ დაჩოქებას, თან სცემდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. შემდეგ გადაიყვანეს ე.წ. „ბოქსში“ 2 საათით.

დათვალიერებისას მას სხეულზე აღენიშნებოდა: ზურგის არეში, დაახლოებით, 10-15 სმ-ის სისხლნაჟღენთი, გულმკერდის და კისრის მიდამოებში მრავლობითი სისხლნაჟღენთები და ექსკორიაციები (კანის გადაყვლეფა — რედ.) ორივე მუხლზე — ფუფხით დაფარული ნაჭდევები, მაჯებზე ჰიპერემია, შეშუპება თავის არეში.

ქუთაისის მეორე დაწესებულებაში 2011 წელს 31 ოქტომბერს გარდაიცვალა მურმან კალანდია. იგი სხვა მსჯავრდებულთან ერთად ზუგდიდის მე-4 დაწესებულების სამედიცინო ნაწილიდან გადაიყვანეს ქუთაისის მეორე დაწესებულებაში. ეტაპირებისას მსჯავრდებული კალანდია ავადმყოფობის გამო ჩამოვარდა მიკროავტობუსის სკამიდან და დაარტყა ცხვირი. წასკდა სისხლი. ქუთაისში ის მოათავსეს ე.წ. ბოქსში და მიუხედავად იმისა, რომ იყო ცუდად, ექიმმა მისცა მხოლოდ ვალიდოლი. ბოქსში მასთან მყოფმა პატიმარმა როცა კვლავ უხმო ექიმს, იმის გამო, რომ კალანდია უგონოდ იყო, ექიმმა უთხრა: გაულაწუნე და გამოფხიზლდებაო. ამის შემდეგ მურმან კალანდია მალე გარდაიცვალა.



კახაბერ ბ.-მ 2011 წლის 27 ნოემბერს თირკმლის მწვავე შეტევის გამო მოითხოვა ექიმი, რის გამოც იგი ჩაიყვანეს დაწესებულების მორგში, სადაც სასტიკად სცემეს. დაწესებულების თანამშრომელი **გიორგი ავსაჯანიშვილი** კი მას დაემუქრა გაუპატიურებით. შემდეგ იგი დააგდეს მორგის იატაკზე მუცლით 30-40 წთ-ის განმავლობაში. მოგვიანებით, ავსაჯანიშვილმა მას მუქარით დააწერინა, რომ დაზიანებები, რაც აღენიშნებოდა, თვითონ მიიყენა საკუთარ თავზე.

სახალხო დამცველის ანგარიშებში მოცემულია არა მხოლოდ ცალკეული პატიმრების, არამედ საქართველოს ყველა ციხეებში არსებული მდგომარეობა. მაგალითად, რუსთავის მე-16 დაწესებულებაში, რომელიც საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაა, სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშის მიხედვით, მსჯავრდებულებს აღენიშნებოდათ ფიზიკური დაზიანებები.

**სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით, პატიმართა 22 პროცენტი 30 წლამდე ასაკის იყო, 19 პროცენტი — 40 წლამდე, 20 პროცენტი — 60, ხოლო 9 პროცენტი — 70 წლამდე.**

მას შემდეგ, რაც ციხის კადრები საჯარო გახდა, საზოგადოებამ ქართული სატუსაღოები „ახალ აბუ გრეიბად“ და „ქართულ ოსვენციმად“ მონათლა. მაშინ, როცა რეგიონში წარმატებული ქვეყნის იმიჯს გვიქმნიდნენ სააკაშვილი და მისი ნაცხროვა, სინამდვილეში საქართველო დიდი ციხე აღმოჩნდა, სადაც გარეთ მყოფნი სამართალს ვერ პოულობდნენ, ხოლო დანარჩენნი ციხეებში საკუთარი თანამემამულეების ხელით არაადამიანურ ტანჯვასა და დამცირებას ითმენდნენ და ასე იხოცებოდნენ...

„სინდისიც კაი საქონელიაო“, — ნათქვამია. ასე როგორ აქვთ შუბლის ძარღვი გაწყვეტილი ძველი ხელისუფლების აწ უკვე ყოფილ მაღალჩინოსნებს, როცა ნაციონალი ტუსაღების საპატიმრო პირობებზე იღებენ ხმას?! მათ თუ არ ახსოვთ, ჩვენ გვახსოვს გარდაცვლილი პატიმრები, რომელთა, დასახიჩრებული გვამები ცხადყოფდნენ იმ საშინელ საიდუმლოს, რაც ქართულ ციხეებში წლების განმავლობაში ხდებოდა.

„მინდა კარგად მოისმინონ... ციხეში დაბუდებულმა და ციხის გარეთ მყოფმა კრიმინალებმა — გამოიყენეთ ძალა და პუტჩის ნებისმიერი მცდელობისას გახსენით ცეცხლი, ადგილზევე მოკალით, გაანადგურეთ ყველა ის კრიმინალი, ვინც შეეცდება სიტუაციის არევას“... — ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის და სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის სააკაშვილისეული ნაწილია.

დასავლეთიდან მხარდაჭერილი და დაფინანსებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა 2011 წელს დასრულდა. რეფორმა ქაღალდზე საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას ითვალისწინებდა, ხოლო იდეაში განხორციელდა, როგორც დაფინანსება ციხეებში ქართველთა სრული გენოციდის, ფიზიკური და სულიერი დასახიჩრების ხარჯზე.

არჩევნებამდე, ანუ ნაციონალური ეპოქის დასასრულამდე აქტუალური იყო „ლოზუნგი“ — **„სისტემა უნდა დაინგრეს!“** „ნგრევის“ პროცესი რატომღაც ძალიან ნელა მიდის — ციხის ჯალათების პასუხისმგებლობის საკითხი ჯერ კიდევ არ დამდგარა. ჯალათები ციხეებში კვლავ რჩებიან, ხოლო, როგორც შევიტყვეთ, მიხეილ სააკაშვილს ნაცხროვასთან ერთად ახალი, გამოცდილი პიარმენეჯერები უკვე დაუქირავებია დასავლეთში, დიდძალი ფულიც უკვე გადაუხდიათ „სისტემის“ ხელახლა ასაღორძინებლად, რაც ნიშნავს, რომ ფუი, ეშმაკს და, „სისტემა“, შეიძლება, კვლავ ფერფლიდან აღდგეს. ეიფორია, რომელიც ხალხში არჩევნებში გამარჯვებამ გამოიწვია, თანდათან ნელდება. ვშიშობთ, კვლავ აქტუალური გახდეს ლოზუნგი — **„სისტემა უნდა დაინგრეს!“**

**ირანდა კალანდაძე**



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# cixis biznesi da ofSorSi gadasrolili milionebi



**„ვარდოსნების“ ხელში ციხეები დიდი ბიზნესის წყაროდ იქცა. ბაჩო ახალაიას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შეფად დანიშვნის შემდეგ კატეგორიულად აიკრძალა პატიმრებისთვის საკვების გარედან მიწოდება. მხოლოდ სამი კილოგრამი ხილის შეგზავნა იყო ნებადართული. რატომღაც აკრძალეს თაფლის შეგზავნაც, მათ შორის ტუბერკულოზით დაავადებული პატიმრებისთვისაც. პატიმრებს საკვები პროდუქტები ციხეებში გახსნილ მაღაზიებში უნდა შეეძინათ, რომელთა მომარაგებასაც ტენდერში „გამარჯვებული“ ფირმები ახდენდნენ. ეს ფირმები კი, ცხადია, ნაციონალებს ეკუთვნოდათ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ვერც თეთრეულით ამარაგებდა პატიმრებს, მისი შეგზავნაც აკრძალეს, თეთრეული და ჰიგიენური საშუალებებიც პატიმრებს ადგილზე, ანუ ციხის მაღაზიებში უნდა შეეძინათ, რაც პატიმართა ოჯახებისთვის დამატებითი ხარჯი იყო. როგორც „საერთო გაზეთს“ პატიმართა ოჯახის წევრებმა უთხრეს, ე.წ. ციხის ბიზნესს მთლიანად ახალაიები აკონტროლებდნენ.**

**ამ აზრს ეთანხმება მოძრაობა „არას“ ლიდერი ლევან ჩიტაძე. მისი განცხადებით, საპატიმროები მართლაც სერიოზული ბიზნესის წყარო იყო ახალაიებისა და დავით ჭაკუასთვის (დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე), რომელიც ბაჩო ახალაიას თანაკლასელი და მეგობარია.**

— იყო საუბარი, რომ ციხეებს თავიდან გურამ დონაძისა და ვანო მერაბიშვილის კუთვნილი „ეკოფუდი“ ამარაგებდა, რომელიც შემდეგ პარლამენტარ არჩილ გეგენავას ფირმამ ჩაანაცვლა. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ ხათუნა კალმახელიძეს, რომ მოეწოდებინა ინფორმაცია იმ კომპანიებთან დაკავშირებით, რომლებიც აწარმოებდნენ საკვები პროდუქტების შეტანას ციხეებში, თუმცა პასუხს ვერ ველირსეთ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ციხეში ხვდებოდა ვადაგასული და ჩამოწერილი პროდუქტები, რომლებიც სრულიად უსასყიდლოდ მიჰქონდათ ამ კომპანიებს სუპერმარკეტებიდან და ციხეებს ამით ამარაგებდნენ. ციხის მაღაზიებში ეს უხარისხო პროდუქტი სამჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე ახალი პროდუქტი ჩვეულებრივ მარკეტში. ძალიან ხშირი იყო ამ პროდუქტით პატიმრების მოწამვლის ფაქტებიც. ჩემი აზრით, თითოეული ასეთი ფაქტი პროკურატურისა და სასამართლოს განხილვის თემა უნდა გახდეს. ყველა პატიმარმა რომ იჩივლოს, იმ უკანონობასთან დაკავშირებით, რაც მათ მიმართ ხდებოდა, ათი წელი მაინც დაჭირდება ამ საქმეების განხილვას. ჩვენ თავის დროზე გამოძიებული გვქონდა ე.წ. კომბიჟირის თემა, რომელზე დამზადებული კერძებითაც კვებავდნენ პატიმრებს. „კომბიჟირი“ საქონლის, მცენარეული და თევზის ცხიმის ნაკრებია, რომლითაც იწამლებოდნენ პატიმრები.

მოგეხსენებათ, ბაჩო ახალაიას უზარმაზარი გავლენა ჰქონდა, იგი, რეალურად, კანონს მიღმა იდგა და კანონის სახელით ყველაფრის კეთება შეეძლო. ამ შემთხვევაში საკითხი დგას ასე — რომელიმე კომპანიას, მნიშვნელობა არ აქვს ვის ეკუთვნოდა, ეუბნებოდნენ, შენ გაიმარჯვებ ტენდერში, იქნები ერთადერთი მიმწოდებელი და შენი კომპანიის სახელით მე მოვამარაგებ ციხეებს. რით და როგორ, ან საიდან მოვიტან ამ პროდუქტს, ეს შენი საქმე არ არის, თუ არ დამთანხმდები, დაგიხურავ საწარმოს და მოგებას ველარ მიიღებო. შეიძლება, ეს „მომმარაგებლები“ ძალზე ნორმალური კომპანიებიც ყოფილიყო, მაგრამ მათი მფლობელები იძულებული იყვნენ ამ გარიგებაზე დათანხმებულიყვნენ, პრობლემა რომ არ შექმნოდათ. ამის შემდეგ ის წილი, რაც ამ კომპანიებს ციხეებიდან შემოსული მოგებიდან შეიძლება ჰქონოდათ, ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიების ანგარიშზე ირიცხებოდა, რომელთა უკანაც ახალაიები იდგნენ.

**— ოფშორული კომპანიების თემა ძალზე აქტიურად დგას. რატომ არეგისტრირებდა ნაცელიტა ოფშორში კომპანიებს, დაბეგვრისთვის თავის არიდების მიზნით ხომ არა?**

— ამას მხოლოდ ერთი მიზეზი აქვს, ვინ დგას ამ კომპანიების უკან, ანუ ვისი კუთვნილებაა რეალურად, საზოგადოება ვერ ხედავს, მხოლოდ ამ კომპანიის ის წარმომადგენელი ჩანს, რომელიც საქართველოში მოდის. ის შეიძლება სადღაც იყოს გაფორმებული, უბრალოდ, მინაწერი იყოს გაკეთებული. ბაჩო ახალაიას ადამიანების ცემა-წამებისა და დახოცვისთვის კი ვაგებინებთ პასუხს, მაგრამ ციხეების ამ ბიზნესთან დაკავშირებით ვინ და როგორ უნდა დაადოს ხელი? მაშინ ის ადამიანი გვჭირდება (მისი წარმომადგენელი, რომელიც ახლა საქართველოდან გაქცეულია), რომელიც იტყვის, რომ ახალაიას სახელით მოქმედებდა და ეს ოფშორში რეგისტრირებული კომპანია ახალაიას ეკუთვნოდა. არსებობს მეორე ვარიანტიც, რომელიც უფრო რეალურად მეჩვენება. ხომ გაიხსნა ტელეკომპანიების ოფშორები, ასე გაიხსნას ყველა ოფშორი, რომელიც საქართველოში მოქმედებს.

ქართული საგადასახადო ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიებს, რა თქმა უნდა, ბევრავს, უბრალოდ, ვერ ვხედავთ ვისთან მიდის რეალურად მოგებიდან შემოსული ფული, რომელ ანგარიშზე ირიცხება. ოფშორში გადარიცხული ფული, შეიძლება, შვეიცარიის ბანკში მოხვდეს და იქიდან სულ სხვა კომპანიის სახელით დაბრუნდეს საქართველოში. მათ შეუძლიათ მარცხენა ხელით გატანილი ფული, მარჯვენა ხელით შემოიტანონ სხვა სახელით, ან სულაც თავისი სახელით, ოღონდ სხვა წარმომადგენლით და შვეიცარიიდან გადმორიცხული თანხებით აქ შექმნან ახალი კომპანია. ის არანაირ კანონს არ დაარღვევს, ექნება ყველაზე მეტი რესურსი, რომ აწარმოოს ბიზნესი და გახდება მონოპოლისტი. სინამდვილეში კი იკვებება ფარული გარიგებით, დანაშაულებრივი სისტემით მოპოვებული ფულით.



**— იმის თქმა გინდათ, რომ ფულის „გათეთრება“ ხდება?**

— რა თქმა უნდა, იგივე ახალაია ფულს „ათეთრებს“ და ხდება მილიარდერი. რამდენი მისნაირი მოვიდა ხელისუფლებაში სრულიად გაუნათლებელი, დახეული ფეხსაცმელებით და დღეს უმდიდრესი ადამიანია. მერწმუნეთ, თუ საქართველოში მოქმედი ყველა ოფშორი გაიხსნა, ამით ბევრ რამეს მოეფინება ნათელი. ახლა ეს ადამიანები ეცდებიან ოფშორული კომპანიები სხვის სახელზე გადააფორმონ, მაგრამ ეს პროცესი გაურთულდებათ, ქსელის დანახვა უფრო მარტივი იქნება. მით უმეტეს, როცა საერთაშორისო დანაშაულთან გვაქვს საქმე, აქ უკვე ევროპული ქვეყნებიც ჩაერთვებიან. ოფშორის გახსნის შემთხვევაში შესაძლებელი გახდება სქემის დანახვა კონკრეტული ანგარიშიდან სად, რამდენი და რატომ გადაირიცხა, ვის სახელზე გადაირიცხა და სად და რა ფორმით დაბრუნდა ეს თანხები.



არ არის გამორიცხული უფრო რთული სქემის არსებობაც. კომპანია (შესაბამისად, ფინანსები), შეიძლება, ერთი ოფშორიდან ჩინეთის მახლობელ ოფშორში გადაიტანონ, საიდანაც შედის ჩინეთში, იქიდან მოხვდეს ჩრდილო კორეაში, მერე კიდევ სადმე და ისე დაბრუნდეს საქართველოში. ძალზე დიდი კარტელური გარიგებაა. გადაცვლაც მარტივად ხდება, იგივე ჩინეთის მახლობლად დაბანდებული თანხით რომელიმე ქვეყანაში (სადაც ასევე ოფშორული კომპანიებია) ყიდულობ ალმასს ან სხვა ძვირფას თვლებს, რომელსაც უკვე ჩინეთში გაყიდი, ანუ ხდება გადაცვლა, ამ თანხას კი, მერე სადაც გინდა, იქ გაუკეთებ ტრანსპორტირებას. შეიძლება, იქედან სულაც შვეიცარიაში წაიღო. მერე შემოდის კონკრეტული კომპანია საქართველოში და ამბობს, შვეიცარიული ინვესტიციააო, სინამდვილეში კი ეს პატიმრების ხარჯზე გაკეთებული ფულია.

ამ სქემების გაშიფრვას საკმაოდ დიდი დრო და ინტელექტი სჭირდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, პროკურატურა აუცილებლად შეძლებს ყველა ასეთი საქმის გაშიფრვას და დამნაშავეების გამოვლენას.

**მანანა სუხიშვილი**

## ბიძინა ივანიშვილი შვიდი ადამიანის დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს




საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი გუშინწინ საღამოს იმერეთში, სოფელ წევასთან ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შვიდი ადამიანის დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„შემზარავი ტრაგედია დატრიალდა იმერეთში, სოფელ წევასთან. ავარიამ შვიდი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მინდა, სამძიმარი ვუთხრა დაღუპულთა ოჯახებს, მათ ახლობლებს და გავიზიარო მათი დიდი მწუხარება“, — ნათქვამია პრემიერ–მინისტრის განცხადებაში.

## მერაბიშვილის საქმეზე არსებობს სხვადასხვა ჩვენება - არჩილ კბილაშვილი



მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის თქმით, ყოფილი პრემიერის ვანო მერაბიშვილის მიერ ყალბი პასპორტით ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით ჯერ პასუხისმგებლობა გამოკვეთილი არ არის. იგი ჯერ მხოლოდ მოწმის სახითაა დაკითხული.

“ჩვენ მერაბიშვილი არ დაგვიკავებია არც იმ მომენტში, როდესაც ეს ინციდენტი მოხდა. მან საქართველო თავისი ნამდვილი პასპორტით დატოვა, უბრალოდ, ეპიზოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინსპექტორს პირველად წარედგინა პასპორტი, რომელიც მერაბიშვილის არ იყო. ამ ფაქტის მიუხედავად, არც გამგზავრებაში და არც ჩამოსვლის დროს ხელშეშლა არ ყოფილა. ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ყოველგვარი ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე მიმდინარეობს. დაკავება არც გვქონია აზრად და არც დღეს გვაქვს. სხვა საკითხია პასუხისმგებლობა, რაც გამოვლინდება”, - განაცხადა კბილაშვილმა მთავარ პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე თქმით, თუ ვინმეს პასუხისმგებლობა განისაზღვრა, ამის შესახებ მოგვიანებით გახდება ცნობილი. კბილაშვილი არ მიიჩნევს, რომ ვინმეს დაპატიმრება მოხდება, თუმცა ამბობს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა ჩვენება, მათ შორის ურთიერთგამომრიცხავი.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ყოფილ პრემიერს, ვანო მერაბიშვილს ერევანში გამგზავრებისას თბილისის აეროპორტში აღმოაჩნდა ყალბი პასპორტი, რომელიც გაცემული იყო ლევან მაისურაძის სახელზე, ვანო მერაბიშვილის სურათით.

**„მედინიუსი“**



# `arZaSi umosi ubeduri~...

## „თუ ასე გაგრძელდა, ზუსტად სამეგრელოდან დაიწყება იმ გეგმის განხორციელება, რაც ნაციონალებს აქვთ ჩაფიქრებული“

საკაშვილმა თურმე „ვარდების რევოლუცია“ წალენჯიხიდან დაიწყო, მაგრამ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ეს რაიონი აღარ გახსენებია. წალენჯიხა მთელ სამეგრელოში ერთადერთი რაიონია, სადაც ფასადურადაც კი არაფერი გაკეთებულა.

„არძაში უმოსი უბედური, ამდღა იშენი წენდიხა რე“ – ასე ეუვნება ხოლმე ტელეფონით ჩვენს რედაქტორს მისი წალენჯიხელი მეგობარი.

წალენჯიხის პრობლემებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ ჩემი კოლეგა, „ქართული ოცნების“ წევრი ბერდია კალანდია და კოალიციის მხარდამჭერი ბაკურ გულუა ესაუბრნენ, რომლებიც განსხვავებული აზრის გამო ნაცხელისუფლებისთვის მიუღებელნი აღმოჩნდნენ. ბერდია კალანდია წლების განმავლობაში აფხაზეთის რადიოსა და ტელევიზიაში მუშაობდა. ერთი თვე წალენჯიხის საკრებულოშიც უმუშავია, მაგრამ ჟურნალისტ ნანა ფაჟავასადმი სოლიდარობის გამოცხადების გამო (ჟურნალისტ ქალბატონს წალენჯიხის საკრებულოს თავმჯდომარე კახა ციმინტიამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა), ოპოზიციონერად ჩათვალეს და სამსახურიდან დაითხოვეს.

რესპოდენტთა განცხადებით, ამ რაიონში ყოველთვის ძალზე მძიმე სიტუაცია იყო. ხალხმა ლამის კერპად გაიხადა სააკაშვილი და მის შეცდომებს ვერ ამჩნევდნენ. ამ ყველაფერს გარკვეულწილად, იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ წალენჯიხაში ინფორმაციული ვაკუუმია, იქაურები მხოლოდ „რუსთავი-2“-ს უყურებენ, ეს ტელევიზია კი რა პოლიტიკასაც ატარებს,



ყველას კარგად მოეხსენება. წალენჯიხის გამგებელი მამუკა ქარდავა და საკრებულოს თავმჯდომარე კახა ციმინტია მოსახლეობას დღესაც იმას ეუბნებიან, რომ, თურმე, ნაციონალები 6 თვეში დაიბრუნებენ ხელისუფლებას, ამიტომ გირჩევნიათ გვერდით დაგვიდგეთო. კარგი იქნება, „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე დაყადაღებული სატელიტური ანტენები, რომელიც უკან დაიბრუნა, პირველ რიგში, სამეგრელოს მოსახლეობას დაუმონტაჟოს, რათა მათ რეალური ინფორმაცია მიიღონ, ქვეყანაში რა ხდება.

ადგილობრივი უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები კარდაკარ დადიოდნენ და აშინებდნენ მოსახლეობას, რომ ხმა არ მიეცათ „ქართული ოცნებისთვის“, მათ ფულსა და პროდუქტებსაც ურიგებდნენ, თუმცა ქალბატონ მოგელაძის სამსახურისთვის ნაციონალთა ეს ქმედება რატომღაც დანაშაულად არ ითვლებოდა. გიორგი ნაჭყებიას ადგილზე ჩასვლის შემდეგ (არჩევნებამდე ერთი თვით ადრე), მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა და საარჩევნო ხმების ის 32%-ის მოპოვებაც თავად წალენჯიხელების დამსახურებაა. ისიც უნდა ითქვას, რომ ნაციონალები არჩევნებს ყველა შემთხვევაში მოიგებდნენ, რადგან ადმინისტრაციულმა რესურსმა ძალიან სერიოზულად იმუშავა.

წალენჯიხის ახლადარჩეული მაჟორიტარი დეპუტატი ლევან ქარდავა წარმოშობით დაბა ჯვარიდანაა და შეიძლება ითქვას, რომ არასდროს უცხოვრია წალენჯიხაში. მას იქ არავინ იცნობს, მაგრამ ნაციონალებისა და ზოგიერთი ვაიწალენჯიხელის პიარმა კარგად იმუშავა მოსახლეობაზე. ქარდავას მამას მოსკოვის ოლქში არყის ქარხანა ჰქონია და ცხადია, მაჟორიტარობის კანდიდატი უფულობას არ უჩიოდა. წალენჯიხაში ხმები დადის, ქარდავამ თავის გამპიარებლებს თანხა გადაუხადაო. მათ „რჩეულს“ რომ თბილი სკამისა და თავისი ბიზნესის მეტი არაფერი აინტერესებს, წალენჯიხელებს ამაში ეჭვი არ ეპარებათ (ქარდავამ ცოტა ხნის წინ ბათუმის ტელევიზია იყიდა). ფიფიაც რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენია, რომელსაც წარმოშობის მეტი არაფერი აკავშირებს წალენჯიხასთან და ბუნებრივია, ადგილობრივები არც მას იცნობდნენ.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან შეხვედრა, რის გამოც მათ შორის კონფლიქტიც მომხდარა.

**ბერდია კალანდია**: „წალენჯიხის რაიონი მეჩაიეობითა და მესაქონლეობით იყო განთქმული. ცნობილი კვარაცხელიას ჯიშის ძროხები აქ გამოჰყავდათ, რომელსაც ნაკლები საკვები სჭირდება და ბევრ რძეს იძლევა. დაფნა და სიმინდიც მოჰყავდათ, მაგრამ ახლა ყველაფერი მოშლილი და განადგურებულია. ჩაის პლანტაციები ნადგურდება და ეს მიწები ლამის მუქთად იყიდება, ოღონდ არა წალენჯიხელებზე. პარლამენტარ შოთა მალაშხიას 80 ჰექტარი მიწა ჰქონია შესყიდული სოფელ ნაკიფუში. ამ ფართობზე ჩაის პლანტაცია იყო გაშენებული, შეგნებულად განადგურდა, ცეცხლს უკიდებდნენ, ჩეხავდნენ და ძირკვავდნენ ჩაის ბუჩქებს და კაპიკებში ყიდდნენ ამ მიწებს. წალენჯიხის რაიონის ნაწილი მთიანია, სვანეთს ესაზღვრება, უნიკალური ბუნება იყო ტყის დიდი მასივებით. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს ტყეები ჩინელებზე გაასხვისეს და პირწმინდად გაჩეხეს. იქ არის ერთი ადგილი, ეგრისის მთები ჰქვია, ესეც ჩინელებს მიჰყიდეს (ამ პერიოდში წალენჯიხის მაჟორიტარი როლანდ ფიფია იყო) და ქართველ გლეხს ამ ტყეებიდან ფიჩხის გამოტანის უფლებაც არ აქვს.

წალენჯიხის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე ადგილობრივი ბიუჯეტის ფულით ნაყიდი 120.000-ლარიანი ავტომანქანებით დაბრძანდებიან, წალენჯიხელებს კი სასმელი წყალი არ აქვთ. კომუნისტების დროინდელი წყალგაყვანილობა განადგურდა, მის აღდგენაზე კი არავინ ფიქრობს. რაიონში ტოტალური უმუშევრობაა, რის გამოც მიგრაცია დაიწყო, ხალხი ლუკმაპურის საშოვნელად გადაიხვეწა. რაიონში უამრავი სახლი იყიდება, მაგრამ მყიდველიც არავინაა“.

**ბაკურ გულუა**: „ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლება აიძულებდა თხილის დაბალ ფასად ჩაბარებას, მაგრამ მალე, ალბათ, ასე იქნება. უამრავი მიწა იყიდა იტალიურმა ფირმა „ფერარო-როშემ“. სოფელ ზედა საჩინოში მოსახლეობას საძოვრები ჩამოართვეს და იტალიელებს მიჰყიდეს, მათ კი იქ თხილის პლანტაციები გააშენეს. მათი თხილი როცა გავა რეალიზაციაში, ეს წალენჯიხელი გლეხის თხილის ფასს უფრო დააგდებს. „ფერერო-როშემ“ მეზობელ ჩხოროწყუშიც გლეხებს საძოვრები არ შეარჩინა და რანაირადღა უნდა განვითარდეს სამეგრელოში მესაქონლეობა? სამწუხაროდ, ამ კომპანიის უკან ისევ ქართველები დგანან, მათ შორის, წალენჯიხელებიც, მაგრამ ჩვენ ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ გვაქვს“.

წალენჯიხაში არჩევნების შემდეგაც არაფერი შეცვლილა, ყველაფერს ისევ ნაციონალები განკარგავენ. საკრებულომ თითქოს არანაციონალური სახე მიიღო, მაგრამ ესეც მოჩვენებითია. საკრებულოს ნაციონალმა წევრმა დავით ჭიჭინაძემ არჩევნებამდე დატოვა ნაცმოძრაობის რიგები, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, აქაოდა, ოპოზიციონერი ვიყავიო, საკრებულოს თავმჯდომარეობაზე გასჩენია პრეტენზია. წალენჯიხელები არც მას იცნობენ, მაგრამ თურმე დიდი შანსი ჰქონია, რომ ნანატრი პოსტი დაიკავოს. ამ პოსტზე კოალიციის მეორე კანდიდატი დავით ბელქანიაც მოიაზრება, ყოფილი მემარჯვენე. ის ხალხი კი, რომლებიც „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბებისთანავე მის რიგებში იყო და ნაციონალური ზეწოლა საკუთარ ტყავზე იწვნია, რატომღაც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამაგიეროდ, საეჭვო წარსულის მქონე პერსონები, თუნდაც ნაცუშიშროებასთან დაკავშირებული ან კორუმპირებული, მრავლად



მიეტმასნენ „ქართულ ოცნებას“ და მსუყე თანამდებობების დაკავებაც მოუნდათ. ამიტომაცაა ხალხი იმედგაცრუებული, თუ იგივე ხალხი დაინიშნა თანამდებობებზე, რაღა აზრი ჰქონდა ამ ბრძოლასო.

**ბერდია კალანდია**: „წყალდიდობამ წალენჯიხის რაიონი ძალზე დააზარალა. მიხეილ სააკაშვილი ჩამობრძანდა სოფელ ობუჯში და იქაურობა სტიქიის ზონად გამოაცხადა, თუმცა დაზარალებული ოჯახებზე დღემდე არ გაცემულა კომპენსაცია. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია ეს ხალხი, ნათესავებთან არიან შეკედლებული, თავზე აწვიმთ. სულ 3-4 ოჯახია ასეთი, მათ რამდენჯერ არ მიმართეს განცხადებით რაიონის გამგეობას, თუმცა ყურად არავინ იღო. გამგებელი ბიუჯეტის ფულით შეძენილი ძვირადღირებული ავტომანქანით რომ დადიხარ, იმდენი მაინც მიეცი ამ ხალხს, ელემენტარული თავშესაფარი რომ ჰქონდეთ. წალენჯიხა ერთადერთი რაიონია სამეგრელოში, სადაც, პრაქტიკულად, არაფერი გაკეთებულა. ეს იმის ბრალია, რაიონს პატრონი რომ არ ჰყავს“.

**ბაკურ გულუა**: თუ ასე გაგრძელდა ზუსტად სამეგრელოდან დაიწყება იმ გეგმის განხორციელება, რაც ნაციონალებს აქვთ ჩაფიქრებული. ხომ გვპირდებიან ექვს თვეში უკან დაგიბრუნდებითო. სამეგრელოში დღესაც უამრავი იარაღია და ამ იარაღის ამღებნიც საკმაოდ არიან. სხვათა შორის, ბაჩო ახალაია შს მინისტრობიდან რომ გადადგა, თურმე სქურს აფარებდა თავს. ასე რომ, ახალმა ხელისუფლებამ მართლაც ასი ყური და ასი თვალი უნდა გამოისხას, მითუმეტეს, სამეგრელოსთან მიმართებაში. ნაცმოძრაობას ასე მარტივად არ უნდა შევხედოთ, ფაქტია.

ნაცხელისუფლებამ სხვა რეგიონებთან შედარებით სამეგრელოში უფრო მეტი გააკეთა, რადგან მათი გათვლით, ეს კუთხე იქნებოდა ის ფორპოსტი, რომელიც მათ კრიზისის დროს დაიცავდა და სავარაუდოდ, არც მოტყუებულან.

სამეგრელოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დედაქალაქშია გადმოხვეწილი ლუკმაპურის საშოვნელად, ეს ხალხი სწორედ „ქართული ოცნების“ ელექტორატი იყო. მათ ძალიან უნდოდათ, რომ არჩევნების დროს ჩასულიყვნენ მშობლიურ რაიონში და ხმა „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ, მაგრამ იმის გამო, რომ მგზავრობა ძალზე ძვირი ჯდება, ბევრმა ეს ვერ შეძლო. ხომ შეიძლებოდა ამ ხალხს დახმარებოდნენ და ადგილზე ჩაეყვანათ, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა. დიდი ალბათობით ამ ხალხის ხმები ნაცყულაბაში მოხვდა.

მოდით, ისევ წალენჯიხის პრობლემებს დავუბრუნდეთ. ყველაზე ამაზრზენი რაიონის უშიშროების უფროსი ყოფილა, რომელმაც არჩევნების დროს გალის რაიონიდან (თვითონაც გალელია) 5.000 კაცი გადმოიყვანა და ნაცმოძრაობისთვის მიაცემინა ხმაო.

პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ შიშის სინდრომიც მო-

იხსნა და ხალხს იმედი გაუჩნდა, მაგრამ ახალმა საშიშროებამ იჩინა თავი, ხელისუფლებას ისევ ნაციონალები არ დაეპატრონონ. ის ხალხი, რომელიც ადრე ნაციონალებთან თანამშრომლობდა და მოგვიანებით, კოალიციაში გადმობარგდა, რა გარანტია გვაქვს, რომ ისევ მათთან არ ითანამშრომლებსო. წალენჯიხელებისთვის შევარდნაძის მმართველობის დროინდელი ჩინოვნიკებიც მიუღებელნი არიან.

ახალი ხელისუფლება ქართული ოცნების ასრულებას კი გვპირდება, მაგრამ წალენჯიხელებმა როგორ უნდა აისრულონ თავიანთი ოცნება, როცა იქაურ ტყეების ჩინელები დაპატრონებიან, მიწები იტალიელებს და ნაციონალებს აქვთ დანაწილებული.

წალენჯიხის შესასვლელში უნიკალური ტყე-პარკი იყო გაშენებული. რეკონსტრუქციის მომიზეზებით ხეების ჭრა რომ დაიწყეს, ხალხმა გააპროტესტა, გამგებელმა ქარდავამ იოლი გამოსავალი მონახა, მერე რა მოხდა, თანამედროვე ხეებს დავრგავთო. გადარჩენილ ხეებს ფესვები ისე ჩაუჭრეს, რომ როგორც კი თოვლი დაედება, ხე-




ბი აუცილებლად წაიქცევა. რეკონსტრუქციის ამ პროექტში 900.000 ლარს ხარჯავენ, წალენჯიხას კი სასმელი წყალი არ აქვს, არადა ყველაზე წყალუხვი რაიონია. იმაზე დიდი კრიმინალი რა უნდა იყოს, რომ ადგილობრივმა მე-5 კლასელმა და შედარებით უფროსმა ბავშვებმაც წერა-კითხვა და გამრავლების ტაბულა არ იციან. აი, ეს არის ნაციონალების „წარმატებული" განათლების რეფორმის შედეგი".

**ბერდია კალანდია:** „სოფელ კანთში ორი წლის წინ სკოლა დაიწვა, ბავშვები მაღაზიის შენობაში გადაიყვანეს და დღემდე იქ რჩებიან. ამ ორი წლის განმავლობაში ნუთუ ვერ მოახერხეს იმდენი თანხის მოძიება, რომ პატარა სკოლა მაინც აეშენებინათ. შეიძლება საშუალო სკოლა ამდენი ხანი მაღაზიის შენობაში იყოს?

რაც შეეხება მოსახლეობის ტყისა და მიწის გარეშე დატოვებას, დღევანდელი მფლობელებს კანონიერად უნდა ჩამოერთვათ ყველაფერი, სხვა გამოსავალი არ არსებობს. მართალია, მძიმე პროცესი იქნება, მაგრამ ხალხს უნდა დაუბრუნდეს ეს მიწები, ხელახლა კი არ უნდა გასხვისდეს. ნაკიფუს ცენტრში იყო ჩაის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც 400.000 ლარად გაყიდეს, ამბობენ, ზაზა გოროზიამ იყიდაო. ეს ქარხანა დღეს ფოთში დგას. ეს 400.000 ლარი წალენჯიხის ბიუჯეტში უნდა შემოსულიყო, მაგრამ არ შემოსულა. სად წაიღეს ეს ფული, როცა სტიქიით დაზარალებულებისთვის კომპენსაცია არ დაურიგებიათ. რაიონში ორი საკონსერვო ქარხანა იყო, ისიც განადგურებულია. მოსახლეობა ხილს რომ ვერსად აბარებდა, ხეებიც დაჭრა. არცერთი ხელისუფლების წარმომადგენელს არ უცდია, რომ თუნდაც ერთი საწარმო მაინც აღედგინა. ამჟამად რაიონს ერთი პურის საცხობი არ აქვს. კი არიან ვიღაც ინდმეწარმეები, მაგრამ ხვალ-ზეგ მათ ამ ბიზნესზე უარი რომ თქვან, რაიონი პურის გარეშე დარჩება.

სოფლის მოსახლეობა ითხოვს, იქნებ გამოიყოს მანქანა, რომელიც სოფლებს პურით მოამარაგებს, რადგან რაიონში ჩასვლის საშუალება არ გვაქვსო. სოფლების მომარაგება კი არა, პური წალენჯიხისთვისაც პრობლემაა. შარშან დიდი თოვლი რომ მოვიდა და დენი გაითიშა, მთელი რაიონი უპუროდ დარჩა. მთელ წალენჯიხაში ერთადერთი ბენზინგასამართი სადგურია. იმანაც რომ შეწყვიტოს მუშაობა, მთელი რაიონის ავტოტრანსპორტი გაჩერდება.

რატომ უნდა იხდიდეს წალენჯიხის მოსახლეობა ერთ კილოვატ ელექტროენერგიაში 18 თეთრს, როცა იქვეა ენგურჰესი. რაიმე ეკოკატასტროფა რომ მოხდეს, ყველაზე მეტად ჩვენ დავზარალდებით. მაღალი ძაბვის სადენები ხეებზეა მიბმული. ამჟამად ფულს გვახდევინებენ და ელექტრობოძებსაც კი არ დგამენ. ჯერაც არ მომხდარა მთელი რაიონის გამრიცხველიანება. მარტო წალენჯიხა კი არა, მთელი სამეგრელო ჩამკვდარია".

**ბაკურ გულუა:** „ჯანდაცვაც კატასტროფულ მდგომარეობაშია. კი აგვიშენეს ლამაზი საავადმყოფო, მაგრამ რად გინდა, ექიმთან ერთი ვიზიტი 20 ლარი ღირს. უბრალო ოპერაციაზეც ზუგდიდში გიშვებენ. ახლობელმა ხელი გაიჭრა, წალენჯიხის საავადმყოფოში დახმარებაზე უარი გვითხრეს, ზუგდიდში წაიყვანეთო. იქნებ არ მაქვს ამის საშუალება? ქირურგი მხოლოდ სამშაბათობით მოდისო, სხვა დღეებში რომ გავიჭრა ხელი, რა ვქნა?

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ვართ, არ ვიცი წალენჯიხას რამე თუ ეშველება. ის ადამიანი, რომელიც ჩვენი რაიონის, გამგებლობას ჩაიბარებს, ნამდვილად საშინელ დღეში ჩავარდება, დღის და ღამის გასწორება მოუწევს, რომ რაიმე სასიკეთო დაეტყოს წალენჯიხას".

**მანანა სუხიშვილი**

# swav l is gadasaxadi ar moimatebs...



**ვესაუბრებით საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილეს ბატონ დავით ზურაბიშვილს**

**— ბატონო დავით, ბოლო დღეებში უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებულმა სიახლეებმა, რომელიც განათლების მინისტრმა განმარტა, ცოტა არ იყოს გაურკვეველი განწყობა ჩამოაყალიბა აბიტურიენტებსა და მათ მშობლებში, მათთვის გაუგებარი გახდა ერთი სიახლე, რას ნიშნავს სწავლა გაძვირდება? ქვეყანაში, სადაც მილიონამდე სოციალურად დაუცველი ადამიანი ცხოვრობს, მათ ეს საკითხი ხომ ყველაზე მეტად აშფოთებთ, იქნებ განმარტოთ, სინამდვილეში რა და როგორ მოხდება?**

— სამწუხაროა, რომ ხალხმა სწორად ვერ გაიგო, აგიხსნით მარტივად, და ყველასათვის გასაგებად. სწავლა მომავალი სტუდენტებისათვის კი არ გაძვირდება, სახელმწიფოს მხრიდან მათი დაფინანსება გაორმაგდება, ანუ უფრო მეტი აბიტურიენტი დაფინანსდება და მეტს მიეცემა უფასოდ სწავლების საშუალება. კერძოდ, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ვაუჩერის, ანუ სასწავლო ხარჯის ღირებულება დღეს არის 2 250 ლარი. ამ თანხას ხელისუფლება უხდის ბიუჯეტიდან სტუდენტს 100, 70, 50 ან 30-პროცენტიანი დაფინანსების შემთხვევაში. მომავალი წლიდან ეს ყველაფერი გაიზრდება. ყველა ამ გარკვეულპროცენტიან დაფინანსებას მიიღებს სტუდენტების ორჯერ მეტი რაოდენობა, ვიდრე წინა წელს, სხვანაირად სწავლა არ გაძვირდება ანუ მისი გადასახადი არ მოიმატებს. მოიმატებს დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა და ის გაორმაგდება, რაც გადახდისუუნარო სტუდენტებს ნამდვილად წაადგებათ. თუმცა, აქვე დავამატებდი, რომ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს მათთვის განკუთვნილი შეღავათები, რომელიც აქამდე ჰქონდათ, კვლავ შეუნარჩუნდებათ. ერთი რამ კი ცხადია, რომ თუ სახელმწიფოს სურს ჰყავდეს განათლებული მომავალი თაობა, უფრო მეტი უნდა დავხარჯოთ მათ სწავლა-განათლებაზე და მეტი ვიზრუნოთ, სხვაგვარად ეს საკითხი არ მოგვარდება. საერთოდ, ეს საქმე სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ის მსჯელობას და რეფორმირებას საჭიროებს, რომელიც უახლოეს წლებში მოგვარდება. აქვე მინდა შევნიშნო, რომ მკვეთრი რადიკალური ცვლილებები კარგს არაფერს მოგვიტანს, საჭიროა ეტაპობრივად გადასვლა ახალ სისტემაზე და თანაც ისეთზე, რომელიც ყველაზე მომგებიანი იქნება ქვეყნისათვის.

შედარებისათვის გეტყვით, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელს ჰარვარდის უნივერსიტეტს წლიური ბიუჯეტი იცით, რამდენი აქვს? 40 მილიარდი დოლარი! ჩვენ დღეს მას ვერ შევედრებით, ეს დაფინანსება ჩვენი ქვეყნის 5-6 წლის ბიუჯეტია, ამიტომ ეტაპობრივად უნდა მივაღწიოთ წარმატებას. ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელია. ჩვენნაირ პატარა ქვეყანას არ შესწევს უნარი იმისა, რომ ყველა უმაღლესი სასწავლებელი დააფინანსოს ბიუჯეტიდან, თუმცა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები მუდმივად იქნება ქვეყნის ზრუნვის საგანი და იქ სწავლის ხარისხიც გაუმჯობესდება და დაფინანსებაც.

კიდევ ერთხელ განვმარტავ, როცა გავრცელდა აზრი სწავლა გაძვირდებაო, იგულისხმება მისი დაფინანსების გაზრდა მხოლოდ მეტი არაფერი. აქვე მინდა დავძინო, რომ თუ სტუდენტი იქნება წარმატებული, მას არავითარ შემთხვევაში ხელი არ შეეშლება იმის გამო, რომ მას ფული არ აქვს. მასზე სახელმწიფო იზრუნებს.

მჯერა, რომ შემდგომ წლებში ეკონომიკის განვითარება ქვეყანაში მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სულ უფრო მეტი თანხები წარვმართოთ განათლების მიმართულებით.

**— მისაღები გამოცდების კრიტერიუმები ხომ არ საჭიროებს რეფორმირებას? დღემდე ყბადაღებული თემაა ზოგადი უნარების ჩაბარება, რომელმაც ბევრი აბიტურიენტის ბედი განსაზღვრა უარყოფითად, ხომ არ მოიხსნება ეს გამოცდა უახლეს მომავალში?**



— ვფიქრობ, ეს საკითხი მსჯელობისა და რეფორმირების შემდეგ უნდა გადაწყდეს, რომელსაც პარლამენტთან არსებული განათლების რეფორმირების კომისია გადაწყვეტს. ამ კომისიის წევრი თავადაც გახლავართ და უახლოეს მომავალში გაგცემთ ამაზე პასუხს. მიმაჩნია, რომ ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ უნდა მივიღოთ, ვინაიდან ამან შეიძლება სწავლის ხარისხი უფრო გააუარესოს.

დღეისათვის ითვლება, რომ ფინეთი არის ის ქვეყანა, რომელმაც ამ სისტემაში დიდ წარმატებებს მიაღწია და, იცით, რამდენი წელი დასჭირდა ამ წარმატებას? 20 წელი! ეს ერთი შეხედვით დიდი პერიოდია, მაგრამ სისტემის ცვლილებისთვის არ არის დიდი ხანი. ამ საკითხს სჭირდება დაკვირვებით განხილვა, რათა შეცდომისაგან დაზღვეული ვიყოთ.

კონკრეტულად მკითხეთ ზოგადი უნარების გამოცდაზე, უნდა იყოს თუ არა მისაღებ გამოცდაზე მისი ჩაბარება აუცილებელი. მოგახსენებთ, ეს გამოცდა არსებობს 1901 წლიდან ამერიკაში. ვინაიდან აშშ არის ძალიან დიდი ქვეყანა და იყო ყოველთვის დეცენტრალიზებული ანუ ყველა შტატს თავისი კრიტერიუმები ჰქონდა, მომავალი სტუდენტების ცოდნაც არაერთგვაროვანი და სხვადასხვა მიმართულებების მქონე იყო ყოველთვის ამიტომ შემოიღეს ეს გამოცდა, იქ მას სხვა სახელი ერქვა, თუმცა, შინაარსით ზოგადი უნარების შემოწმების საშუალებას იძლეოდა. ამით სურდათ ამერიკელებს განესაზღვრათ საერთო დონე რაღაც საშუალო, თუმცა, მას ასევე საგნობრივი ტესტებიც ემატებოდა.

ამის მიხედვით მოხდა ჩვენთან ამ გამოცდის დამატება მისაღებ გამოცდაზე, რათა სტუდენტის აზროვნების დონე გარკვეულიყო. ისეთ ქვეყნებში, სადაც სწავლის ცენტრალიზებული ფორმა არსებობს, ანუ ყველა ერთი პროგრამით სწავლობს, ამ გამოცდის არსებობა არ არის აუცილებელი.

მეკითხებით, უნდა იყოს თუ არა ეს გამოცდა ჩვენს ქვეყანაში? თუ მივდივართ სწავლის ცენტრალიზებული ფორმის გზით, მაშინ არ უნდა იყოს, მაგრამ თუ იქნება დეცენტრალიზაცია, მაშინ უნდა იყოს. მომავალში, ამას განსაზღვრავს განათლების რეფორმების კომისია და აირჩევს ოპტიმალურ ვარიანტს, რაც შეეხება წელს, ის რჩება საგამოცდო საგნად.

**— სკოლებში თუ მოხდება რეფორმები, ვგულისხმობ, სწავლის ფორმას, სახელმძღვანელოებს, პროგრამებს.**

— გადაისინჯება სახელმძღვანელოები ისევე, როგორც პროგრამები და ეს საქმეც განათლების რეფორმის კომისიის მიერ გადასაწყვეტი საკითხია. სახელმძღვანელები უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო გეგმებს და იმ სტანდარტებს, რომელსაც შესაბამისი სამსახური შეიმუშავებს.

**ეთერ კასრელიშვილი**

„რადგან თქვენს კონტროლსმიღმა დარჩენილი ინსტიტუტები ნერვებს გიშლით, გირჩევთ, მე დამაკავოთ შეთითხნილი ბრალდებით“ – ბატონი გიგი უგულავას მიერ სოციალური ქსელით გავრცელებული მიმართვა ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი.

იყო დრო როცა სააკაშვილის ხელისუფლება დიდხანს აჭიანურებდა საკუთარი კანდიდატურის დასახელებას თბილისის მერობის პოსტზე. კვამლი უცეცხლოდ ჩნდება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ამბად გამოვიდა, ამის მიზეზი ვანო მერაბიშვილია, ის არის წინააღმდეგიო. ამას სხვა ხმაც დაერთო, მერაბიშვილმა უცერემონიოდ სტაცა ხელი უგულავას დაცვის უფროსს, ნარკოტესტზე გააქანა და საერთოდაც, კონტროლის პალატის მასალებიდან გამომდინარე, ბატონი მერაბიშვილის მითითებით პროკურატურას გვარიანი საქმე აქვს შეკრულ-აკინძული გიგი უგულავას მიერ თანხების მითვისება-ათვისებასთან დაკავშირებითო.

ჰოდა, მაშინ თუ არ გადარეულან მისი გუნდის წევრები, ახლა, როდესაც ჯერ არავის უტაცია ხელი ბატონი მერისთვის და იქნებ, არც არავინ სტაცოს, რა გახდა საგანგაშო, თუ ვთქვათ, დასუფთავების სამსახურში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური შევიდა, ან თუ ვთქვათ, რიყეზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებით დაინტერესდა რომელიმე უფლებამოსილი უწყება?

„ეს არის (პრემიერის) შეტევა საქართველოში ყველაზე მსხვილ თვითმმართველობაზე, სადაც პირდაპირი წესით არჩეული მერია, კერძოდ, გიგი უგულავა, ანუ მისი დასუსტება, მისთვის, მინიმუმ, ფსიქოლოგიური დისკომფორტის შექმნა და შესაძლოა, საბოლოო ჯამში, უშუალოდ, მისი დევნა არის მიზანი, რომელსაც ეს ყველაფერი ემსახურება,“ – დაასკვნა ბატონმა დარჩიაშვილმა.

ის, რომ თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსებული ფონდების საქმიანობა დახურული იყო ყველასთვის, ცნობილი ამბავია და ისიც, რომ მერიის ფონდებს არ ევალებოდა კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. მარტივად რომ ვთქვათ, ფონდები, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე, საკუთარი ნება-სურვილით ირჩევდნენ კონკრეტულ ფირმებს, ცხადია, რაღაც ნიშნის მიხედვით, ხოლო რა შეიძლება იყოს ეს „უცნობი ნიშანი“, სწორადაც რომ საინტერესოა – ერთი რამ ხომ ცხადია, თუ უკანონობის, ანუ დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება ამა თუ იმ საქმიანობაში, ვისაც უნდა, რაც უნდა და როგორც უნდა, ისე ამოწმოს, რა უნდა უქმნიდეს დისკომფორტს ვინმეს?

ეს ხმაური იმდენად შოთა ხიზანიშვილის დაკავებას არ მოჰყოლია, რამდენადაც შპს „ენ-სი-სი-ს“ გენერალური დირექტორის გეგი (გიგა, გიგი) ქელბაქიანის დაკავებას (ფინანსური დირექტორი არჩილ ჩოგოვაძე) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე – ორი დღის წინ გაიგო პრემიერმა, რომ თვითმმართველობები თურმე მას არ ექვემდებარება და პოლიტიკური ნიშნით ასე აპირებს ზეწოლის განხორციელებასო. უცნაური სურათი იხატება, სადაც რაიმე სახის შემოწმება ან გამოძიება დაიწყება, ყველგან „ნაციონალების“ შინაურები აღმოჩნდებიან (ამაშია საქმე!) და რა გამოდის, არაფერი აღარ უნდა შემოწმდეს, ვერ უნდა გაიგოს ახალმა მთავრობამ, სად რა დევს და რა ჩაიბარა?

მცირე ხნით სწორედ ამ ფაქტზე შევჩერდეთ – საუბარი იყო იმაზე, რომ ხსენებულმა პირებმა კონტრაქტის გარეშე ჩაურიცხეს ერთ-ერთ ფიზიკურ პირს 6 309 885 ლარი, საიდანაც აღნიშნულმა პირმა 3 031 091 ლარი ნაღდი ფული უკანვე დაუბრუნა მათ. ხალხი პოლიტიკურ დევნას ამაში ვერ ხედავს, იმას ხედავს, რომ კაცს 3 მლნ ფულის „გათეთრებას“ ედავებოდნენ და 150 000 ლარი გირაოთი კი გამოუშვეს...

# gigi ugulava:

# `girCevT, me damakavoT...~



რიყეზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოები „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ არის დაფინანსებული (რომლის დამფუძნებელიც „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდია) და საინტერესოა, რატომ იქნება პოლიტიკური დევნა, მაგალითად, რომ გამოიძიონ, რა ილეთი ჩატარდა, ვის მიერ და ვის სასარგებლოდ, როდესაც 2007 წელს შპს „ახალ რიყეს“ თბილისის ხელისუფლებამ 43 350 კმ ტერიტორია 7 მილიონად მიჰყიდა, ოღონდ, იმ „შეღავათით“, რომ ფული მოგვიანებით უნდა გადაეხადა. ამას მოჰყვა ის, რომ მალევე, მომდევნო 2008 წელს „ძველი თბილისის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდმა“, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, 17 მილიონ ლარად შპს „ახალი რიყედან“ უკანვე გამოისყიდა აღნიშნული ტერიტორია ისე, რომ ჯერ ის 7 მილიონიც არ იყო გადახდილი, ანუ 24 მილიონის გზა-კვალი გაურკვეველია?

ქელბაქიანი მას შემდეგ შემოვიდა „მოდაში“, რაც „ნაცები“ აყვირდნენ, თორემ ქელბაქიანის გვარი „თბილისის წყლის“ ქონების გასხვისებაშიც ფიგურირებდა, „თბილისის წყლის“ კომპანიის ხელმძღვანელი იყო.

„თბილისის წყალმა“ 2009 წელს საპრივატიზაციოდ ბალანსზე რიცხული ქონება გამოიტანა. წარმოიდგინეთ, სახელმწიფომ გაასხვისა ქონება და თქვა, რომ ეს საჭირო იყო იმისთვის, რათა „თბილისის წყალს“ ეფექტურად ემუშავა, ამ დროს კი „თბილისის წყალმა“ უზარმაზარი ქონება გამოიტანა გასაყიდად. ქონების ნუსხა სრულად ფარავს იმ 75 მილიონს, რომელიც ამ კომპანიამ სახელმწიფოს გადაუხადა ტენდერში. „თბილისის წყალმა“ გაყიდა უამრავი ნაკვეთი დედაქალაქში, მათ შორის, ცენტრალურ უბნებში, საცხოვრებელი ბინები, არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართები. ფული, რომელიც დაიხარჯა პრივატიზაციამდე „თბილისის წყლის“ რეაბილიტაციისათვის, შეადგენს ზუსტად 75 მილიონს – ეს არის ჯამი ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხისა. „თბილისის წყალი“ ზუსტად 75 მილიონად გაიყიდა, ანუ ფული, რომელიც „თბილისის წყლის“ შესაძენად გადაიხადა კომპანიამ, ბიუჯეტს უკვე გაღებული ჰქონდა. მთავარი კი ისაა, რომ „თბილისის წყლის“ ბალანსზე პრივატიზაციამდე ცოტა ხნით ადრე გადაეცა ქონება, რომელიც „თბილისის წყალს“ მანამდე არ აკუთვნოდა, პრივატიზაციის შემდეგ კი „თბილისის წყალმა“ სწორედ ეს ქონება გაყიდა,“ – თინა ხიდაშელი. (2011წ. ამონარიდი თინა ხიდაშელის ინტერვიუდან)

გიგი უგულავას მიზანმიმართული დისკრედიტაცია შეუძლებელია, რადგან, ისეა დისკრედიტირებული, რომ ამაზე მეტი აღარ შეიძლება... რაც შეეხება ბატონი მერის „შეთითხნილი ბრალდებით დაკავებას“ – ხვალ რომ დაიწყოს ბატონი უგულავას საქმის ძიება, მოვისმენთ მორიგ წივილ-კივილს, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა. თვითონ ისინი ვერ უარყოფენ, რომ ყველაზე ცხადი მაგალითი კორუფციისა ხელისუფლებაში, ეს იყო უგულავას მიერ ჩატარებული სამარშრუტო ავტობუსების ტენდერი. მე მოვითხოვ ბატონი მთავარი პროკურორისგან ძიების დაწყებას ბატონი უგულავას მიმართ იმ ტენდერზე, რომელიც ჩატარდა თბილისში! – ახლა ეს, რა, პოლიტიკური დევნაა?!“ – გაოცებული კითხულობს კობა დავითაშვილი.

„გიგიმ იგულავა!“ „გიგიმ პატრიარქს უყვირა!“ „გიგიმ მიტროპოლიტ სერაფიმეს ცილისწამებაში სდებს ბრალს!“ „გიგი მეუღლის მშობიარობა 22 000 ევრო დაუჯდა თბილისის ბიუჯეტს!“ „გიგი ორგიებს აწყობს ხალხის ფულით!“ „გიგი სამჯერ იყო საახლობლო წრესთან ერთად ლას-ვეგასში!“ და მსგავსი განცხადებებით გაუჭირეს საქმე გიგის.

არა, ბატონო, 2011-2012 წლებში საქმეზე იყო აშშ-ში, ოფიციალურ პირებს შეხვდა, გამოცდილების გაზიარება ხდებოდა და ერთ-ერთი ვიზიტის დროს ლას-ვეგასში ნარჩენების გადამტანი და გადამამუშავებელი ტექნიკის გამოფენასაც დაესწროო – განცხადება გაავრცელა თბილისის მერიამ. საინტერესოა, საიდან გავრცელდა ხმა, რომ არსებობს დოკუმენტები, სადაც ვიზიტის მიზნებია მითითებული 1. გამოცდილების გაზიარების მიზნით (20 ათას ლარამდე) 2. საქმიანი ვიზიტი (15 ათასი ლარი) 3. გამოფენა „ვეისთ ექსპოზე“ რომელზე დასწრებაც 17 ათას ლარამდე დაუჯდა ბიუჯეტს; ან ის, რომ გიგის საახლობლო წრე მისი მეუღლის, ცოლის დის, გოკა გაბაშვილისა და მისი მეუღლის, გია ბარამიძისა და მისი მეუღლის და მეუღლის მეგობარი ვიჟაზისტის მარი გოშხეთელიანისგან შედგებოდა?

„ჩვენი თავდაცვის იარაღია მართალი სიტყვა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობა (ამ გახსენებაზე, ამ სიტყვის მწარმოებელი სადაა?). ჩვენი ვალია, დავიცვათ თვითმმართველობები, რომელსაც დღეს პაჭანიკებივით შეესივნენ... ყველა ლეგალური საშუალება უნდა გამოვიყენოთ, ყველა უფლება, რომელიც ადამიანს გააჩნია, ყველა პუნქტის მიხედვით, რომ ამ ახლადგამომცხვარ ჩეკისტებს არ მივცეთ შესაძლებლობა ქვეყანა დაანგრიონ!“ – ბორგავს ბატონი მერი.

„ჩეკისტებმა“ რომ იკითხონ, რატომ მოექცა თბილისის მერის განკარგვაში დაბა გუდაურის რეაბილიტაციის პროექტი, რატომ იქნება გასაკვირი, რადგან, ფაქტია, რომ „გუდაურის ფონდის“ ვებ-



გვერდიდან ვერაფრით გაიგებენ, ვინ არის ფონდის ხელმძღვანელი ან რა მისამართზე უნდა მიაკითხოს დაინტერესებულმა პირმა, ფონდი მხოლოდ ქალაქის მერის წინაშეა ანგარიშვალდებული; ცხადია, ინტერესს დაბადებს ისიც, რა კავშირი აქვს ბატონ მერს „გუდაური აპარტ ოტელსა“ და სასტუმრო „დაიმონდთან“;

ასევე, არ არის გამორიცხული, რომელიმე „ცნობისმოყვარე პაჭანიკი“ დაინტერესდეს, ყველა ტენდერიდან სატენდერო ღირებულების 20% მართლა პირადად მერისა იყო თუ იგონებენ? (მართალი კაცი თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული მასზე გავრცელებული ბოროტი ხმების გაუვნებელყოფით);

ასევე, მართლა მხოლოდ ბატონი მერის სანათესაოსა და სამეგობრო წრის სამშენებლო და სარემონტო კომპანიები არიან ყოველთვის „ტენდერში გამარჯვებულები“ და მართლა მხოლოდ მათ აბარია ყველა საჭირო მასალის შემოტანა უცხოეთიდან, როგორც გუდაურის, ისე „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლის“ შემთხვევაშიც?

ასევე, რას ემსახურებოდა პროექტი, რომლის მიხედვითაც მოსახლეობას იმ მიწების დაკანონების უფლება მიეცა, რომელსაც მანამდე, ფაქტობრივად, ფლობდნენ;

ასევე, რამდენი კილოგრამი ოქრო დაიხარჯა „ხვლიკი და კაცზე“ (ე.წ მებრძოლ რაინდზე, იდეაში წმინდა გიორგიზე), რამდენადაც მახსოვს, 11 კგ ოქროზე იყო საუბარი, თუმცა სპეციალისტები კომენტარს აკეთებდნენ, 11 კგ ოქრო მთელი თავისუფლების მოედნის გაოქროცურვილობას ეყოფოდაო;

ასევე, როგორ და სინამდვილეში რატომ გაიჩეხა მდინარე ვერეს ხეობა; გარდა ამისა, სად წავიდა ან აისახა მოჭრილი ხე-მასალა, რა თანხა დაჯდა რეალურად ვაკე-საბურთალოს ჩქაროსნული ავტომაგისტრალი (2800 მეტრი), სად გაქრა ამ საქმეზე გამოყოფილი და „ხურდად“ დარჩენილი მილიონები;

ასევე, რატომ მოხდა ისე, რომ ყოველგვარი ტენდერის გარეშე განახორციელა შესყიდვა „თბილისის განვითარების ფონდმა“ და დაიწყო აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია; რა თანხა დაჯდა რეალურად (რამდენი მილიონი) ხე-ბუჩქამოძირკვული და გაგიბსოკარდონებული აღმაშენებლის ქუჩა და სად წაიღეს ან რაში აისახა ხე-მასალა; სულაც, გაირკვეს, ხსენებული ქუჩის რეაბილიტაცია გიგა ბოკერიას მეუღლის კუთვნილმა სამშენებლო ფირმამ განახორციელა, მართლა მას ჰქონდა ინტერესები ფირმა „არტესში“ და უხარისხოდ დაგებული ქვაფენილიც ამ მხიარული გოგონას დანაშაულია, რომელიც 10 მილიონი დაჯდა?

ასევე, რა უსაშველო დაადგა „გმირთა მოედნის“ მრავალგზის „გალამაზებას“, რა თანხა დაჯდა რეალურად და სად წავიდა „ხურდა“;

ასევე, რატომ ვერ ეკრობა ასფალტი (ან ქვამასალა) ძველ ფენას ჯეროვნად და ამის გამო რატომ ხდება გამუდმებით საჭირო ასფალტის დაგება იქ, სადაც ახალი დაგებულია; ასევე, ძალზე საინტერესოდ ჩანს ის ამბავიც, რომ წლების განმავლობაში რაღაცას თხრიან ცალკეულ ქუჩებზე, მერე, თითქოს იპოვეს ის რაღაცა და აგებენ საფარს; მომდევნო წელს კვლავ და ასე, დაუსრულებლად – ერთხელ მაინც გამოიძიოს ვინმემ, რას ეძებენ ასე გამუდმებით, ანუ, უფრო სწორად, რა ჯდება ეს გამუდმებული ძებნა ვიღაცის (ვიღაცების) სასარგებლოდ ლარებში და ვინ არის ის „ვიღაც“;

როგორც ე.წ „უმცირესობა“ ამბობს, ამგვარი საქმეებით „პაჭანიკების“ დაინტერესება მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, გამოძიების გიგი უგულავაზე „გასვლას“ – რა „გასვლა“ უნდა, გამოძიებას წინ არ ულაგია ყველაფერი? – მოკლედ რომ ვთქვათ და ბატონ გიგისავე ნათქვამის პერიფრაზირება მოვახდინოთ, გამოსაძიებელი კიდევ ბევრია!

**მაია ჭელიძე**

**გვესაუბრება პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წევრი ლუკა კურტანიძე**

**– ბატონო ლუკა, ჩვენი პარტნიორი ქვეყნები პოლიტდაჭერებს პოლიტიკურ დევნად აფასებენ. როგორ ფიქრობთ, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?**

– ივანიშვილის გონივრული ბრძოლა თითოეული ჩვენგანისთვის მაგალითის მომცემი უნდა იყოს. იგი აქტიურ პოლიტიკაში სამშობლოს გადასარჩენად შემოვიდა. სააკაშვილის უგუნურმა მოქმედებებმა, სიჩქარეში ზედაპირულად გაკეთებულმა საქმეებმა სრულ კატასტროფამდე მიგვიყვანა. თუ გვინდა ქვეყნის მშენებლობა ფასადურად გავაგრძელოდ, ეს იმ კრახამდე მიგვიყვანს, რა კრახიც სააკაშვილის გონებადაბნელებულმა ხელისუფლებამ განიცადა. სააკაშვილმა, ჩვენი ქვეყანა მთელი მსოფლიოს დასაცინი გახადა. ამიტომ რასმუსენის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლების განცხადებები განპირობებულია სწორედ იმით, რომ ქვეყანას სააკაშვილისნაირი გაუნათლებელი ადამიანები მართავდნენ. ქვეყნის ე.წ. პრეზიდენტი, რომელიც ცრუპენტელაა, საზოგადოებას წლებია ატყუებს და იგივე ევროპაშიც იკადრა. მაგრამ ხალხი ბრძენია და ხვდება თუ ვისთან აქვს საქმე. სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით უკვე ხელმოწერები გროვდება და ჩემი აზრით, აუცილებელია ქვეყნის განვითარების ეს მუხრუჭი საზოგადოებამ, რაც შეიძლება მალე მოაშოროს ხელისუფლებას.

**– ამის გაკეთება როგორ წარმოგიდგენიათ? ადრე ბატონმა ბიძინამ იმპიჩმენტზეც ისაუბრა, თუმცა მოგვიანებით ამაზე საუბარი, მისი მხრიდან, შეწყდა.**

– ეს ბატონი ბიძინას ვალდებულება კი არა, არამედ მთავრობის, საზოგადოების მოთხოვნილება უნდა გახდეს, რათა ეს გონებაავადმყოფი ადამიანი, რომელიც ევროპაში და ყველგან ცრუ ინფორმაციებს აგზავნის, რაც შეიძლება მალე მოვიშოროთ. საზოგადოება აქტიური უნდა იყოს. მან არამარტო სააკაშვილი, არამედ ყველა ვინც სახელმწიფო მართვაში შეცდომა დაუშვა, ქვეყნის მართვას უნდა ჩამოაშოროს. დემოკრატიის ე.წ. შუქურამ – სააკაშვილმა მსოფლიო პოლიტიკის მაგალითები უნდა გაიზიაროს და დროულად წავიდეს. მან დემოკრატიის შუქურის ცრუ მანტია მოირგო და დემოკრატიას ჩირქი მოსცხო. ეს ცვლილება ახალ მთავრობას საზოგადოებამ უნდა შესთავაზოს. საზოგადოება უნდა იყოს იმის მასტიმულირებელი, რომ საქართველოში ხელისუფლების მხრიდან გადაცდომები არ მოხდეს. სწორედ ასეთ ძლიერ საზოგადოებაზე საუბრობს ბიძინა ივანიშვილი.

**– როგორი უნდა იყოს ამ ყველაფერზე ძლიერი საზოგადოების რეაქცია?**

– 9 წლის მანძილზე სააკაშვილის არაადეკვატური ხელისუფლება გვყავდა. ყველაფერი, რაც ხდება სწორედ ამის გამოძახილია. მინდა გაგახსენოთ, ბაჩო ახალაიაა ის კაცი, რომელსაც კისერზეც უამრავი ადამიანის სისხლი, სიცოცხლე აწევს. სწორედ ეს ადამიანი ახშობდა სისხლით ყველაფერს. მან უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა, 26 მაისის ჩათვლით უამრავი ბოროტება ჩაიდინა. იგი ვერანაირად ვერ ჩაითვლება პოლიტ.პატიმრად, არამედ მან, ჩადენილი დანაშაულობებისთვის სამაგალითოდ უნდა აგოს პასუხი. ვინც მას მხარს უჭერს, ამბობენ ბაჩო პოლიტ.პატიმარიაო, სწორედ ისინი არიან რევანშისტები, რომელთაც საკუთარი ტყავის გადარჩენა სურთ. თითოეული მათგანი: მინაშვილი, გაბაშვილი, წიკლაური, ბარამიძე უშუალოდ იმ სისხლისღვრის მონაწილენი არიან, რაც ამ 9 წლის მანძილზე ხდებოდა. მათი და სხვა არავის ხელშეწყობით გახდა სააკაშვილი გონებადაბნელებული. ასეთი ნაძირალა ადამიანების გარემოცვა რომ არა, სააკაშვილს შეიძლება ნაკლები შეცდომები დაეშვა. ისინი ტყავის გადარჩენის მიზნით, დღესაც თავიანთ შეცდომებს ამართლებენ. გაუგონარი სისასტიკე ხდებოდა – ადამიანებს პირდაპირ ქუჩაში ხვრეტდნენ, ციხეში ყოველგვარი გამოძიების გარეშე უშვებდნენ. ზვიად გამსახურდიას დროს საქართველოში 5 ათასი პატიმარი იყო, მთელი მსოფლიო აღშფოთებული იყო ამ ფაქტით და ამბობდნენ, რომ პატარა ქვეყანაში ამდენი პატიმარი არ უნდა ყოფილიყო. ახლა უკვე 25 ათას პატიმარზე მეტი გვყავს. რაც ჩვენ ბოლო დროს ვიხილეთ ყოველგვარ ზღვარს სცდება. რატომ არის ლუკა კურტანიძე ასეთი რადიკალური? –იმიტომ რომ სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო, ასე არ ვაზროვნებ, არამედ ყველამ, იმ პატიმრების ადგილას საკუთარი შვილი უნდა წარმოიდგინოს. 15-16 წლის ბავშვი თმებით ითრია ხელისუფლების წარმომადგენელმა, ოფიცერმა, „სამართალდამცავმა“, გარდა ამისა, პატიმრები საპატიმროებიდან ცხვრებივით გამოჰყავთ და სასტიკად უსწორდებიან, დასცინიან, ასეთი მოპყრობა მხოლოდ ნაცისტების დროს თუ იყო. ასე ნაწამები არასრულწლოვანი, რომელსაც ოცი „სამართალდამცავი“ ჯერ წელს ზევით აშიშვლებენ, მერე თმებით ითრევენ, საზოგადოებას ჯანმრთელი როგორ დაუბრუნდება? ამიტომ თუთბერიძეები და სხვები, ვინც ბაჩო ახალაიას და მისთანებს ამართლებენ, ერთად აღებული იმ ნაძირლების ხროვას შეადგენენ, რომელიც საზოგადოებამ უნდა ამოშანთოს. საზოგადოებამ მათ ხელისუფლების სიახლოვეს ყოფნის შანსიც კი არ უნდა მისცეს. აი, სწორედ ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ზრუნავს ივანიშვილი. ეს საზოგადოება აუცილებლად ჩამოყალიბდება.

მე, ლუკა კურტანიძემ ამ წლების მანძილზე, 26 მაისის ჩათვლით, ბევრი უბედურება გამოვიარე. ხალხი გამარჯობას არ მეუბნებოდა იმიტომ, რომ მათ სამსახურის დაკარგვის ეშინოდათ, როდესაც სპორტ-დარბაზში ტელევიზიის კამერები იღებდნენ, მათ საშუალებას არ აძლევდნენ ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონი, რომელიც დარბაზში ვარჯიშობდა, კადრში მოხვედრილიყო, მეზობლებს გამარჯობის თქმის ეშინოდათ, დღეს როდესაც ეს ბორკილი მოიხსნა მათ ჩემდამი საკუთარი გულწრფელი დამოკიდებულება გამოხატეს. სისხლიან 26 მაისს ცოცხალი ღვთის წყალობით გადავრჩი. თავისუფლების მოედანზე დასისხლიანებული, დამტვრეული მათრიეს, როგორც ძაღლი, დამთრგუნეს, ადამიანობა წამართვეს, დიღომის სამმართველოში სამართალდამცავები ჩემს თვალწინ ასობით ადამიანს სისხლს ანთხევიებდნენ და მათი სისხლით მორწყეს დიღმის სამმართველო. ასე ნაწამები ადამიანი, დღეს ვამბობ: ყველას შევუნდობ, ვპატიობ იმ უბედურებას რაშიც გამომატარეს, ოღონდ ერთი რამ მინდა – მსგავსი რამ აღარ უნდა განმეორდეს.



# Tu maTgan gulwrfeli sinanuli vigrZeni, yvelas Sevundob, imaTac ki, vinc rusTavelze, rogorc bolo naZirala, ise maTries...

მე ლუკა კურტანიძე, ყველა იმ ადამიანს, ვინც სული ამომგლიჯა, ფიზიკურად გამისწორდა, ვინც დამასისხლიანა და ჩემს ფსიქიკაზე იმოქმედა, ყველას ვპატიობ, შენდობას ვაძლევ, მაგრამ ვინც ეს დანაშაული ჩაიდინეთ ადამიანურად გთხოვთ თუ ვაჟკაცობა გეყოფათ მოდით და შენდობა მთხოვეთ.



ჩვენ გვინდა რომ ერთმანეთი დავიბრუნოთ, ამიტომ ბევრ რამეს გპატიობთ. მართალ ქართველ კაცს, ყოველთვის შეუძლია ბევრი მოითმინოს, შეუნდოს, მაგრამ თუ იგი ხედავს რომ სინანულის ნაცვლად აგრესია, ბოროტება მოდის, ასეთ შემთხვევაში ქართველი კაცი ყოველთვის მკაცრი იყო და ბოლომდე მიჰყავდა ბრძოლა და საერთოდ ამოშანთავდა ასეთ ელემენტებს. ასეთი ადამიანები საშიშნი არიან და საზოგადოებამ ისინი საერთოდ უნდა მოკვეთოს. ადამიანებმა, რომლებმაც ამ ბრძოლაში ჩაბმით ოჯახები რისკის ქვეშ დააყენეს, დღემდე უმუშევრები არიან, ხოლო ვინც გვებრძოდა და გვჩაგრავდა, ისინი ისევ საჯარო მოხელეები არიან. კი, ისინი თავიანთ საქმეს ასრულებენ, მაგრამ რა დააშავეს ადამიანებმა, რომლებიც ციხეში უსამართლოდ ისხდნენ, რეპრესირებულნი იყვნენ. საზოგადოება გაღიზიანებულია მინაშვილის და მისნაირების განცხადებებით. მას ბიძინა ივანიშვილის გონივრული გადაწყვეტილებების და მართვის დიდი მოლოდინი და იმედი აქვს. ხალხმა კარგად იცის, რომ მოთმინებაა საჭირო. მაგრამ სიფრთხილე გვმართებს იმ მხრივ, რომ კრიმინალებს, როგორიც ახალაია და სხვები იყვნენ, ქვეყნის მართვის საშუალება აღარ მივცეთ. ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა და ზედმეტხორცი ესაა სააკაშვილი, რომლის ხელისუფლებიდან მოკვეთას საზოგადოებამ უნდა შეუწყოს ხელი და ქვეყანას სწორი განვითარების საშუალება მისცეს. მყარად უნდა დავდგეთ და ხელისუფლებას მოვაშოროთ ის ადამიანი, რომელიც საერთაშორისო არენაზე თავისი ცრუპენტელობით საფრთხეს გვიქმნის. აღარ შეგვიძლია, გვეყოფა ამ მოღალატის და მისი კლანის კვება. საზოგადოება ამას აღარ დაუშვებს. ჩვენ უარს ვამბობთ ამ ადამიანის პრეზიდენტად მოხსენიებაზე, იგი ტყუილით, სისხლით მოვიდა და მას სახელმწიფოს მართვის საშუალება არ უნდა მივცეთ. ამიტომ საზოგადოებამ მონაწილეობა უნდა მივიღოთ, იმაში რომ იგი პრეზიდენტის პოსტს რაც შეიძლება მალე მოვაშოროთ.

**– თავად ნაციონალების პარლამენტში ყოფნა და იქედან ჭკუის დარიგებაც ალოგიკური ხომ არ არის ამ ყველაფრის შემდეგ?**

– გეთანხმებით, ნამდვილად ალოგიკურია. ეს ხალხი ოპოზიციად ვერასოდეს ჩაითვლება. ოპოზიციაა ის ხალხი, ვინც ხალხზე ზრუნავს და თავზე საკუთარი ხალხის სისხლი არ აწევს.

**– უნდა დადგეს თუ არა სხვა მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი, მათ შორის, მერაბიშვილის, პრეზიდენტის და ა.შ.?**

– რა თქმა უნდა. ეს სამართლებრივად უნდა იყოს გაძლიერებული, რასაც დრო სჭირდება. სააკაშვილს რაც შეეხება, სამაჩაბლო, ცხინვალის რეგიონი, მან დაკარგა. მის შეცდომასა და ინტრიგაზე უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლეა. აფხაზეთი, კოდორის ხეობაც მისი შეცდომის შედეგია. ამ ადამიანმა გაყიდა და ქვეყანას გამოაცალა ის დასაყრდენები, რაც გვქონდა. მან მთელი ცხინვალი დაადუღა. ახლა ათმაგი ბრძოლა გვიწევს რომ ეს ადამიანები, მათი ნდობა დავიბრუნოთ. არ შემიძლია არ ვთქვა, ერთ-ერთი ვაიპოლიტიკოსის ვახტანგ რჩეულიშვილის შესახებ, რომელიც გამოდის და ამბობს, რომ მას ეს მშენებლობები, გზები მოსწონს. მის ოჯახში სისხლი არ შესულა და ამ გადმოსახედიდან ძალიან ადვილია ლაპარაკი. თუ შვილს ციხეში თმებით მითრევენ და საქართველოს ნაცარტუტად მიქცევენ, სხვა რამ არაფრად მიღირს. სანამ რამეს იტყოდე უნდა დაფიქრდე, რა გასაჭირი გამოიარა ქართველმა ხალხმა. თორემ, ქართველი საზოგადოება ასეთ ადამიანებს ძალიან მკაცრად მოუბრუნდება და პასუხს აგებინებს. ვახტანგ რჩეულიშვილს ვურჩევ კარგად დაფიქრდეს იმიტომ, რომ საზოგადოება მას სხვის გასაჭირზე საკუთარი ცხოვრების მოწყობას არ აპატიებს. სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი ველარ იქნება იმიტომ, რომ დღეს ქართველი საზოგადოება გმინავს.

**– წეღან თქვით, 26 მაისს, რაც გამიკეთეს, ყველას შევუნდობ თუ პატიებას მთხოვენო. თქვენ ადრე ამ უბედურების მონაწილედ უდესიანსაც ასახელებდით. ვინ არიან კიდევ 26 მაისის შემოქმედნი და რას გულისხმობთ შენდობაში?**

– ვინც სისხლის სამართლებრივი დანაშაული ჩაიდინა, რა თქმა უნდა მან პასუხი უნდა აგოს, რათა საკუთარი დანაშაულის ტყვე არ გახდეს. მაგრამ არის დაუწერელი კანონებიც. ახლა ათასობით ადამიანის ენით ვლაპარაკობ, ვინც იმ დღეს ჩემთან ერთად იყო, მათ კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ, მაგრამ მათ შევუნდობთ ცხოვრებას ერთად გავაგრძელებთ და არ გვექნება ჩასაფრებული, მტრული განწყობა. კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ, მაგრამ თუ გულწრფელი სინანული ვიგრძენი მათგან, მე შევუნდობ ჩემს მტრებს, დიახ, მტრებს, ვინც სული და ხორცი დამაგლიჯეს და რუსთაველის და თავისუფლების მოედანზე, როგორც ბოლო ნაძირალა ისე მათრიეს.

როდესაც ელემენტარული საყოფაცხოვრებო პრობლემები მქონდა, ეს ადამიანები ჩემზე ზეწოლას ახდენდნენ. ახლა პირველად ვამბობ: ზედამხედველობის სამსახურმა, რომელმაც დაასკვნა, რომ თურმე ჩემი ღობე დასაშვებ ნორმაზე 20 სმ.-ით მეტი ყოფილა, მოვიდა და ჩემი სისხლით, ოფლით ნაშრომი გაკეთებული საქმე დამინგრია იმიტომ, რომ ლუკა კურტანიძე სამაგალითოდ უნდა დაესაჯათ. მათ ვეუბნებოდი ნუთუ არაფერი ადამიანური არ გაგაჩნიათ, ეს ხომ მე წვალებით მაქვს გაკეთებულიმეთქი, ისინი მპასუხობდნენ – ჩვენ კანონი უნდა შევასრულოთ და თქვენ მას უნდა დაემორჩილოთო. რომელ კანონიერებაზე იყო საუბარი, როდესაც ცოცხალმკვდარი გამათრიეს რუსთაველიდან, სისხლი მადენინეს დიღომის სამმართველოში ე.წ. სამართალდამცავებმა, სად იყო მაშინ კანონი? რომელი ერთი ჩამოვთვალო. ეს ადამიანები, ვინც ყველაფერი დამინგრია, ისევ ზედამხედველობის სამსახურში თავიანთ ადგილებზე არიან და მუშაობას განაგრძობენ. ეს ინტერვიუ მინდა ყველასთვის ზარის შემოსმის ხმა იყოს. ზარი შემოვკარი იმისა, რომ გპატიობთ, მაგრამ მეც მინდა როგორც ადამიანს გამიგოთ, ცრემლიანი გელაპარაკებით, კარგად ჩაწვდით იმ ადამიანებს, ვისაც სული და გული დაუმახინჯეთ და არაადამიანებად აქციეთ. წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ჩემში დღესაც ღრმად ამჩნევია ეს კვალი. თუ სინანული ვერ დავინახეთ, ვაჟასი არ იყოს, ისეთ დღეს დაგაყრით მკვდარსაც კი გაეცინება.

**თამარ შველიძე**

# me-9 arxidan `nacionalebis~ agentura garbis...

რა მოხდა „მე-9“ არხზე რეალურად და რა იმალება საინფორმაციო საშუალებებით გადაცემული სიუჟეტების უკან ისეთი, რაზეც, ჯერჯერობით, არც ივანიშვილი საუბრობს, არც ყოფილი დირექტორი კახა ბექაური და არც არხის მფლობელი ეკატერინე ხვედელიძე? რატომ დატოვა არხი 10 ჟურნალისტმა, წამყვანმა ნათია ლაზაშვილმა, პროდიუსერებმა და საინფორმაციოს ხელმძღვანელმა თამარ რუხაძემ? ნუთუ მიზეზი მხოლოდ ლუბა ელიაშვილშია და შესაძლებელია მასთან ურთიერთობის აწყობას (უკვე დირექტორის რანგში) თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა აღნიშნული გუნდი?

ჩემი ღრმა რწმენით და არა მხოლოდ, ჩემი – „მე-9 არხის“ 8 თვიანი მაუწყებლობა ვერანაირ კრიტიკას მართლაც ვერ უძლებდა და როგორც ხუმრობენ, კიდეც, იგი „საცდელი მაუწყებლობის“ არეალს ვერა და ვერ გასცდა!

არადა, ფინანსები, ტექნიკური ბაზა და ყველანაირი ხელშეწყობა, (მათ შორის მაღალი ხელფასები), დამეთანხმეთ, რომ არხის წარმატებისთვის უპირველესი გარანტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩართავდი ტელევიზორს „მე-9 არხზე“, გარეთ ქვეყანა ინგრეოდა და შენ განცვიფრებული შესცქეროდი „დოკუმენტური ფილმების“ უწყვეტ ქრონომეტრაჟს. მოგვიანებით, უხარისხო საინფორმაციო გამოშვებას გვთავაზობდა თამარ რუხაძის ნაქები გუნდი. შემდეგ ყოფილ „ნაცთან“ ვასიკო მაღლაფერიძესთან ერთად“ გიშლიდა ნერვებს. ახლა დილის პროგრამაზე შეგნებულად არ ვამახვილებ ყურადღებას, რადგან მაყურებელმა ჩემზე უკეთ იცის, რა ხარისხის ტელეპროდუქციაც იყო იგი!

ძვირფასო მკითხველო და ასევე ძვირფასო ტელემაყურებლებო, ის, რაც ჩამოვთვალე, განა საკმარისი არ იყო იმისთვის, რომ მე-9 არხის წამყვანი შემადგენლობა შეცვლილიყო და არხის მფლობელს გასჩენოდა სურვილი, საკუთარი ტელევიზია მართლაც წარმატებული ენახა?

**ერთი გამაგებინა, რომელმა „ჭკვიანმა“ ურჩია ბიძინა ივანიშვილს გენ. დირექტორად მაინცდამაინც კახა ბექაური დაენიშნა და რომელმა „პროფესიონალმა“ შთააგონა, ბექაური მაგარი „ტელევიზიონშიკია“ და თქვენს არხსაც ისე ააწყობს, თქვენ რომ გეკადრებათო?**

და, ერთიც, დღეს რომ არხთან დაკავშირებით კატასტროფული პრობლემებია, იქნებ სწორედ ბექაურის პროტეჟეს ღვაწლია და „სადღაც“ დაწერილის მიხედვით ძირშივე იყო დაგეგმილი ისიც, რომ ეს არხი აგრერიგად ულიმღამო ყოფილიყო?

რატომ? რატომ და იმიტომ, რომ კახა ბექაური ყოველთვის მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდა და მეტიც სულ ფეხებზე ეკიდა – სახელმწიფო ფიუჯეტს მოპარავდა ფულს თუ კერძო ტელევიზიას, გამიგეთ?

**თუ მეხსიერება არ მღალატობს (და არასოდეს არ მღალატობს მავანთა გულის გასახეთქად) ეს ის ბექაური უნდა იყოს, საზოგადოებრივ არხზე ზაზა შენგელიას მოადგილე რომ გახლდათ და რომელმაც „ბატონ“ ზაზასთან ერთად, ძვლამდე გამოხრა არათუ საზოგადოებრივი არხი, არამედ აჭარის ტელევიზიაც.**

ამას წინათ, როცა აღნიშნულ არხზე ფინანსური აუდიტი შევიდა, ასევე კბილებდალესილმა „კრისა“ გია ჭანტურიამ თქვა: – „90-იანი წლებიდან მოყოლებული, აქ რევიზია არავის ჩაუტარებია, ბიძინა ივანიშვილის მთავრობის გარდაო“, მაგრამ იცრუა ჭანტურიამ, რადგან სწორედაცა რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ, მოსვლიდან რამდენიმე თვეში, გაუგონარი აუდიტი, „დაარტყა“ ტელევიზიის მთელ პერიმეტრს და მაშინ მთელი ტელევიზია იმაზეც ლაპარაკობდა, რომ შენგელიას და ბექაურს ვირის აბანოს მონატრებდნენ. „ნაცები“, დიახ, თანხების არამიზნობრივ გაფლანგვაში ედავებოდნენ, მაშინ „ვარდოსნები“ შევარდნაძის საყვარელ ზაზას და კახა ბექაურს, მაგრამ მიშამ ისინი რატომღაც დაინდო, არ დააპატიმრა და სავარაუდოდ, არ დააპატიმრა გარკვეული შეთანხმების შემდეგ, რაც ოპოზიციურ საბურველს ქვეშ „ნაციონალურ თამაშს“ გულისხმობდა.

**დღეს ტელევიზიიდან მოტეხილი ფულის წყალობით ზაზა შენგელია ოფიციალური მილიონერია,**

აქვს თავისი საკუთარი ხმის ჩამწერი სტუდია და „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ არათუ არავის უკითხავს საიდან ეს ფული? – არამედ ხელსაც კი უწყობდნენ ხელისუფალნი, ემანდ არაფერი მოგაკლდესო. ზაზა შენგელიას ოფიციალური „კაშილიოკი“ კახა ბექაურიც არ უჩიოდა ბედს.



**„ვარდოსანთა“ მოსვლის შემდგომ, ყოველ შემთხვევაში არსად დაბეჭდილა, და არც მე მსმენია, რომ ბექაური ვილაცამ შეავიწროვა, მოპარული ფული თუ აპარატურა უკან დააბრუნებინა, სახლები, მანქანა ჩამოართვეს და საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს,**

მეტიც, არავის უხსენებია, რომ მის ოჯახზე ზეწოლა ხორციელდებოდა და ა.შ. ანუ, ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ ბატონი კახა, რაღაცა ჯადოსნობით, „ნაციონალების“ თვალთახედვიდან საეჭვოდ გაქრა და ვიტოვებ გონივრულ ეჭვს, რომ გაქრა არა იმიტომ, რომ უმწიკვლო იყო თავის საქმეში, არამედ გაქრა იმიტომ, რომ „ნაცები“ თავის ხალხს არ ბომბავდნენ.

ახლა, გადავიდეთ მე-9 არხის სხვა ყოფილ თანამშრომლებზე, რომლებმაც აბსოლუტური აბდაუბდის მოშველიებით ხმაურიანად დატოვეს ივანიშვილის ოჯახის ტელევიზია. ხომ საინტერესოა, ვინ არიან ეს ადამიანები და როგორი გული უძგერდათ მათ ძვირადღირებული „შმოტკების“ ქვეშ?

მაშ, ასე! დავიწყოთ **თამარ რუხაძით...**

ქართველი ტელემაყურებლისთვის ქალბატონი თამარი არცთუ ნაცნობი ჟურნალისტია, მაგრამ რამდენიმე ხნის წინ იგი დიდ სკანდალში გაეხვია და რომ არა „ნაც. მოძრაობის“ გულმოწყალება – იგი დღეს ციხეში იჯდებოდა.

საქმე ეხება თბილისში, სანაპიროზე, კერძოდ კი „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ ავტოავარიას, რომლის დროსაც საჭესთან მჯდომმა რუხაძემ ფეხით მოსიარულე მამაკაცს ავტომობილი დააჯახა და უკანასკნელი, უმძიმეს მდგომარეობაში, რეანიმაციის განყოფილებაში სიკვდილს დიდხანს ებრძოდა.

**მაშინ გავრცელებული ინფორმაციით, ქალბატონი რუხაძე ნასვამი მართავდა საჭეს, მაგრამ როგორც „ნაციონალურ სინამდვილეში“ ხდებოდა ხოლმე, დამნაშავე არა ქალბატონი თამარი, არამედ ქვეითად მოსიარულე მამაკაცი აღმოჩნდა და საქმეც ასე დაიხურა.**

ახლა ვეკითხები ყველას: ბიძინა ივანიშვილის ოჯახის ტელევიზიაში მომუშავე თამარ რუხაძე მართლაც ოპოზიციურად განწყობილი, თუნდაც ბოლომდე სიმართლის მთქმელი ჟურნალისტი რომ ყოფილიყო ვანო და მიშა დაინდობდნენ? რასაკვირველია, არა! ჰოდა, სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული და კახა ბექაურმაც მთავარი საინფორმაციოს ხელმძღვანელად სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით მიიყვანა არხზე, რათა საინფორმაციო რომ საინფორმაციოა, ისიც კი „ნელთბილი“ ყოფილიყო ივანიშვილის თუ ხვედელიძის არხზე. გამიგეთ?

**ბარემ აქვე მისი „უდიდებულესობა“ ვასილ მაღლაფერიძეც, რომელსაც ლამისაა ყოველდღიურად ჰქონდა „კონსილიუმები“ სადამოს ეთერით მე-9 არხზე...**




ვინ არის ვასო? ვინ არის და მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი, რომელიც მიშა სააკაშვილმა დიდი ამბით დანიშნა. ვინ არის და სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთი ავტორი. იგი კიდევ ბევრი „ვინმე“ არის, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ვასო იმ გასაღების პატრონია, რომელმაც ზურაბ ჟვანიას ცხედრის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანამდე, „ერთი ბინა“ გააღო და შემდეგ ათასი ტყუილი თქვა, ვანოს და მიშას გულის გასახარად.

**ახლა ისევ გეკითხებით ყველას – სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ფულის, ანუ ბიუჯეტის მიტაცებაში შემჩნეული კახა ბექაური, ყოფილი გუბერნატორი და ჟურებით (აქ, შეიძლება, სხვა სიტყვაც ვიხმაროთ) დაჭერილი ვასიკო მაღლაფერიძე და სააკაშვილთან ვალში მყოფი ჟურნალისტი თამარ რუხაძე ივანიშვილის ოჯახის ტელევიზიაში ასე ერთ გუნდად შეკრულნი შემთხვევით აღმოჩნდნენ? რასაკვირველია – არა!**

აბა, მაშ, რა გასაკვირია, რომ მათ ჭეშმარიტად ობიექტური ქართველი ჟურნალისტი ქალის – ლუბა ელიაშვილის გენ.დირექტორად დანიშვნა ჯერ გაეპროტესტებინათ და მოგვიანებით კი მიშას ცოცხებზე შემომჯდარიყვნენ და მეცხრე არხიდან აფრენილიყვნენ?

ეგ კიდევ არაფერი. პროფესიონალი ჟურნალისტის ლუბა ელიაშვილის მისამართით და ზოგადად, „მე-9 არხის“ მისამართით, მოგვიანებით, იჭვნარევი კომენტარები „დედა-ექსპერტმა“ ია ანთაძემ, ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტომა შორენა შავერდაშვილმა და „დიდმა ქართველმა“ ნინია კაკაბაძემაც რომ გააკეთეს – „ნწუ, ნწუ, ნწუ, ელიაშვილის ხელში არხი „რამდენად შეინარჩუნებს დამოუკიდებლობას, ძნელი სათქმელიაო“, –რას ნიშნავდა? ე.ი. შენიღბული „ნაცების“ მიერ მართული მე-9 არხი, ბექაურის ზეობის პერიოდში ობიექტური იყო, გაწონასწორებული იყო და ახლა ახალი დირექტორის ხელში მთელ ამ „მონაპოვარს“ საფრთხე დაემუქრებაო, ხომ? ეი, თქვენ! გრანტიჭამია ძალათ ექსპერტებო, თქვე „თავისუფლების ინსტიტუტის“ შხამნაწოვნო რამ შეგაშფოთათ, რამ აგაფორიაქათ და რამ დაგადარდიანათ? ნუთუ მხოლოდ „დაბალანსებულ-დავარცხნილი“ საინფორმაციო გამოშვების დარდმა გაგიტეხათ ძილი?

**ჩემი ღრმა რწმენით, ლუბა ელიაშვილის მე-9 არხის გენ. დირექტორად დანიშვნა იმიტომ არ გეპიტნავათ, რომ ლუბამ ამ არხზე მოსვ-**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ლიდან პირველსავე დღეს მიგილეწ-მოგილეწათ ის ბუდე, რომლიდანაც თქვენ დიდი ხნის განმავლობაში არათუ იკვებებოდით, არამედ თქვენს იდეოლოგიასაც ასხამდით ფრთას.**

**ნათია ლაზაშვილი ყალბი სინანულით რომ გვმოძღვრავს: „ძალიან ვწუხვარ, უკვე მეორედ მიწევს გადაწყვეტილების მიღება სიმართლის სასარგებლოდ. ნეტავ, რას გულისხმობდა? იმას, რომ „რუსთავი-2“-ზე წამყვანობისას მისმა ქმარი მაღალ თანამდებობაზე დაუნიშნა, თუ იმას ნანობს, რომ სიმართლის თქმის საშუალებას არც „მე-9“ არხზე აძლევდნენ ბექაური და რუხაძე, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნე „ნაცებთან“ ძალიან საეჭვო ურთიერთობებში არიან შემჩნეულები?**

როგორც ცნობილია, ბიძინა ივანიშვილი მეუღლის არხს ფინანსებით და აპარატურით უხვად ასაჩუქრებდა, მაგრამ, როგორც გონიერ ადამიანს და კარგ მენეჯერს, ალბათ, იმაზეც უნდა ეფიქრა — უხვად დაფინანსებული არხის პროდუქცია ასეთი მდარე რატომ იყო და რაში იხარჯებოდა მისი ოჯახის ფული? ჰოდა, ვინმეს რაიმე პრეტენზია, ეჭვი და მით უმეტეს ცრუ, ბრალდება რომ არ გამოუიდეს —

**მე-9 არხზე, დაუყოვნებლივ უნდა შევიდეს ფინანსური აუდიტი და გაარკვიონ, რამდენად კეთილსინდისიერად ხმარდებოდა საქმეს ეკატერინე ხვედელიძის მიერ გაღებული თანხები.**

აგრეთვე, ფინანსურმა აუდიტმა იმ დოკუმენტური ფილმების წარმომავლობაც უნდა შეისწავლოს, რომელიც უწყვეტად და ასე ყოველდღიურად რომ გადიოდა მე-9 არხზე და დაადგინოს აღნიშნული პროდუქციის შესყიდვა ბექაურის მე-9 არხზე დირექტორობის პერიოდში განხორციელდა თუ




უფრო ადრე, მისი საზოგადოებრივი მაუწყებელზე მუშაობის პერიოდში? ამას იმიტომ ვამბობ, რომ

**კარგად ინფორმირებულმა „წყარომ“ მომიტანა ამბავი — თავის დროზე ზაზამ და კახამ ეს ფილმები საზოგადოებრივი არხის ფულით იყიდეს, ქართულად გაახმოვანებინეს, შემდეგ, როცა ტელევიზიიდან გამოაპანღურეს, თან წაიღეს და ახლა ბიძინას მიყიდეს ცეცხლის ფასადო.**

სხვათა შორის, მე-9 არხზე ფინანსური აუდიტის შესვლას არხზე დარჩენილი თანამშრომლებიც ითხოვენ და კარგი იქნება, თუ კახა ბექაურის 8-თვიან მმართველობას ამ მხრივაც აეხდება ფარდა!

**რაც შეეხება ახალ გენ.დირექტორს, ქალბატონ ლუბა ელიაშვილს... ლუბა, ბევრი სხვა ვაიპატრიოტისგან განსხვავებით, ტელეკომპანია „იბერიის“ სახურავზე პირისპირ დაუდგა ოქრუაშვილის სპეც. აზმს და რამდენიმე საათის განმავლობაში არ აძლევდა საშუალებას ტელეკომპანიის მაუწყებლობა შეეჩერებინათ.**

ლუბა ისეთი ქალია, რომელსაც შეიძლება ენდო, დაეყრდნო და ამას ვიღაცის მონაყოლს კი არ ვყვები, საკუთარ თავზე გამოვცადე! 2004 წლის 26 აპრილს, ფოთის ხიდზე გადაღების დროს დამაპატიმრეს „ნაცებმა“ და მაშინ, სწორედ ლუბა ელიაშვილი და მისი მეუღლე, უწესიერესი და უპატიოსნესი კაცი, ადვოკატი შალვა შავგულიძე იყვნენ ჩემი პატრონები. მაშინ „რუსთავი 2“-ის და „იმედის“ ცრუ ინფორმაციას ლუბას „იბერია“ ერთი ფრაზით აცამტვერებდა და მეტიც, როცა ჩემი შვილის და მისი მეგობრების დაპატიმრებაც მოიწადინეს „ნაცებმა“, „იბერიის“ ოფისი იყო მათი თავშესაფარი და სიმართლის ნავსაყუდელი.

ასე, რომ, როცა ლუბა ელიაშვილზე საუბრობენ ვინმე რუხაძეები, ანთაძეები და ლაზაშვილები, პირი გამოირეცხონ, რადგან



ლუბა პროფესიონალი ჟურნალისტობის გარდა ერთგული და გულისხმიერი ადამიანიცაა, რომ აღარაფერი ვთქვა მის ქართულ ოჯახზე და მის ჭეშმარიტად მებრძოლ ქართულ ხასიათზე.

ვფიქრობ, სწორედ ეს ღირებულებები შეამჩნია ბიძინა ივანიშვილმა ჩვენს საყვარელ მეგობარში და სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით დანიშნა იგი მე-9 არხის გენ. დირექტორად. მე-9 არხზე მიშას ჩანერგილმა გუნდმა მთელ ამ ხმაურიან საარჩევნო პერიოდში, ერთი ხმაურიანი ექსკლუზივიც კი ვერ გადაიღეს დამოუკიდებლად და მხოლოდ „ინფო-9“, (რომელსაც ლუბა ელიაშვილი ხელმძღვანელობდა) და „მაესტროს“ მიერ გადაღებული კადრებს გადასცემდნენ ეთერში.

**ვიმეორებ, „მე-9 არხის“ მთელი ეს არაპროდუქტიული პერიოდი ვიღაცის ინტერესებში შედიოდა და და ვის უნდოდა, რომ ეს ასე ყოფილიყო? — ალბათ, იმას, ვისაც გული „ნაცურად“ უცემდა, მაგრამ მაისური კი უეჭველად „ოცნების“ ეცვა.**

ჰოდა, გაიხსენოს ახლა ბიძინა ივანიშვილმა ის კაცი თუ ის ქალი, ვინც ბექაურის „კამანდა“ შესთავაზა არხზე სამუშაოდ და ყველაფერი ნათელი გახდება. და ერთიც... გული მიგრძნობს, მე-9 არხზე „მიშას ყურები“ მთლიანად არ მოკვეთილა და აბა, შენ იცი, ლუბა! დროზე „აადებინე“ ვინც არის, თორემ ეგენი, თურმე, რევანშისთვის ემზადებიან...

**ირინე გოგოსაშვილი**

**P.S. წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა ტელევიზიებმა გადმოსცეს, რომ ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორმა შორენა შავერდაშვილმა ივანიშვილს მოუწოდა „მე-9 არხი“ სიმბოლურ ფასად — 1 ლარად მომყიდეო. ვააა, უტიფრობა, გამიგია, მაგრამ ასეთი?**

**ქალოო, ჯერ ის გვითხარი, საქართველოსთვის, მისი კულტურისა და თუნდაც, სატელევიზიო სივრცისთვის რა გაგიკეთებია ოდესმე, ასეთ თავხედურ წერილებს რომ იწერები და მერე ის მოგვწერე — უარი რომ გითხრას ბიძინამ, რას იზამ? ნინია კაკაბაძესთან ერთად იტირებ თუ ბარემ ია ანთაძესაც დაპატიჟებ თქვენეული დემოკრატიისა და ლიბერალიზმის პანაშვიდზე?**

# ratom surs leliko jafariZes kulturis ministrTan Sexvedra?



*გვესაუბრება*
*ლელიკო ჯაფარიძე*

**— ბატონო ლელიკო, როგორ მოგწონთ, რომ ნაციონალები ნელ-ნელა მიდიან?..**

— რომ მეგონა, გავედი თამაშიდანმეთქი, ოხერი ნაციონალები ისევ მაიძულებენ, მათ წინააღმდეგ ვიბრძოლო. ეს ხალხი არის კაცთმოძულეთა ხროვა, რომელთაც ადამიანების სულიერი ნგრევის მეტი ამ 9 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებიათ. დიახაც, ეს პარტია კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს.

თუმცა უნდა გითხრათ, რომ 1 ოქტომბერს ყველაფერი ისე დიდებულად დაგვირგვინდა, ყველა უნდა უმადლოდეს ბიძინა ივანიშვილს.

მას შემდეგ, რაც მოსკოვიდან დავბრუნდი და ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლა დავიწყე, არ დამკლებია არც პარლამენტის კიბეებზე ხოხიალი, გაზით გაგუდვა, დუბინკებით ცემა, მაგრამ არ ვნანობ, მიზანს მივაღწიეთ. აწი, ბევრი შრომაა საჭირო.

**— თქვენ მოსკოვი ახსენეთ და რუსეთთან ურთიერთობის ხელახალი დაწყების შანსი გაჩნდა ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ.**

— კარგია ეს კითხვა რომ დამისვით. იმიტომ, რომ მინდა ბატონ ბიძინას მივმართო: ბატონო ბიძინა, გთხოვთ, იყავით ურყევი იმაში, რომ ქართული ეროვნულობა და სულიერება სხვის საჯილდაო ქვად არ გახადოთ. ჩვენ ვერ შევეგუებით ვერავის მონობას. გინდ ამერიკა იყოს, გინდ — რუსეთი და გინდ სხვა პლანეტა. ჩვენ ვიცით მეგობრობა, მეზობლობა, მაგრამ სხვისი კარნახით ცხოვრება არ გვინდა.

მე პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ვარ ქართველი, მუდამ ჩემი ხალხის ცხოვრებით ვცხოვრობ, სიკვდილის შემდეგაც ჩემი ქართული მიწა მიმიღებს და არ ამომაფურთხებს თავისი უბიდან ისე, როგორც, შეიძლება, ბევრს მოუვიდეს, თუ დემაგოგიურ ლანძღვა-გინებას თავს არ დაანებებენ.

**— ნაციონალებს გულისხმობთ?**

— ვითომ პოლიტიკური ოპოზიციის როლი რომ მოირგეს, დიახ, მაგათზე ვლაპარაკობ. ისე იქცევიან, თითქოს ეს ნაძირლები არაფერს აშავებდნენ ამ წლების განმავლობაში.

მე ვარ ის კაცი, რომელსაც მართლა სწყურია ნაციონალებზე შურისძიება, როგორც მკვლელებზე, ციხის ჯალათებზე, საქართველოს მიწის გამყიდველებზე. სხვა თუ შეარჩენს, მე არ შევარჩენ ამათ ახალგაზრდების სიკვდილს, აგვისტოს ომს, როგორც ერთ დარჩენილ ვალს, ადრე თუ გვიან, გადავუხდი ამათ.

**— როგორ აპირებთ „სამაგიეროს“ გადახდას?**

— კიდევ ერთხელ ვიტყვი, 40 წელიწადი ვემსახურე საოპერო ხელოვნებას. 30 წელიწადი ვმღეროდი დიდი თეატრის სცენაზე. ნამღერი მაქვს: „ბორის გოდუნოვში“, „აიდაში“, „კარმენში“, „იოლანტაში“, „ტოსკა“, „ომი და მშვიდობა“... აღზრდილი მყავს უამრავი შესანიშნავი მუსიკოსი, ვიყავი საქართველოს კულტურის ცენტრის „მზიურის“ დირექტორი მოსკოვში. ამიტომ ამას წინათ დავუკავშირდი ჩვენი კულტურის მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას და შეხვედრა ვთხოვე.

**— ვერ შეხვდით ბატონ გურამს?**

— ვერა, როგორც ჩანს, ჩემთან შეხვედრის სურვილიც არ აქვს, თორემ სხვა ბევრ რამეებთან ერთად იმასაც ვურჩევდი, იმ ავანგარდისტული შუშის შენობების მშენებლობაზე, როგორც კულტურის მინისტრმა, ქვეყნის ესთეტიკური იმიჯისთვის, უარი განაცხადოს. ესენია არქიტექტურული ნონსენსები.

**— რიყეზე მშენებარე შენობა, რომელიც გრძელ მილს ჰგავს, მუსკომედიის თეატრი უნდა იყოს თურმე.**

— თეატრის თავისი ფუნქცია აქვს. თეატრი განაწყობს მაყურებელს და უბიძგებს იმისკენ, როგორ ჩაიცვას, როგორ მოიქცეს. „ჟეშტის“ ტრუბამ“ როგორ უნდა განაწყოს მაყურებელი ხელოვნებისადმი პატივსაცემად?! ასეთ თეატრში ადამიანი მივა დახეული ჯინსებით და წარწერიანი მაისურით.

**— ჩაცმულობა წყვეტს სპექტაკლის ავკარგს?**

— არა, გენაცვალე, მაყურებელი ქმნის ატმოსფეროს იმისა, თუ როგორი უნდა იყოს თეატრალური ხელოვნება.

მუსკომედიის თეატრი იქნებაო. კომედიებია —„ოფენბახი“, „სილვა“, მათი გამასხარავება შეიძლება? ამ წარმოდგენებზე ჯინსებით მიხვალ? „ქეთო და კო-



ტუს“ თუ დადგამენ და იტინგიცებენ სულელურად, მაშინ შეიძლება ტრუბებშიც იმღერონ და ჯამბაზებთან ერთადაც. ეს არაა ხელოვნება. ეს არის მასხარაობა, ხოლო ხელოვნება მასხარაობა არაა.

მაგრამ მე სააკაშვილზე კი არ მწყდება გული, ეს კაცი ავადაა. თბილისში ადრე გიჟი კიკა დადიოდა და იმას დაემსგავსება ცოტა ხანში; მე დავით დოიაშვილის, ნანი ბრეგვაძის, პაატა ბურჭულაძის მიკვირს... არ მინდა ახლა ყველაფერზე ლაპარაკი. თავს ვიკავებ...

**— თქვენი აზრით, რიყის მშენებლობა უნდა შეწყდეს?**

— ამ შენობის მშენებლობა უნდა შეწყდეს და ის ხიდი, ძველი თბილისის ხედს რომ ამახინჯებს, განადგურებული უნდა იქნას.

**ირანდა კალანდაძე**

# ratom ar Wkneba `borotebis vardebi~?!



მთელი **ქართული საზოგადოება ერთსულოვანია იმაში, რომ აშშ-ს მიერ "რეფორმატორად და დემოკრატიის ფლაგმანად" გამოცხადებულმა "ნაციონალურმა მოძრაობამ" (მისი დამნაშავე ჩინოვნიკებიანად), პირველ რიგში კი მიხეილ სააკაშვილიანად — სრული ფიასკო განიცადა! ქართველი ხალხის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ ისინი ობიექტური სასამართლოს წინაშე წარსდგნენ!** აშშ-ს მხრიდან, კიდევ ერთხელ ქართველი ხალხის ნების იგნორირება, ახალ ხელისუფლებაზე რაიმე ფორმით ზეწოლა, გვერწმუნეთ, საქართველოში (სწორედ, "ნაციონალური მოძრაობისგან") აშშ-ს ისედაც შერყეულ იმიჯს საბოლოოდ დაასამარებს. 2012 წლის 19 ნოემბრის „New York Times"-ში, ახალი მთავრობისადმი გამოქვეყნებული ამერიკელი მაღალჩინისნების გაფრთხილებაც, ერთის მხრივ, **ძალიან წააგავს ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან გაკეთებულ განცხადებებს,** მეორე მხრივ კი **"უოტერგეიტის სკანდალის"** შემდეგ, ქართული საზოგადოებისთვის ცოტა გაუგებარიცაა?! „ამერიკელი მაღალჩინოსნები **აფრთხილებენ ახალ მთავრობას (ამით ქართულ საზოგადოებასაც** — ბ.ა.) რომ პოლიტიკურად მოტივირებულმა დაკავებებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნან საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, მაგრამ ამის მიუხედავად სასამართლომ თბილისში გადაწყვიტა, რომ შინაგან სამინისტროს 12 იფიციალური პირი პატიმრობაში დატოვონ. **ჩინოვნიკებს ბრალი უკანონო თვალთვალში, ჩაწერასა და საუბრების მოსმენაში ედებათ.** დეპუტატებმა უნდა ითანამშრომლონ კონკურენტ პარტიებთან, მაგრამ ბატონმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია გამოიძიოს სააკაშვილის მთავრობის ჩინოვნიკთა საქმეები"-წერს „New York Times". „პარტნიორი ქვეყნისგან" ულტიმატუმის ფორმით საუბარი საქართველოს მოქალაქეებმა, (აშშ-ს მხრიდან) ქართველი ხალხის მორიგ შეურაცხყოფად და ქვეყნის შიდა საქმეებში უხეშ ჩარევად შესაძლოა აღიქვან. ახალი ხელისუფლება (ვიმედოვნებთ, ახლა უკვე ობიექტური სასამართლოს ხელით) ობიექტურ და სამართლიან განაჩენს მხოლოდ დამნაშავე პირებს გამოუტანს. დაგვერწმუნეთ, რომ ის შეურაცხყოფები, ღირსების აყრა და ადამიანის უფლებების ფეხქვეშ არაადამიანური გათელვაც — ქართველ ხალხს არანაირ „ნატოში" შესვლად არ უღირს. ნატოში შესვლის პერსპექტივით და „მაპზე" აპელირებით ნაციონალურმა მოძრაობამ, სწორედ ანტიამერიკულ განწყობებს შეუწყო ხელი. რაც საქართველოს მოქალაქეების ფიზიკურ, სულიერ და ფსიქოლოგიურ, ასევე მორალურ გენოციდში, მოქალაქეთა კერძო საკუთრებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფაშიც გამოიხატა. ვიმედოვნებთ, რომ მხოლოდ **აშშ-ში ცნობილი "უოტერგეიტის სკანდალიც" საკმარისია, იმისთვის, რომ ქართველმა ხალხმა თქვენს მიერ წლების განმავლობაში მხარდაჭერილ პოლიტიკურ ძალას, (რომელსაც ამდენი კრიმინალური და ელიტარულ კორუფციაში ჩაფლული "სახე" ჰყავს) და მის ე.წ. ლიდერს (სამწუხაროდ, პრეზიდენტს) — სრული უნდობლობა გამოუცხადოს და ამ ძალის არათუ "ოპოზიციურ უმცირესობად" აღიარება, არამედ, როგორც პოლიტიკური ძალის ლიკვიდაციაც მოითხოვოს!** თავად პრეზიდენტი საერთაშორისო ტრიბუნიდან საქართველოში ორხელისუფლებიანობის არსებობაში გამოტყდა. ამით თქვენს მიერ აღიარებული "ხელისუფლების დემოკრატიულად გადაბარების პროცესიც" უარყო. **"ნაციონალურმა მოძრაობამ", როგორც პოლიტიკურმა გაერთიანებამ თუ პარტიამ დაარღვია "პოლიტიკური ორგანიზაციის შესახებ" ორგანულ კანონში დაწერილი ყველა მოთხოვნა! ყველაფერი გააკეთა ეროვნული და რელიგიური შუღლის გასაღვივებლად, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის ხელშეწყობისა და „ადამიანის უფლებების დაცვის" ხელყოფისთვის.** ქართულმა საზოგადოებამ დიდსულოვნად მოითმინა ქართველი ხალხის მისამართით აშშ-ს ელჩების მხრიდან გაკეთებული არაერთი შეურაცხმყოფელი განცხადება, როგორც მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის, ისე საქართველოს მოქალაქეების სასტიკ დარბევებთან მიმართებაში. ინფორმაციაც, რასაც თქვენს მიერ დაფინანსებული "ენჯეოები", ყოფილი თანამდებობის პირები გაწვდიან — არც ქართველი ხალხის ნებას და არც მისი უმრავლესობის აზრს არ გამოხატავს. მსოფლიოს ქვეყნების ბედისადმი სწორედ ასეთი ორმაგი სტანდარტების გამო ეცემა აშშ-ს რეიტინგი ასეთი მზარდი ტემპით. რის გამოც „დემოკრატიის დასამყარებლად" სხვადასხვა ქვეყნებში შესული ამერიკა, „პარტნიორობის ნაცვლად" ამ ქვეყნების მოქალაქეების დიქტატორის მფარველად გვაველინება! "ბოროტების იმპერიად" გამოცხადებული „საბჭოთა კავშირი" დიდი ხანია დაიშალა?! მაშ, მაინც რატომღა "ჰყავის და იფურჩქნება ბოროტება" ახლა უკვე აშშს- მიერ "დემოკრატიადამყარებულ ქვეყნებში"?! რისი ნათელი მაგალითიც "ნაციონალური მმართველობის პირობებში" საქართველოც აღმოჩნდა?! აშშ თავს უფლებას აძლევს არაერთ უცხო ქვეყანაში "დემოკრატიის დასამყარებლად", (მაგ. ერაყში) იქაური ხალხის ჩაგვრისთვის ქვეყნის ლიდერი სამაგალითოდ, "სატელევიზიო ჩამოხრჩობით" დასაჯოს. იქნებ აშშ-გან არაერთგზის გაკეთებული განცხადებით, რომ "ის ქართველი ხალხის და არა ხელისუფლების მხარადამჭერია" — მართლაც ქართველი ხალხის ნება გაიზიაროს. საქართველოს დიქტატორისა და მისი ამფსონი დამნაშავეების გასამართლების უფლება, (ამჯერად მაინც, აშშ-ს ჩარევის გარეშე) ქართულ სასამართლოს მიანდოს. მით უფრო, აშშ-სგან "დემოკრატიის შუქურად აღიარებულს" ჩამოხრჩობას საქართველოში არავინ უპირებს! თუ აშშ-სთვის ეს რაიმეს მანიშნებელია, ქართული საზოგადოება (არჩევნების შემდეგაც) ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში სააკაშვილის გადადგომაზე ხელმოწერებს აგროვებს. იქნებ, აშშ, (თავისი იმიჯის შესანარჩუნებლად და სააკაშვილის ოქტომბრამდე დასატოვებლად) **დასახიჩრებული ქართული კონსტიტუციის** იმედზეა?! ქართველმა ხალხმა კი ეს "მინოტავრად ქცეული" არაადეკვატური პრეზიდენტი კიდევ ზედმეტი ერთი წელი უნდა იტანოს?!

ნაციონალებისგან ათასგზის გადაკეთებულ "საქართველოს კონსტიტუციაში" (2012 წლის 27 მარტის მდგომარეობით,) იმათავითვე მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტის" გადაყენების გზებიც მოიძებნება. რეფერენდუმის დანიშვნა თვითმარქვია პრეზიდენტის პრეროგატივის გამო შეუძლებელია. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთვის ხელშეშლით აყალბეს "დემოკრატიულად გამოცხადებული" არჩევნებიც. გადაკეთებული კონსტიტუციის 63-ე მუხლი: "1. 75-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, **იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. (50 მანდატი ბ.ა.) საკითხი დასკვნისთვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.** (საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლო ნაციონალებს ჯერ "ჯიბეში უდევთ". — ბ.ა.); 2. თუ **უზენაესმა სასამართლომ** თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედობაში (ზუსტად ასე წერია ქმედობაში. — ბ.ა.) **დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა**, **ან საკონსტიტუციო სასამართლომ** – **კონსტიტუციის დარღვევა**, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი **სრული შემადგენლობის უმრავლესობით** იღებს გადაწყვეტილებას, რომ **კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი**." (რასაც საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება. — ბ.ა.) 3. "**პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება**, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა **პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.** (აქაც საკონსტიტუციო უმრავლესობა, 100 მანდატია საჭირო. – ბ.ა.). 4. "**თუ 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება,** საკითხი მოხსნილად ითვლება და **მომდევნო წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.**". 5. " **დაუშვებელია** პრეზიდენტისთვის წარდგენილი **ბრალდების პარლამენტში განხილვა** და გადაწყვეტილების მიღება **საგანგებო და საომარი მდგომარეობის ან ომის დროს."** (საგანგებო მდგომარეობა, არეულობა, ან ომის ინსპირირებაც, სწორედ პრეზიდენტის ინტერესშია. — ბ..ა.) საკონსტიტუციო უმრავლესობის არარსებობის და "დასახიჩრებული კონსტიტუციის" პირობებშიც **გამოსავალი იმპიჩმენტის სახით მაინც არსებობს!** დემეტრაშვილ-ლევან რამიშვილის "ჩალიჩის" მიუხედავად, კონსტიტუციაში ჩვენთვის **ხელმოსაჭიდი მუხლების მოძიებაც შეიძლება.** კონსტიტუციის 64-ე მუხლში: "1. კონსტიტუციის დარღვევისა ანდა დანაშაულის ჩადენისთვის **იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.** (10.10. 2008. №344)". (50 მანდატი ყოფნის. — ბ.ა.) 2. "63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ **სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები.** ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტების მოქმედება." „კოალიციის უმრავლესობა" საკმარისია. საჭიროა „შეუცვლელი კუბლაშვილის" და იმპიჩმენტისთვის საჭირო სტრუქტურებიდან ნაციონალების გადაყენება. შემდეგ კი პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენება. "პარტნიორი ამერიკა" კი იმედს ვიტოვებთ, რომ "დემოკრატიის შუქურას" დავალებით გადაკეთებული კონსტიტუციის მიხედვით მოქმედების უფლებას მაინც არ ჩაგვითვლის „პოლიტიკურ დევნად".



**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rodis daiwereba qarTuli ekonomikis `vefxistyaosani~?

*გვესაუბრება „ახალი ეკონომიკური“ სკოლის პრეზიდენტი* ***პაატა შეშელიძე:***



**— ბატონო პაატა, ივანიშვილმა ჟურნალისტებთან გამართულ კონფერენციაზე ინვესტიციებზე ისაუბრა. თუმცა მსგავსი რამ წინა ხელისუფლების დროსაც იყო. რამდენად მომგებიანია ეს? თუ უმჯობესია საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირება მოხდეს, რათა ბიზნესის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას ხელი შეეწყოს. რამდენად არსებობს დღეს კონცეფცია, ზოგადი ხერხემალი, რაზეც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება უნდა აიგოს?**

— ჯერჯერობით, ახალ მთავრობას ერთი სახე — თუ რისი გაკეთება უნდა, არ აქვს. არსებობს ცალკეული იდეები, რომლებიც ერთმანეთთან არავითარ კავშირში არაა და არ იკრიბება. წინა მთავრობისგან განსხვავებულ მიდგომებს ვერ ვხედავ და გითხრათ სიმართლე, არც ველოდებოდი. ყოველთვის ვამბობდი, შინაარსობრივად, ეკონომიკის კუთხით, ძველი და ახალი მთავრობა ერთ მხარეს დგას — მათ მსგავსი პოლიტიკა, მსგავსი დაპირებები აქვთ. კრიტიკულად ვარ განწყობილი იმიტომაც, რომ ეს ინსტიტუტი, აბსოლუტურად უსახურია. არ ვიცი, ხვალ რას ველოდო იმიტომ, რომ ჯერ თქვეს ტარიფებს შევამცირებთ, მერე თქვეს — არ შევამცირებთო, ანუ ვერ გავიგე, რა უნდათ, ჯერ გაერკვიონ და მერე თქვან. სულ სხვა ამოცანებია შესასრულებელი, მაგრამ ყველაფერს ერთმანეთში ურევენ და არ ჩანს, ვინ არის პასუხისმგებელი. ივანიშვილი ყველაფერზე პასუხისმგებლობას თავის თავზე ვერ იღებს. ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე მისი გამოსვლა დამაჯერებელი არ იყო, რა უნდოდა, ვერ გავიგე, მან ძალიან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები ჩამოაყალიბა. ჩემი აზრით, როცა რეალურ ბერკეტებამდე მივიდნენ, აღმოაჩინეს, რომ ეს ბერკეტები ისე არ გამოიყურება, როგორც წარმოედგინათ, რაც თავიდანვე ცხადი იყო. ვიტოვებ ოპტიმიზმს, რომ ისინი იძულებული გახდებიან უფრო რაციონალურები იყვნენ. სააკაშვილის მთავრობაც მოსვლის პერიოდში მიედმოედებოდა და მერე ჩაჯდა ჩარჩოებში. თუმცა რამდენად კარგად შეასრულა მან დანაპირები, ეს სხვა საკითხია. მცირედი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს არა ის, რომ ახალი ხელისუფლება იძლევა ამ იმპულსებს, არამედ რეალობაა ასეთი, სხვაგვარად შორს ვერ წავლენ.

**— დღეს თუ არსებობს პროექტები, რითაც სამუშაო ადგილები, პრიორიტეტული დარგები უნდა გაჩნდეს, რათა ეკონომიკა განვითარდეს?**

— არ მგონია, რომ ეს ამოცანა რა არის პრიორიტეტული და რა არა, მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს. თუ ისევ ასეთი რაღაცების კეთებას დაიწყებენ, უარეს ჩიხში შევლენ. ბიზნესში მომუშავე ადამიანები უნდა მიხვდნენ, რა არის სწორი და პრიორიტეტული. მთავარია, როგორი გამოწვევებია და რაზეა მოთხოვნა. ინსტიტუციური სისტემა ისე უნდა აიგოს, რომ მასზე მორგება ადვილი იყოს, რათა შეზღუდვებისგან, რეგულირებებისგან მაქსიმალურად იქნეს გათავისუფლებული, რათა ერთიდან მეორეში კაპიტალის გადმოდინება, მოთხოვნებზე მორგება რთული კი არ იყოს, არამედ გამჭვირვალე, ღია სისტემა შეიქმნას. თუ მთავრობას ეკონომიკის განვითარება უნდა, მან თავის ამოცანებს უნდა მიხედოს და არა სხვებისას.

**— ყველა სახელმწიფო თავის ნიშას ეძებს. მაგალითად, ჩინეთს — მსუბუქი მრეწველობა აქვს, კორეას — ტექნიკა, საფრანგეთს — ღვინო და ა.შ. ანუ პრიორიტეტები გამოყოფილი აქვთ. საქართველოში, რომელია ის დარგები, რაც შეიძლება განვავითაროთ?**

— ეს ყველაფერი დროის საკითხია. ჩინელებსაც არაფერი გააჩნდათ, სინგაპურში ხალხს სახლი არ ჰქონდა. ეს იმის შედეგია, რაც გითხარით, თუ თავისუფლება იქნება, ადამიანები იმ ნიშას იპოვიან, რომელსაც ამ გლობალურ განაწილებაში შეავსებენ. და მაშინ აღმოჩნდება, რომ საქართველოშიც შეიძლება რაღაცის კეთება უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან. წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია. ვიღაცამ შეიძლება თქვას — მოდი, ფული ამ საქმეში დავხარჯოთო. კი, ბატონო, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, საიდან აქვს იმ ადამიანს ცოდნა, რომ რასაც ამბობს, ეს ყველაზე სწორი გზაა. ჯერ ერთი, ჩემი ჯიბიდან ფული სხვას ისე რატომ უნდა დავახარჯო, რომ შემოსავლები არ მივიღო, არ მესმის. ის, რომ გადანაწილება მოცულობას ზრდიდეს, ასეთი რამ არ მინახავს. საბაზრო ეკონომიკის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ თავის გამოჩენის საშუალება ბევრს აქვს, ცენტრალიზებულ ეკონომიკაში კი პირიქით ცოტას. ესაა განსხვავება.

**— დასმულ შეკითხვას გავაგრძელებ. ჩვენთან პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა სახელდება, მაგრამ ეს ხომ ქალაქს ვერ დააკმაყოფილებს. რამდენად სწორია პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის არჩევა?**

— ამერიკაში ერთ ფერმერს უფრო დიდი ნაკვეთი აქვს, ვიდრე მთელი საქართველოა. სოფლის მეურნეობაზე აქცენტის გაკეთება, ვერ ვხვდები, რას ემსახურება. რა უნდა მოიყვანონ ასეთი, საქართველოს მიწის ნახევარზე მეტი სოფლის მეურნეობისთვის, გამოუსადეგარია. ამაზე აქცენტის გაკეთება ფუჭია. გადაუფრინონ საქართველოს თავზე და თავად დაინახავენ, ნახევარზე მეტი მთებია, თბილისის ირგვლივ მიწების უმეტესობა უბრალოდ, გამოუსადეგარია ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ზოგან ხე არ იზრდება. რატომ არის ეს გამორჩეული, სპეციფიკური ნიშა, არ მესმის. კი სოფელში ბევრი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ რამის თავი აქვთ. თავის გამოკვება შეუძლიათ, მაგრამ სოფლის არა. ამიტომ სოფლის მეურნეობაზე ზედმეტი აქცენტები და იმედებია დამყარებული, რაც არასწორია. სოფელში არ არის არც საშველი და არც ინტერესი. ასე რომ იყოს, იქ ფული უკვე ჩადებული იქნებოდა. პერსპექტივას ვერ ხედავენ და იმიტომაც, ამ სფეროში ფულს არავინ დებს. ეს აბსურდია. ჯერ ერთი, 600 კვ.მ. მიწები რომ დაარიგეს, ეს ხომ აბსურდული, დანაშაულებრივი გადაწყვეტილება იყო. ამის შეკოწიწება საბაზრო პრინციპით უნდა მოხდეს. ხალხი მიწიდან ქარხანაში უნდა წავიდეს.



**— ანუ გამოდის, რომ ეკონომიკური „ვეფხისტყაოსანი“ — კონცეფცია ჯერ არ დაწერილა?**

— პროგრამა არსებობს, მაგრამ არადამაჯერებელია, კრიტიკულად განმაწყობს. სინამდვილეში, სულ სხვა აქცენტებია გასაკეთებელი. ელემენტარულად, საგადასახადო სისტემა, რეგულირების საკითხია მოსაწესრიგებელი. კონცეფცია წინა მთავრობასაც ჰქონდა, მაგრამ მეორე საკითხია რამდენად კარგი იყო ეს. მათ წლების მიხედვითაც კი ჰქონდათ გაწერილი, რომელ წელს რა უნდა გაეკეთებინათ — რომელი გადასახადი უნდა გაეუქმებინათ, რომელი შეემცირებინათ და ეს 2020 წლამდე იყო გაწერილი. იყო კონკრეტული გეგმები დღეების, თარიღების მიხედვით. ახლა ასეთი კონცეფცია არ არსებობს. მაგრამ არ მიმაჩნია, რომ გრძელვადიანი კონცეფცია, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ, უნდა არსებობდეს. უბრალოდ, უნდა არსებობდეს გეგმა თუ რომელ კონკრეტულ მიმართულებაში რა შეიძლება შეიცვალოს. ახლა, ჯერ კონცეფცია არ არის, მაგრამ, ალბათ, რამეს გააკეთებენ, თუმცა ჯერ ვერ გაურკვევიათ, რას გააკეთებენ და გეგმა როგორი ექნებათ.

**— რაც შეეხება მონოპოლიებს კარტელურ გარიგებებს, ეს ხომ წინა ხელისუფლების აქტიური ჩარევით იქმნებოდა. ეს მათი მემკვიდრეობაა. მასთან ბრძოლა სააკაშვილამდე, ადეიშვილამდე და ა.შ. არ მიგვიყვანს? რამდენადაა გამოსავალი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა?**

— ჯერ ერთი სააკაშვილს, მერაბიშვილს თუ რამე აქვთ პირადად შექმნილი, ეს უნდა დავასაბუთოთ, უაპელაციოდ საუბარი არ შეიძლება. მეორეც, თუ კარტელური გარიგებები არის, ამას არსებობის უფლება რატომ არ უნდა ჰქონდეს? თუ მე და თქვენ მოვილაპარაკებთ, ერთად გავაკეთოთ რაღაც, ვის აქვს უფლება, რომ ეს დაგვიშალოს? აქ პრობლემა სხვა რამაა. ზოგიერთ სექტორში სახელმწიფოს მიერ მონოპოლიური მდგომარეობა ხელოვნურადაა შექმნილი და ეს უნდა დაიშალოს. მაგალითად, თელასი ელექტროენერგიის მონოპოლიური მომწოდებელია, ეს უნდა დაშალო, თბილისში სხვა კომპანიასაც შეუძლია იმუშაოს, მორჩა და გათავდა. ამათ უნდათ მონოპოლიის პირობებში ტარიფი დაწიონ. ეს ისეთი სიტუაციაა, როცა საბაზრო გადაწყვეტის ნიშან-წყალზე საუბარი არ არის, არამედ ადმინისტრაციულად რაღაცის შეცვლაზე, მაგრამ იმას მოუნდება დაბალი ტარიფით მუშაობა? რომ წავიდეს, არ იმუშაოს და ელექტროენერგია არ მოგაწოდოს, მერე რას ვშვებით?! — დავავალდებულებთ, რომ იმუშაოს? — როგორ? მონოპოლიას ქმნის სახელმწიფო, მაგრამ სახელმწიფოს გარეშე მონოპოლია აღარ არსებობს. ნებისმიერ კომპანიას უფლება აქვს სხვა კომპანიასთან გარიგდეს და ამის დაშლა არ შეიძლება.

**— რაც შეეხება საგადასახადო კოდექსს, რა ვითარება გვაქვს ამ მხრივ?**

— რა თქმა უნდა, ამ სფეროში, იდეალური ვითარება არ არის, ბევრი ხარვეზია გამოსასწორებელი. ერთადერთი რაზეც ახალი მთავრობა საუბრობს, დაუბეგრავი მინიმუმია. ამას არასწორად აკეთებენ. მათი აზრით, არ უნდა დაიბეგროს შემოსავალი, რომელიც 6 ათას ლარზე ნაკლებია. როგორც ამბობენ, ადამიანი ჯერ იხდის და მერე როცა დეკლარაციას აღადგენს, თანხას უბრუნებენ, რაც აბსურდია. შემოსავლის მიღების მომენტში თუ შენი შემოსავალი რაღაც თანხაზე ნაკლებია, მაშინ იქვე არ უნდა გადაიხადო. რა საჭიროა ეს ტვირთი, არ მესმის. მერე თანხას ან დაგიბრუნებენ, ან არა, უნდა დაასაბუთო, რომ აღნიშნული შემოსავალი გქონდა და ა.შ. ჩემი აზრით, გართულებული გზით მიდიან, რაც არასწორია.

**— რაც შეეხება სოციალურ თემებს, გლახაკებზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია, თუ იმაზე, ვისაც უნარი აქვს ქვეყნის განვითარების პროგრამა დაგვანახოს? დღესაც ამბობენ, რომ დაეხმარებიან ღატაკებს, თუმცა რა კეთდება იმისთვის, რომ ქვეყანას ამდენი გლახაკი არ ჰყავდეს, ამის შესახებ არავინ საუბრობს.**

— რა თქმა უნდა, სჯობს აღარ გვყავდეს. ღატაკების დახმარება კერძო ქველმოქმედების საქმეა. სახელმწიფო პოლიტიკის საქმეა ის, რომ უნდა იყოს სისტემა, რომელშიც ღატაკები აღარ იქნებიან. დღეს საუბარია გლახაკების დახმარებაზე და იმაზე, რომ თითქოს ისინი ყოველთვის უნდა არსებობდნენ. იცით, რაზე მეცინება? — პენსიის გათანაბრების მინიმუმზე, ანუ 40 წლის მერე მპირდებიან, რომ პენსია შემოსავლების მინიმუმი მექნება? — ვერ ვხვდები რაზე საუბრობენ. ცვლილება ფუნდამენტურ მიდგომას უნდა ეხებოდეს და არა რაღაც ამოცანის შესრულებას. პოლიტიკის საგანი ეს საერთოდ არ უნდა იყოს.

**— მაშინ, რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად?**

— მთავრობა ფეხზე ვერავის დააყენებს, მას თავის თავი ვერ დაუყენებია ფეხზე. ამიტომ მიდგომა უნდა იყოს ასეთი — ჩვენ, მთავრობა პირიქით უნდა შევზღუდოთ. მთავრობა ყოველთვის შეიძლება ყველგან შემოვიდეს და ყველას ლოგინში ჩაუწვეს. ყველა მთავრობა ამას ცდილობს, გვეუბნება — არ მოწიო, არ დალიო, ღვედი შეიკარი, ტელეფონზე არ დარეკო და ა.შ. ანუ პირად ცხოვრებაში, პირად ფინანსებში გიძვრება. შენ უნდა უთხრა — დაახვიე აქედან, პირადი ცხოვრება, ბიზნესი, ჩემი საქმეა. აი, ასეთი დამოკიდებულება უნდა იყოს. მან კი არ უნდა დაგვავალოს, ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას რა გააკეთოს. მთავრობის მიმართ არასწორი მოლოდინები გვაქვს, ეს უნდა შევცვალოთ. რატომ გვგონია, რომ მან უნდა გვაჭამოს და თავზე ხელი გადაგვისვას და თუ ამდენის უფლებას მივცემთ, რატომ გვგონია, რომ ცოცხსაც არ გაგვიკეთებს? ბევრს არ ესმის, რომ თავზე ხელის გადასმიდან იწყება ცოცხის გაკეთება. თუ თავზე ხელს გადაასმევინებ, ცოცხამდეც მიხვალ.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# surs Tu ara qarTvel xalxs natoSi integracia, amaze xelaxali referendumi unda Catardes!

*ინტერვიუ პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილთან*

**— ბატონო ჰამლეტ, თქვენ როგორც დიპლომატს და პოლიტოლოგს, მინდა გკითხოთ, რა პერსპექტივები აქვს საქართველოს ახალ ხელისუფლებას მსოფლიოს თვალში პოზიტიურად წარმოჩენისთვის. მოგეხსენებათ, ნაციონალური ხელისუფლება უცხოეთში დიდი სიმპათიებით სარგებლობდა. დღეს ჩვენი დიპკორპუსი რამდენადმე „იჩაგრება“ იმის გამო, რომ ქვეყნებში ელჩებად კვლავ ძველი მთავრობის მიერ დანიშნული კადრები რჩებიან...**

— საგარეო საქმეთა სამინისტროში მოღვაწეობის პერიოდში შრი-ლანკის განმაცვიფრებელი დელეგაცია გვესტუმრა. დელეგაციის შემადგენლობაში მყოფი მამაკაცების სიმაღლე 1,85 სმ-ზე ნაკლები არ იყო, ეცვათ შესანიშნავად და ჰქონდათ არაჩვეულებრივი მანერები. ყოველივე ამან, ცხადია, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გავიდა წლები. მე მომიწია ამ პატარა ქვეყანას ვსტუმრებოდი. როგორც კი გემიდან მიწაზე ფეხი დავდგით, შეგვეგება აყროლებული თევზის სუნი, აუტანელი ნესტიანი სიცხე, ხალხი ქუჩაში ნახევრად შიშველი დადის, რადგან ტანსაცმლის ჩაცმა შეუძლებელია მცხუნვალე მზის გამო. შემდეგ შედგა შეხვედრები, რამაც ჩემი შეხედულებისგან განსხვავებული, სრულიად სხვა შთაბეჭდილება დატოვა. მე რომ შრი-ლანკაში არ ჩავსულიყავი, დღემდე ცეილონელები ახოვანი, წარმოსადეგი, დახვეწილი მანერების ხალხი მეგონებოდა განურჩევლად, სინამდვილე კი სხვაგვარი აღმოჩნდა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აზრის გამოხატვის მანერას, ხმას, დიქციას, მანერებს, იმას, თუ როგორ აყალიბებ აზრს.

როდესაც რომის სენატში წარმომადგენლებს ირჩევდნენ, პირველ რიგში, მათ გარეგნობას აქცევდნენ ყურადღებას, რიტორიკას, აზრებს. ელჩი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო 50 წელს ქვემოთ, რადგან იგი უნდა იყოს მცოდნე, ჰქონდეს ცხოვრებისეული გამოცდილება და ქვეყნის აწმყოსა და წარსულზე ამომწურავი ინფორმაცია.

კი, ბატონო, ჩვენ ვეთაყვანებით აშშ-ს და დამისახელეთ, რომელიმე მინისტრი, რომელიც 60 წელზე ნაკლები ასაკისაა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი — პანეტა 76 წლისა გახლავთ, ბაიდენი — 70 წლისა...

ჩინეთში ახლახან მე-18 პარტიული ყრილობა ჩატარდა. ამ ყრილობაზე მოხდა 10-წლიანი ციკლით ხელისუფლების ცვლა და აირჩიეს ცკ პირველი მდივანი. იგი ორ თვეში ავტომატურად პრეზიდენტი გახდება. აირჩიეს პრემიერ-მინისტრი და პოლიტბიუროს 7 წევრი. ასარჩევია დეპუტატებიც, მაგრამ მათ შორის, არც ერთი არაა 60 წელზე დაბლა. ეს ხალხი, ვინც ამ ყრილობით ჩინეთის მმართველობაში მოვიდა, კანონმდებლობით 2022 წლამდე იქნებიან და დღეს იქ უკვე მიდის იმაზე ლაპარაკი, ვინ უნდა იყოს 2022 წლის შემდეგ ქვეყნის პირველი პირი, პრემიერი და პოლიტბიუროს წევრები. მათ, ვისაც მომავლისთვის არჩევენ, ჯერ 50 წლის არიან და ეს 10 წელი მათი შერჩევისთვის საჭირო დროა, მათ დააკვირდებიან, შეისწავლიან.



ჩვენ ხელმძღვანელ პოსტებზე, დიპლომატიურ თანამდებობებზე ხალხს ნათესავების, ახლობლების, მეგობრების წრიდან ვარჩევთ. ყოვლად დაუშვებელია, ერთი ოჯახიდან ორი მინისტრი იყოს ქვეყანაში. სხვა მაგალითებიც ბევრია, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ ასეთი შემთხვევები თვით იმ დაწყევლილი საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ ყოფილა.

უფრო ზუსტად რომ გითხრათ, დიპლომატიური სამსახური ძალზე სპეციფიკური სამუშაოა. ჩვენთან დიპლომატები ვერ იქნებიან სათანადოდ მომზადებული, რადგან საქართველოში არ არსებობს დიპლომატიური სასწავლებელი. არის რაღაც-რაღაცები, მაგრამ ეს არის იმდენად დაბალი დონის, რომ, ჯობს, საერთოდ არ იყოს.

1994 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შექმნა დიპლომატიური აკადემია და მის ხელმძღვანელად დროებით სოსო ცინცაძე დავნიშნეთ, რადგან მინისტრ ალექსანდრე ჩიკვაიძეს არასახარბიელო ურთიერთობა ჰქონდა შევარდნაძესთან და ფიქრობდა, თუ გამათავისუფლებს, დიპლომატებს მოვამზადებო. მალე ჩიკვაიძე ელჩად გაუშვეს საბერძნეთში. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვეღარ შეძლო აკადემიის პატრონობა და იგი სოსო ცინცაძის შპს-დ გადაიქცა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ბატონმა კაკაბაძემ მაშინ გამოთქვა აზრი: ქართველები დაბადებიდან დიპლომატები ვართ და დიპლომატიური სასწავლებელი არ გვჭირდებაო.

ახლა ვინც ინიშნება ელჩებად, ყველანი გახლავან არაპროფესიონალები, რომელთაც საერთაშორისო დიპლომატიასთან არასდროს არავითარი კავშირი არ ჰქონია.

20 წლის განმავლობაში დსთ-ს წევრ სახელმწიფოებში ჩამოყალიბდა სახელმწიფო დიპლომატიური სასწავლებლები, საქართველოში ასეთი სასწავლებელი არ შექმნილა.

შედეგიც სახეზე გვაქვს...

დღეს საუბარია იმაზე, გამოიწვევს თუ არა სააკაშვილი თავის მიერ დანიშნულ ელჩებს, რადგან ახალი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ დესპანები უცხოეთში „ქართული ოცნების“ „გაშავებით“ არიან დაკავებულნი. შეიძლება, ასეც იყოს, მე არ ვკამათობ ამაზე, მაგრამ ვინ უნდა დანიშნონ დღეს? ეს საკითხი ჩემთვის კითხვის ნიშნის შემცველია.



მახსოვს, სალომე ზურაბიშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს საფრანგეთში ელჩად მეუღლის ქალიშვილის მეგობარი დანიშნა, რომელიც წარდგენამდე თბილისში ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობაში პირად მდივნად მუშაობდა, მაშინ ესპანეთში ელჩად კინომცოდნეც დაინიშნა.

საერთოდაც, მიმაჩნია, რომ საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელმაც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უნდა გახსნას თავისი წარმომადგენლობები. ყველა ქვეყანაში საელჩოების გახსნა დიდძალ თანხებთანაა დაკავშირებული.

**— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში რა პერსპექტივებს ხედავთ?**

— ასეთ პერსპექტივებს, ფაქტობრივად, ვერ ვხედავ, სანამ ხელისუფლების ოფიციალური პირები კატეგორიული ტონით ილაპარაკებენ რუსეთის მისამართით.

პრემიერ-მინისტრმა და სხვა პასუხისმგებელმა პირებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ რუსეთთან იქნება მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკურ კონტაქტებს, ეს წარმოუდგენლად მიაჩნიათ, ვიდრე ცხინვალსა და სოხუმში რუსეთის საელჩოები და სამხედრო ბაზები იქნება.

მადლობა ღმერთს, ბოლოს და ბოლოს მედვედევი გამოეხმაურა ქართველი მხარის წინადადებას სპეცწარმომადგენლის დანიშვნასთან დაკავშირებით და საერთოდ, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მან კატეგორიული ტონით თქვა: 2008 წელს შექმნილი რეალობის გათვალისწინებით უნდა წარვმართოთ ურთიერთობებიო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველომ უნდა აღიაროს, როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა.

აბაშიძე ამბობს, რომ არსებობს ე.წ. წითელი ხაზი, რომლის გადალახვა არ სურს არც რუსეთს და არც საქართველოს, ე.ი. ჩვენ ვჯიუტობთ და არ ვაპირებთ პოლიტიკური ურთიერთობების გაბმას რუსეთთან, ვიდრე აღიარებული იქნება რუსეთის მხრიდან აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი, მაგრამ, რეალობა ისაა, რომ ქართული მხარე, ამ ეტაპზე, მზადაა ითანამშრომლოს ეკონომიკის, კულტურის დარგში და ა.შ. რასაც რუსული მხარეც მიესალმება. თუმცა ჩნდება კიდევ ერთი დილემა — არის მზად საქართველო შეიტანოს რუსეთის ბაზარზე ისეთი პროდუქცია, რაც კონკურენტუნარიანი იქნება?! ისეთი ხარისხის პროდუქციას მივაწვდით ჩვენ რუსული ბაზარს, რომელიც მოთხოვნადი გახდება? მით უფრო, რომ რუსეთს დღეს ჰყავს ისეთი მაღალი რანგის მოხელე, როგორიც გენადი ონიშჩენკოა. იგი სერიოზულ კონტროლს ახორციელებს რუსეთის ბაზრებზე პროდუქციის ვარგისიანობის თვალსაზრისით. აქ საკითხი ეხება არაპესტიციდურ, არაგენმოდიფიცირებულ პროდუქციას.

ბიძინა ივანიშვილი კი, საკითხში, უფრო ღრმად გასარკვევად, რუსეთში ჩასვლას არ გეგმავს.

**— თქვენი აზრით, რატომ აგრძელებს „ქართული ოცნება“ წინა ხელისუფლების გეზს რუსეთთან მიმართებით?**

— მან განაცხადა, რომ ის შეხვდება რუსეთის ხელისუფლებას მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე. თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა.

მაგრამ, რატომ აგრძელებს ე.წ. ნაციონალურ გზას რუსეთთან მიმართებაში — იმიტომ, რომ მისი გარემოცვა ამერიკული ორიენტაციის პირდაპირი გამგრძელებელია.

საქმე ისაა, რომ ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობები აქვს ნატოსთანაც და აშშ-სთანაც, ახლო კონტაქტები აქვს თურქეთთან, შესანიშნავი კონტაქტები გააჩნია რუსეთთანაც. არავინ უშლის, მაგალითად, ყაზახეთს პოზიტიური ურთიერთობები ჰქონდეს ჩინეთთან, აშშ-სთან. ის კი არა, ყაზახეთი ეუთოს თავმჯდომარე იყო ერთი წლის მანძილზე.

საქართველო-ნატოს ურთიერთობაზე წმინდა წყლის ბლეფს სააკაშვილთან ერთად ნატოს შტაბ-ბინაც აღვივებდა ბრიუსელში, იმიტომ, რომ საქართველომ ნორმალური ურთიერთობები არ აღადგინოს რუსეთთან.

მიმაჩნია, რომ ხელახლა უნდა დაისვას რეფერენდუმის თუ პლებისციტის საკითხად ნატოში ინტეგრაციის თემა — არის თუ არა სინამდვილეში ეს ქართველი ხალხის მოთხოვნა?

თავის დროზე არჩევნების პერიოდში ბიულეტენში სააკაშვილის გაპრეზიდენტებასთან ერთად ნატოს ბლოკში ინტეგრაციაზე იყო შეკითხვა დასმული. მაშინ სერიოზულად არც კი იქნა ეს საკითხი განხილული. სპეციალურად გაზარდეს მაშინ ციფრი 70 პროცენტამდე, მაგრამ, იმ არჩევნებში იყო საუბარი — სააკაშვილმა გაყალბებით მოახერხა გაპრეზიდენტებაო. თუკი სააკაშვილმა პრეზიდენტობა გაიყალბა, ნატოში ინტეგრაციის სურვილის პროცენტები არ გაყალბებულა?

ჩემი აზრით, ეს სერიოზული საკითხია და ხელახლა უნდა დაისვას.

**— ეს საკითხია დღეს მთავარი?**

— დიახ. როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ მივდივართ ნატოსკენ და აშშ-ის მიმართულებით, ხოლო ეკონომიკურად რუსეთის ბაზარს შევყურებთ, ვერ მოხდება ურთიერთობების დარეგულირება. ევროკავშირი და ნატო, ეს არის ჩვენი მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრა. ჩავატაროთ ხელახლა გამოკითხვა და დავიწყოთ ფიქრი იმაზე, როგორ გავაუმჯობესოთ ურთიერთობები მეზობლებთან და როგორი მომავალი გვქონდეს.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ra unda urCios yvelaze `basrma Cangalma~ da qveynis useqsobis damtirebelma ministrs?

რამდენიმე დღის წინ ლალი მოროშკინას ცხოვრება ახალ ეტაპზე გადავიდა, იგი სასჯელაღსრულების მინისტრის პირადი მრჩევლი გახდა. ბევრისთვის, მათ შორის ჩემთვისაც, გაუგებარი აღმოჩნდა, რა ნიშნით, რა დამსახურებისთვის შეარჩიეს ლალი მოროშკინა ამ თანამდებობაზე. სასჯელაღსრულების მინისტრს თუ დავუჯერებთ, მოროშკინა ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიურობდა ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. „ მან კარგად იცის, თუ რა ხდება პენიტენციარულ სისტემაში და აქედან გამომდინარე, მას მნიშვნელოვანი რჩევების მიცემა შეუძლია როგორც მინისტრისთვის, ასევე სამინისტროს აპარატისთვის'', - განაცხადა სუბარმა ლალი მოროშკინას წარდგინებისას.



ბატონო სოზარ, ისეთ რთულ სისტემაში, როგორიც პენიტენციარული უწყებაა, მით უმეტეს, საქართველოში, მით უფრო მინისტრის პირად მრჩევლად, კანდიდატებს მხოლოდ და მხოლოდ ბოლოდროინდელი დამსახურების გამო არჩევთ? თუ ასეა ეს არჩევანი ნამდვილად სახარბიელო არ არის.

ვვარაუდობთ, სოზარ სუბარმა მოროშკინას ბოლოდროინდელი გამოცდილების ათვლა გლდანის ცნობილი მოვლენების შემდეგ დაიწყო, რაც მოროშკინა ციხესთან ქვეშსაგებ-საფენებზე წამოწოლილი მსჯავრდებულების მშობლებთან ერთად პროცესების განვითარებას ელოდა და ციხეებში რამდენიმე კვირის წინ შექმნილი მონიტორინგის ჯგუფს ხელმძღვანელობდა. ისე, ამ შემთხვევაშიც, გაუგებარია, რატომ მაინცდამაინც მოროშკინა?

ყველაზე უფრო სავალალო მაინც ისაა, რომ ქალბატონ ლალის სწრაფვა, როგორმე მოხვედრილიყო ახალ ხელისუფლებაში, ახლა უკვე მიღწეულია. თანაც საკმაოდ სოლიდური მისიით — ბოლოს და ბოლოს მინისტრის პირადი მრჩეველია, ყველაზე „ბასრი ჩანგლის'' მფლობელი, პრეზიდენტის და მსოფლიო ჩემპიონის „მეგობარი'', ქვეყნის უსექსობის დამტირებელი, კარგად გათხოვების რჩევების დიდოსტატი და ბოლოს, ბიჭოლას პირდაპირ ეთერში მამხილებელი.

დაპირებაც მიღებულია, სოზარის პირადი მრჩეველი ყველა პატიმარს დაჰპირდა, რომ დაიცავს სამართლიანობის ფარგლებში მათ უფლებებს და ყველა უკანონო პატიმრის გათავისუფლება მალევე მოხდება.

სხვათა შორის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილ მინისტრს ვერონიკა ქობალიას, სტრიპტიზბარში ყოფნის გამო აკრიტიკებდნენ და ლამის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხიც დააყენეს. იგივეს ნამდვილად ვერ ვიტყვით ახლა უკვე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრის პირად მრჩეველზე ქალბატონ ლალი მოროშკინაზე, რომელიც მეგობრის ქორწილში ანრი ჯოხაძესთან ერთად როკავს და როკავს. თუმცა მხოლოდ ეს რომ იყოს, კიდევ რა უჭირს, ანრიმ და ლალიმ იატაკი მოწმინდეს სექსის იმიტაციის მცდელობაში — ხან ლალი იყო „ზემოთ", ხან — ანრი „ქვემოთ"...



ამაზე მეტი, ყოველ შემთხვევაში, ნაკლები არ იყო ლალი მოროშკინას მიერ თაკო ფხაკაძის ჩანგალზე წამოგების შემთხვევა, თან საკმაოდ ხალხმრავალ ადგილას — „ნანუკას შოუში''. ამის გამო აწ უკვე სოზარის მრჩეველს 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს, დღეს კი სასჯელაღსრულების მინისტრის მრჩეველია. უცნაურად და დაუმსახურებლად მეჩვენება ლალი მოროშკინას მისია: მინისტრის პირადი მრჩევლის თანამდებობაზე. მით უმეტეს, ერთადერთი, რაც ლალი მოროშკინას პენიტენციარულ სისტემასთან აკავშირებს, ის 15-დღიანი სასჯელია, რომელიც თაკო ფხაკაძის „ჩანგალზე წამოგებისთვის'' მიიღო. ნუთუ მხოლოდ ამის გამო, ამ „დამსახურებისთვის'' უნდა დაინიშნონ მინისტრის მრჩევლებლად? მგონია, ეს საკმარისი არ არის!... სხვისი ბამბა ჩხრიალებს და ზოგის კაკალიც არაო, ნათქვამია.

**მირანდა ნაბახტეველი**

# მოგონება

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ასე არ ყოფილა, ბატონო გურამ, ძნელი აღმოჩნდა თქვენი დაკარგვა. თქვენ ქართველმა ერმა დაგკარგეთ, ღმერთმა გიპოვათ და გულში ჩაგიკრათ.

ცხოვრებისეული ხასიათით მეტად საინტერესო პიროვნება იყავით. ერთდროულად მიუახლებელი და ძალიან ახლობელი. უაღრესად პუნქტუალური, სიტყვა და საქმე განუშორებელი, მეტად მომთხოვნი, სხვისი დამხმარე და ზნეობით ამაღლებული.

უდიდეს ტრამვას საყვარელი შვილის დაკარგვით გულში უჩუმრად ატარებდით. მიუხედავად ამისა, საქართველოსთვის, სარწმუნოებისთვის არასოდეს გიღალატიათ. მოღალატეებს პირდაპირ ამხელდით, ამიტომაც მოგესაჯათ 2-ჯერ 15-დღიანი პატიმრობა პოლიციის სამმართველოს დილეგში, რომელიც სრულად მოიხადეთ. ე.წ. სამართალდამცავებს წარბიც კი არ შეუხრიათ ამის გამო. აკადემიკოსი, საზოგადო მოღვაწე სამშობლოს სიყვარულისა და მართლმადიდებლობის დაცვისთვის დილეგში ჰყავდათ. სასჯელის მოხდის შემდეგ ისევ აგრძელებდით ჩვეულ ბრძოლას მართლმადიდებლობის მოწინააღმდეგეთა მიმართ. პარლამენტის შენობაშივე დაწვით სახალხოდ იეღოველთა მწვალებლური ბროშურები, გენერალური პროკურატურის შენობის წინ ცეცხლს მიეცით სექტანტების წიგნები, საოლქო სასამართლოს წინ დაწვით ჩვენს მიმართ გამოტანილი უკანონო განაჩენი. ჩვენ გვერდით დაუნდობლად ებრძოდით ჯორჯ სოროსის მიერ გამოზრდილ ლეკვებს „თავისუფლების ინსტიტუტის" სახით, რომელთაც ხელთ იგდეს სახელმწიფო მართვის ყველა ბერკეტი და იწყეს საქართველოს ნგრევა.

თქვენ დაუნდობლად, თავგანწირულად ებრძოდით გადამთიელ გრეგ გუროვს, რომელიც ცდილობდა საქართველოდან გაეტანა განძი, რომელიც დაბრუნდებოდა, ან — არა. ბატონ ელიზბარ ჯაველიძესთან ერთად პარლამენტის სხდომებზე გამუდმებით ებრძოდით საქართველოს მოღალატეებს, ამჟამად პარლამენტში მოკალათებულ ე.წ. „ერთგულებს", სადაც უჭირდა ჩვენ ერს, ყოველთვის იქ იდექით და მხოლოდ სიმართლეს ემსახურებოდით. თქვენ ცხოვრებას ლაიტმოტივად გასდევდა: ენა, მამული, სარწმუნოება. თქვენი მოღვაწეობით აგრძელებდით დიდი ილიას გზას, გასწიეთ ექვთიმე თაყაიშვილისდარი შრომა. მთელ მსოფლიოში აგროვებდით გაბნეულ, ერისთვის საჭირო უნიკალურ მასალებს და მიუძღვენით ერს. მიუხედავად საზოგადოებრივი დატვირთვისა, ყოველთვის მათ გვერდით იდექით, ვინაც ჭეშმარიტად ემსახურებოდა სარწმუნოებისა და ერის ინტერესებს. მუდამ ჩვენ გვერდით იდექით, ჩვენი ეკლესიის დარბევის წინა ღამით ჩვენთან იმყოფებოდით. თხოვნით გაგისტუმრეთ, ვიცოდი, რომ თქვენც დაგაპატიმრებდნენ. ნეტა, მართლაც ესე ყოფილიყო. იქნებ სიკვდილს გადარჩენილიყავით.

ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ვერ აიტანეთ „სამართლის" დამცველთა უსამართლობა და მიმართეთ მათ: „მე კი მივდივარ პროცესიდან, მაგრამ ვნერვიულობ, ვის ხელშია ქართველი ერი, რომ არსაიდან სიმართლის ნაპერწკალიც კი არ კიაფობს, მართვადი ხართ ზემოდანო". ამის შემდეგ დატოვეთ იქაურობა. ციხის საავადმყოფოშიც ჩვენი მონახულების გამო ციხის უფროსიც დაითხოვეს სამსახურიდან.

თქვენ არ გაპატიეს სამშობლოს სიყვარული, არ გაპატიეს თხემით ტერფამდე ქართველობა, არ გაპატიეს ის, რომ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად დაუნდობლად ებრძოდით ანტიქრისტეს მოციქულებს თავისუფლების ინსტიტუტის სახით, ბოლომდე იბრძოლეთ, რათა გაუქმებულიყო იეღოველთა სექტის უკანონო რეგისტრაცია.

საქართველოს მტრები, სააკაშვილიდან დაწყებული, ყოველნაირად ცდილობდნენ თქვენ ჩრდილში მოქცევას და ილია ჭავჭავაძის 100 წლისთავზე საჯარო ბიბლიოთეკიდან სახლში მიმავალი ქალაქის გულში მუხანათურად დაგხვრიტეს, დაადუმეს თქვენი კალამი და მართალი სიტყვა.



ვერ იტანდით სააკაშვილს, რომელმაც თავის თავზე მოირგო კანონი, დაიწყო ქვეყნის ნგრევა, მართლმადიდებლობას გაუთანაბრა ყველა მწვალებლური სექტა, სრულ მონობაში მოაქცია საზოგადოება.

რომ არა ბიძინა ივანიშვილი, სადამდე მივიდოდით, ახსნა ძნელია.

ბატონო გურამ, თქვენი მოღვაწეობით იარეთ ქრისტეს ეკლიან ბილიკზე. რაც შეგეძლოთ, მაქსიმუმი გააკეთეთ ერის საკეთილდღეოდ, მოწამებრივი გვირგვინიც დაიდგით საღად მოაზროვნე, ჭეშმარიტ მორწმუნე ქართველთა გულში. თქვენს სახელს, ღვაწლს ერისა და სარწმუნოების წინაშე დავიწყება არ ეგების.

მადლობა უფალს, რომ საქართველოს ჰყავს ზვარაკად შეწირულთა იერარქია, რომელთა სისხლით იწერებოდა ჩვენი ისტორია. თქვენც დათხიეთ სისხლი, განვლეთ მათი გზა, მიეახლეთ უფალს და დღეს დგახართ სახელოვან მამულიშვილთა გვერდით.

ილოცეთ ჩვენი ბედკრული საქართველოსთვის, რათა ჩვენმა ერმა შვება იგრძნოს და ამოისუნთქოს, რომ ჩვენც დავდოთ წვლილი სასიკეთო საქმეთა აღსრულებაში, დავიცვათ თქვენი ნაამაგარი, პატივი მივაგოთ ღირსეულ მამულიშვილთა, ზვარაკად შეწირულთა, ხსენებას.

„სულმან თქვენმან კეთილთა შინა განისუენოს"...

თქვენი იდეების დამცველსა და გამგრძელებელს, თქვენ ქალიშვილს — რუსუდან შარაძეს ვუსურვებთ გამძლეობას საყვარელი მამის დაკარგვის გამო, წინსვლასა და წარმატებას ვუსურვებთ სამშობლოს ინტერესებისა და სარწმუნოების დაცვისთვის.

თქვენს მეუღლეს ქალბატონ სვეტლანას, ფრიად პატივცემულ დედას, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, რათა იმედად ჰყავდეს ქალბატონ რუსუდანს, შვილიშვილებს, ახლობლებს...

იმედს ვიტოვებთ, რადგან დადგა დრო კანონიერების ზეობისა, ნათელი მოეფინოს და სამაგიერო მიეზღოს, ვინაც დაგეგმა ეს მზაკვრული მკვლელობა და სისრულეში მოიყვანა. თუმცალა საზოგადოებამ უწყის, ვინ არის ავტორი იმ საშინელებისა, „არა არს დაფარული რომელი არა განსცხადნეს"...

**თბილი მოგონებით, გლდანის**
**ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის**
**ეკლესიის წინამძღვარი**
**მამა ბასილი**
**(მკალავიშვილი)**
**მღვდელი**
**მამა ვახტანგი**
**(მარგიანი),**
**ეკლესიის მრევლი**

# saakaSvili 5 ianvrisTvis unda ganidevnos saqarTvelodan!



## კობა არაბული
### მწერალი

* * *

ვიდრე რამდენიმე სენტენციას ჩამოვაყალიბებდე, რომელიც შეიქმნა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეზე, მინდა ასეთი რამ ვთქვა: როდესაც დათვის ფუნე ყვავის, ამოდის მაჟალო ან ლენცოფა, ე.ი. იზრდება ის, რასაც დათვი მიირთმევს, და არა ვთქვათ, ლიმონი და ლეღვის სურნელოვანი ხე...

ასეთი შეგრძნება დამრჩა, როდესაც ბენდუქიძე ჟურნალისტებს შეხვდა და მათ თავზე ათასნაირი ნაგავი და უზნეობა (გესლი) გადააპერტყა... ჩემდა გასაკვირად, ისინიც რატომღაც გუგულის კვერცხებივით, ისხდნენ“ და ღიმილით იტანდნენ ამ თავხედი „ცხოველის“ შეურაცხყოფას... (ფეკალიებს და ა.შ.)

ეს უშველებელი „შხამიანი სოკო“, რომელიც ქართულ ნიადაგზე აღმოაცენა სააკაშვილმა, და რომელმაც მთლიანად დაშალა და გაანადგურა საქართველოს ეკონომიკურ-საარსებო სივრცე, რომლის მიზეზითაც განიდევნა მშიერი ერი საკუთარი მამულ-წყლიდან, კიდევ აფრქვევს შხამს და იკავებს გარკვეულ „ნიშას“ – ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე.



* * *

ახლა რამდენიმე სენტენცია უნდა შევთავაზო „საერთო გაზეთს“ და საზოგადოებას:

კერძოდ: მერაბიშვილი ქმნის პარტიას, მაგრამ უმჯობესია (საჭიროა) ციხეში შექმნას ეს პარტია...

* * *

– რამიშვილ-ბოკერიას, მერაბიშვილ-ადეიშვილ-კუბლაშვილების კასტამ ბენდუქიძესთან ერთად უნდა გადაინაცვლონ გლდანის საპყრობილეში ახალაიებთან, ბარამიძეებთან, შაშკინთან, ზოდელავასთან ერთად წიკლაურ- გაბაშვილების, ხერხეულიძე-ჩიორების, თუთბერიძე-ოჩიაურების თანდასწრებით!? მეუფე კალისტრატესა და პეტრეს მონაწილეობით – მისი სუფევით...

ნოდიასა და უფრორე დარჩიაშვილის ტიპის „მომყოლთა“ უკან მიდევნებით...

იდეოლოგიის შემოქმედნი ქმნიან დანაშაულის სისტემას – კლანის ფსიქოლოგიას.

შემსრულებელნი იმეორებენ, მას, შესაძლოა, იძულებით ასრულებენ და ახორციელებენ ამდენად ისინი ნაკლებ სასჯელს იმსახურებენ...

* * *

ბენდუქიძემ დაანგრია ერის მატერიალური სივრცე, XXI საუკუნეში ქვეყნის ბენდუქიზაციამ ქართველი ერი ლტოლვილად აქცია, მისი ტვინის „ნაორთქლია“ სოფლის მეურნეობის ნულოვანი შედეგი და ერის დემოგრაფიული კოლაფსი: აყრა, განდევნა, ისევე, როგორც მისი ტყუპისცალი სააკაშვილის ნულოვანი ტოლერანტობა! ქუჩაში დახვრეტა, დაჭერა, საპყრობილეების ამოვსება-გაუპატიურება! – აქვე ვაცხადებთ, ამათი ფაშისტური ორგანიზაცია უნდა აიკრძალოს!!!

* * *

ამ ტირანი ჯალათების კასტა, რომლებიც ჰიქსოსებივით მოევლინენ საქართველოს XXI საუკუნეში და შეეცადნენ უძველესი კავკასიურ-იბერიული რასის ამოგდებას, მისი სულიერი და ზნეობრივი მატრიცის წაშლას, დასაბამითგან მისი კუთვნილი ისტორიული სივრციდან განდევნას.

უნდა გადაბარგდნენ საპყრობილეებში სამართლის ძალით! – მათი სულიერი მამების თანდასწრებით და „სულის სუფევით“...

* * *

სამართალი დამნაშავეს უნდა შეუბრუნდეს, თორემ დაუსჯელობის სინდრომით დაისჯება და დაზარალდება ერი, თავისი მთლიანი სულიერი მატრიცით.

დანაშაულის დაუსჯელობას ქართველი ერი აღარ მოითმენს.

* * *

ერთმა ფხოველი თემის კაცმა ასეთი რამ მითხრა: ესენი ეს ყაჩაღები ვერ ხედავენ საკუთარ შეცდომებს: და ცუდად ფახფახებენ, ამათგან თუ ივანიშვილს ერთი თმის ღერიც ჩამოუვარდება თავიდან, არ ეგონოთ რომ ისე შერჩებათ, როგორც გამსახურდიას შემთხვევაში შერჩათ – ძირფესვიანად ამოვაგდებთ აქედანო!...

ეს მუქარა მართალია, და მართლაც ასეა! სატანების დაცხრომის დრო უნდა დადგეს, ზნეობრივი კათარზისი ეტყობა უზნეოთა კლანისთვის შეუძლებელია, ვიდრე მათ თემიდას სასწორი და ხალხის რისხვა არ მიაკითხავს)

მათ უნდა იცოდენ ერი და ბერი ივანიშვილის მხარეზეა, ეს ივანიშვილსაც უნდა ახსოვდეს და ასე იმოქმედოს.

მე ვეუბნები მათ მოიქეცით ოდნავ მაინც წესიერად, ვიდრე მოთმინების ბაწარი გაწყდება... თორემ, გასწრებაც ძნელი იქნება და შესწრებაც...

* * *

ვითარცა ეგვიპტეს – უძველესი ცივილიზაციის ქვეყანას დიდხანს გაჰყვა ჰიქსოსების კვალი, საქართველოსაც დიდხანს გაჰყვება ამ 10-წლიანი ვანდალების მოვლენილი აოხრების კვალი. ნგრევა ფარული: ერთი შეხედვით, შენებით და „აღდგინებით“ შენელებული, ძველის „რესტავრაცია“ გიფსოკარდონებით, ეროვნულის, ტრადიციულის ნგრევა – ნაციონალურის სახელით, ანტიქრისტეთა მოვლინება ქრისტეს სახელით.

„დემოკრატებმა“ და ლიბერალებმა ვერ დაინახეს ქართველი ქრისტიანული ერის მატერიალური და სულიერი კულტურის რბევა-ტირანია, საპყრობილეთა ცოდვა!

მაგრამ მათ დაინახეს სხვა რამ და შექმნეს ჰომოსექსუალთა მისტერიები...

* * *

მე არ ვიცი ჟურნალისტთა იმგვარი ქცევის მიზეზი, ბენდუქიძესთან როგორც ისინი მოიქცნენ, მაშინ, როდესაც ივანიშვილის თუნდაც ერთი შემთხვევით თქმული ფრაზაც კი პირდაპირ საერთაშორისო სკანდალის მიზეზად იქცევა მათ მიერვე და მატლიჭამია ჩხიკვებივით კორტნიან მას...

ეტყობა, „ძაღლის თავი“ აქ არის დამარხული და „ეს თავი“ არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე სააკაშვილის კლანთა „დამპალი თევზის“ თავები!

* * *

– აქ მკაფიოდ უნდა ითქვას: არა აქვს სასურველი საინფორმაციო ფონი „ქართულ ოცნებას“! ყველა სატელევიზიო არხი: მათ შორის, „მაესტროც“ ნაციონალების და ლიბერტარიანელების წისქვილზე ასხამს წყალს და ნეგატიურ, სახიფათო ნიადაგს უქმნიან ივანიშვილს. ზოგადად, ეროვნულ ძალებს, ქართულ ცნობიერებას... კვლავ ჰიმონოეუსები და ლიბერალები, ფსევდოპატრიოტები. სხედან იქ ეკრანებზე და „ნელთბილად“ ღეჭავენ ხალხს – ზოგი ძველი, ჩრჩილის ნაჭამი, – ზოგი ახლადგამომცხვარი „ჰამბურგერი“...

* * *

– პოლიტპატიმრებზე ატეხილი აჟიოტაჟიც მოდის აქედან, არასამთავროებიდან, იურისტთა და სხვა ჯურის ასოციაციებიდან – ჟურნალისტებისგან ბევრი დემაგოგიურგი გამოსვლები და „ნიჰილიზმი“ ითესება...

* * *

საჭიროა ამ არასამთავრობოების, ამ სახიფათო – მეცამეტე – გოჭების და „იხვის გესლიანი“ ჭუჭულების განეიტრალება, ახალი ეროვნული ენერგიით, ან განდევნა! ეს აუცილებელი და გარდაუვალი იქნება ქართული ცნობიერების გადასარჩენად.

თორემ ისინი ლამის პარლამენტში დაიბინავა ახალმა პარლამენტის თავმჯდომარემ. სათბურის ჭუკებივით ესეც პირადად მე მეტად სახიფათო ტენდენციად მეჩვენება! პარლამენტმა ომბუდსმენის კანდიდატად დიმიტრი ლორთქიფანიძის გაყვანა არასამთავრობოებით შეაჩერა, მათ, ფაქტობრივად, ჩააგდეს ამ შესანიშნავი პიროვნების კანდიდატურა და ლიბერტარიანელი ყვანჩალები შემოუსიეს! (შემოუგდეს)...

ვიმეორებ, ეს მეტად სახიფათო ტენდენციაა, რაც საზოგადოების უნდობლობას ამძაფრებს პარლამენტის მესვეურთა მიმართ და ბევრ რამეს აყენებს ეჭვის ქვეშ...

* * *

ეშტონების და „ჰამბურგერების“ შემოტევა საქართველოზე (და, კერძოდ, ივანიშვილზე) ორხელისუფლებიანობის დაკანონებისთვის სააკაშვილის უზნეო დამნაშავე ფიგურის გათანაბრების დაჟინებული მცდელობა-ივანიშვილთან მეტად სახიფათო სტრატეგიაა ქართველი ერისთვის! ჩვენ ამ პირობებში სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ!

* * *

სააკაშვილი 5 იანვრისთვის უნდა განიდევნოს საქართველოდან, როგორც კონსტიტუცია გვკარნახობს მის ფალსიფიცირებამდე და როგორც საზოგადოება ითხოვს!

მათ, უცხოელ ჭკუის მასწავლებლებს უნდა ესმოდეთ, რომ ქართველმა ხალხმა უარი უთხრა პირადად სააკაშვილს და მის კლანს და არავის სხვას. ეხლა ჩვენ ესენი აღარ გვჭირდება! გზაში „ჩახერგილი ურმები“ – თუ ქვიშაში ჩარჩენილი ლოქოები უნდა მოვიშოროთ საარსებო სივრციდან.

* * *

ერს უნდა არსებობა და ეროვნული ქართული სახელმწიფოს აშენება: ერს უნდა ფარნავაზის, გორგასლის, ხანძთელის, რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის გზით სიარული და არა სოროსის, სოროსიანელების კარნახით ცხოვრება!

დამთავრდა სოროსების დრო. ეს უნდა გაიგოს სააკაშვილმა და ოკეანის გაღმელმა ლიბერალებმა (ქორკაწახებმა).

* * *

ქართველმა ხალხმა უნდა გააგრძელოს მკვეთრი ბრძოლა გადარჩენისთვის, პრინციპული „არა“!

– სოროსელების
– ლიბერტარიანელების
– ჰომოსექსუალების
– ლესბოსელების ქვეყნის შექმნას!

მკვეთრი პროტესტი ტრადიციულ კულტურათა და ქრისტიანთა დევნას უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში, უძველესი ანბანის და დამწერლობის ხვთიურ მიწაზე!...

ერთი სიტყვით, ჩვენში და ჩვენს ირგვლივ გვჭირდება ზნეობის, კულტურის, ტრადიციების, მწერლობის დაცვის ძლიერი ინსტიტუტები!

ძლიერი კულტურის სამინისტრო
ძლიერი მწერალთა აკადემია
ძლიერი სამეცნიერო-სახელობო შემოქმედებითი ინსტიტუტები!
და არა (როგორც არის)
ერთი მინისტრი და მეჩითოვი!
ერთი მაყვალა და არაფერი!

არამედ რაღაც სხვა, სრულიად ძველი და ახალი ტიპის ანდრეზული, ეროვნული, ტრადიციული ცოდნის იერარქია. მომცველი მთლიანი ეროვნული სივრცის და კერძოდ, უძველესი ქართულ-იბერიული პროვინციების. ტრადიციული სამეურნეო სისტემებით და ეთნოკულტურათა ცოდნით.

* * *

ივანიშვილმა უნდა მიიღოს რადიკალური გადაწყვეტილებები, უფრო და უფრო გაბედული, თორემ არსებობს დამარცხების ალბათობა!

– დამარცხდება ქართული იდეა და ქართველი ერიც. ეს კი დაუშვებელია!

* * *

ივანიშვილმა და პარლამენტმა სწრაფად უნდა შეცვალონ და გაუშვან დამნაშავე მოსამართლეთა კლანი! თუკი ამას არ დაბლოკავს – პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი ეს პროცესი სწრაფად უნდა დაიწყოს – სხვა შემთხვევაში, „სტაგნაცია“ ხიფათის შემცველია!

– ივანიშვილი ცუნგცვანგში აღმოჩნდა თუ დროზე არ მიეხმარება ერი და არ შეიქმნება დამცავი ძალა, ეროვნული ენერგეტიკული ველი – რეგიონებიდან მოხმობილი „სოლარული წრე“, „პრაიმერებით“ შერჩეული ადამიანები...

ყოველგვარი მესამე ძალა უნდა მიეხმაროს ივანიშვილს ქვეყნის გადარჩენაში.

რაიონებში ხდება ნაცების ერთგვარი რეანიმაცია...

ხელისუფლებას ვერ ჩამოვაცილეთ ესენი!...

რაც, გარკვეულწილად, განპირობებულია რეგიონებში „ქართული ოცნების“ პარტიული ცენტრების სისუსტით და იქ საეჭვო კადრების შედინებით!...

* * *

დაუყოვნებლად უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ხელშეწყობის სამსახურები რაიონებში, რომლებიც დაიწყებენ სწრაფ მკვეთრ რეაგირებას, გლეხობის (მეურნეთა) საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ხელშეწყობას.

საამისოდ სწრაფად უნდა გამოიყოს გრანტები და ინვესტიციები!

– საზოგადოების არსებობის ასეთი ტიპის გულის გატეხვა და ეჭვის გაჩენა: „რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის (ხალხისთვის, სოფლისთვის) ყველა ერთნაირია.“

– „სულ ერთია...“

– „ხომ ვამბობდით“, არავინ გვიშველისო.

ასეთი ტენდენცია არ უნდა გაღრმავდეს, თორემ იგი ხიფათის შემცველია...

ამ ზღვრის დაუძლეველობა დაუშვებელია!

„სულ ერთიას“ ნიჰილიზმი უნდა გაქრეს...

დაბოლოს მწერალთა ახალი აკადემია იქცეს ერის კულტურის და ცნობიერების დაცვის ცენტრად. რომ მწერლობა არა, რომ ილიას „ივერია“ არა, არ გვექნებოდა XIX-XX საუკუნე!..

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# ra gzas daadga saqarTvelo arCevnebis Semdeg?

**1-ლ ოქტომბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციური ბლოკის „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, საინფორმაციო სივრცეში გაჩნდა უამრავი პროგნოზი იმის შესახებ, რომ შესაძლოა, საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ დაბრუნდეს.**



ექსპერტთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, მოვლენების ასეთნაირად განვითარების საფუძვლები არსებობს. ბიძინა ივანიშვილმა ცხოვრების გარკვეული ნაწილი გაატარა რუსეთში, სადაც 6.4 მილიარდი დოლარის კაპიტალი დააგროვა. გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ მას სიმპათია გააჩნდეს ამ ქვეყნის მიმართ. 1-ლ ნოემბერს, ანუ ახალი მთავრობის ჩამოყალიბებიდან ერთ კვირაში, ახალმა პრემიერმა ზურაბ აბაშიძე რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პირად სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნა. ამ თანამდებობის დანიშვნა, აბაშიძის აზრით, უნდა განვიხილოთ იმის დასტურად, რომ საქართველო მზად არის, „რუსეთთან ურთიერთობის ახალი დამოუკიდებელი გზა გაჭრას“.

საქართველოში ვითარებას ძაბავს სააკაშვილის მიერ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 2013 წლიდან პრეზიდენტის უფლებამოსილებების ნაწილი გადაეცემა პრემიერ-მინისტრს, ანუ ბიძინა ივანიშვილს. გარდა ამისა, ეს უკანასკნელი შეიძლება განვიხილოთ 2013 წელს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად. გაისად დაგეგმილ არჩევნებში სააკაშვილს აღარ აქვს მონაწილეობის უფლება, რადგან მან უკვე ორი საპრეზიდენტო ვადა მოილია, ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში კი შემცვლელი არ ჰყავს.

საქართველოს პროდასავლური კურსის პრორუსულით ჩანაცვლებაზე ლაპარაკი სათუოა. 2013 წლის ბოლომდე პრეზიდენტად იქნება სააკაშვილი, რომელიც დასავლური შეხედულებების ერთგულია, მიუხედავად იმისა, რომ მასზე მოსკოვი ზეგავლენის მოხდენას ცდილობდა. გარდა ამისა, სახელმწიფოს მეთაური, საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგაც, კვლავ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფიგურად დარჩება. ასეთი ორხრლისუფლებიანობის პირობებში, ივანიშვილი ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ კურსს მკვეთრად არ შეცვლის.

იმავდროულად, დამარცხებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობა თავის პოზიციებს არ თმობს და ჩასაფრებული ივანიშვილის მთავრობის შეცდომების გამომზეურებას ცდილობს.

და ბოლოს, საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე „ქართული ოცნების“ ზეგავლენას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბლოკის ერთიანობა. იგი შედგება ექვსი პარტიისგან, რომლებიც არაერთხელ გამოსულან ურთიერთგამომრიცხავი განცხადებებით. ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში 67 დეპუტატი ჰყავს (150-იდან) და მმართველი კოალიციის დაშლის შემთხვევაში, იგი თავის პოლიტიკურ პოზიციებს განიმტკიცებს.

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობის ნდობა დაკარგა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშემშლელი მცდარი პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებებია. გარდა ამისა, მოსახლეობის ერთი ნაწილი სააკაშვილს რუსეთთან 2008 წლის ომის გაღვივებაში სდებს ბრალს. გარკვეულწილად, ივანიშვილის გამარჯვება — ეს არის საზოგაოების პასუხი ხელისუფლების მცდარ პოლიტიკაზე, რომ არაფერი ვთქვათ ზედმიწევნით გათვლილ და კარგად ორგანიზებულ წინასაარჩევნო პოლიტიკაზე. შესაბამისად, ამომრჩევლების შემდგომ მხარდაჭერას განაპირობებს მმართველი გუნდის უნარი, თავიდან აიცილოს წინამორბედთა შეცდომები; ამ შემთხვევაში რადიკალური ნაბიჯები სარისკო და მიზანშეუწონელია.

ამგვარად, ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ივანიშვილი საგარეოპოლიტიკური კურსის რუსეთის მიმართულებით შეცვლას აპირებს, არ შეიძლება. ამას უკრაინის მაგალითიც მოწმობს: 2010 წელს, იანუკოვიჩის ქვეყნის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ბევრი ექსპერტის ვარაუდით, უკრაინა პრორუსული გახდებოდა. სინამდვილეში კი ქვეყანამ რუსეთსა და დასავლეთს შორის დაბალანსებული პოლიტიკა აირჩია, ხოლო ევროინტეგრაცია ფორმალურად უკრაინის საგარეოპოლიტიკური კურსის მთავარ პრიორიტეტად დარჩა. საქართველო შესაძლოა, სწორედ ამგვარ გზას დაადგეს.

ჯერჯერობით კი, ივანიშვილი აცხადებს, რომ ჩრდილოატლანტურ ალიანსთან თანამშრომლობის შეწყვეტას არ აპირებს. პარლამენტისთვის მთავრობის ახალი პროგრამის შეთავაზებისას, პრემიერმა აღნიშნა — ევროკავშირისა და ნატო-ს წევრობა ქვეყნის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტია, ხოლო საქართველოს უმნიშვნელოვანეს მოკავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთანთან ურთიერთობა 2009 წლის იანვარში ხელმოწერილ სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიას დაეფუძნება.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპარლამენტო არჩევნებში ივანიშვილის მეთაურობით „ქართული ოცნების“ გამარჯვება ქვეყანაში პოლიტიკურ ცვლილებებს გულისხმობს. თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს ცვლილებები რადიკალურად შეცვლის საქართველოს საგარეოპოლიტიკურ კურსს. არ არის გამორიცხული, უფრო ხშირად გაკეთდეს განცხადებები რუსეთთან ურთიერთობის დათბობის შესახებ, მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში სერიოზულ ცვლილებებს უნდა ველოდოთ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ; და ისიც მაშინ, თუ არჩევნებში ივანიშვილი ან მისი თანამებრძოლი გაიმარჯვებს.

**geopolitika, ltv**.

# ra Seicvala gaeros mier palestinis avtonomiis `damkvirvebel saxelmwifod~ aRiarebis Semdeg?

**რა შეიცვალა ღაზის სექტორში კონფლიქტისა და გაეროში კენჭისყრის შემდეგ? დასავლეთის პრესა აანალიზებს შექმნილ ვითარებას, მათ შორის — ისრაელის საპასუხო ღონისძიებებს და ცდილობს, სამომავლო პროგნოზებიც გამოთქვას.**

**Time — „ხომ არ ცდილობს ნეთანიაჰუ „ორი სახელმწიფოს“ გეგმა განუხორციელებელი დარჩეს?“**

გასულ პარასკევს ისრაელმა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე დასახლებების მშენებლობის ახალი ეტაპი დაიწყო. ექსპერტი-გეოგრაფი დანი სეიდემანი ამ გეგმას „განკითხვის დღის დასახლებას“ უწოდებს.

სექტორ ღაზის პალესტინელები მდინარე იორდანეს დასავლეთი სანაპიროს მოსახლეობისგან უკვე გამოცალკევებული არიან. ახალი პროექტი დასავლეთ სანაპიროს ორ ნაწილად ყოფს და იმავდროულად, იერუსალიმის ნაწილსაც საზღვრავს.

„ფაქტობრივად, იქმნება ისეთი რეალობა, რომელიც „ორი სახელმწიფოს“ თანაარსებობის ვარიანტს ბოლოს მოუღებს. ეს ნაბიჯი არსებულ თამაშში არა მარტო გარდამტეხია, არამედ თამაშის დასასრულს მოასწავებს“, — ასკვნის სეიდემანი.

ნეთანიაჰუს ამ ნაბიჯმა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია არა მარტო ისრაელში, არამედ უცხოეთშიც — დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისრაელელი მიმომხილველები, მემარჯვენეებიცა და მემარცხენეებიც, მკითხაობენ, რამ უბიძგა პრემიერს ასეთი საქციელისკენ, რამაც ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციას ხელი შეუწყო. ჩიკაგოს მერმა რამ ემანუელმა ებრაელებს „უმადურები“ უწოდა.

პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი, საბოლოოდ, მიწისთვის ბრძოლაა. „ნოემბრის გაკვეთილებმა პალესტინელებს ჭკუა ასწავლა. „ჰამასმა“ ტერიტორიები ისრაელის მიმართულებით გაშვებული 1300 რაკეტის წყალობით მოიპოვა. როგორც კი აბასმა გაეროში პალესტინის ავტონომიის ახალი სტატუსი მიიღო, „საპასუხოდ, ისრაელმა დასავლეთის სანაპიროს კიდევ ერთი მონაკვეთი მიიტაცა“, — წერს ავტორი.

**El Pais — პალესტინის სახელმწიფო გულმოწყალების გამო დახვრიტეს“**

რაიონი **E-1** — ეს არის დაბლობი, რომელიც მკვდარ ზღვას გადაჰყურებს, მაგრამ ისრაელსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის შეხლა-შემოხლა, სწორედ მიწის ამ მონაკვეთის გამო, როგორც არასდროს, ისე გამძაფრდა.



„დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოსთვის დასახლება **E-1** — ეს არის უკანასკნელი ლურსმანი იმ კუბოსი, რომელშიც „ორი სახელმწიფოს“ იდეა დაიმარხა. გამოცემის პოზიციით, ამ ადგილას ებრაული დასახლების მშენებლობა ფაქტობრივად არღვევს პალესტინის პოტენციური სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ამ დასახლების გეგმა რამდენიმე ათეული წელია, არსებობს და რაღა ახლა დაიწყო ისრაელმა მოსამზადებელი სამუშაოები? „უპირველეს ყოვლისა, ეს არის იმის მცდელობა, შეეხო ყველაზე მგრძნობიარე სიმებს და გამოხატო უკმაყოფილება იმით, რომ გაერომ აღიარა პალესტინელები“.

**The New York Times — „ნეთანიაჰუს სტრატეგიული შეცდომა“**

გამოცემის სარედაქციო წერილის სათაურიც მწვავეა და შინაარსიც: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ კრიზისის გამწვავებას აპირებს“.

**E-1**-სა და სხვა სადავო რაიონებში საცხოვრებელი სახლების აშენების გეგმა, აგრეთვე პალესტინის ავტონომიის საგადასახადო შემოსავლების გაყინვა — ეს არის სადამსჯელო ზომა პალესტინელი ხალხის ოფიციალურად აღიარებული ერთადერთი წარმომადგენლის მიმართ“, — ვარაუდობს გამოცემა.

ზოგიერთი ამერიკელი კონგრესმენი კი შურისძიებას გეგმავს: იმუქრებიან, მაგალითად იმით, რომ პალესტინელებს ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული დახმარების გარეშე დატოვებენ. გაზეთი სიფრთხილეს იჩენს — „ასეთი მოქმედებები დააზარალებს ისრაელს და კიდევ უფრო დაასუსტებს ამერიკის შეერთებული შტატების უნარს, შერიგების მცდელობისას საიმედო პარტნიორი იყოს“.

ნეთანიაჰუს მოქმედება „სიბეცეა“: იგი ვნებს აბასს (ერთადერთ ადამიანს, რომელსაც სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ენდობიან), ყურადღება გადააქვს ირანის ბირთვული პროგრამიდან და ისრაელს ევროკავშირს აშორებს.

გაზეთი რჩევას ობამასაც აძლევს: „შეიმუშაოს ახალი სტრატეგია სამშვიდობო მოლაპარაკებების გასაახლებლად. დასაწყისისთვის — მოუწოდოს ნეთანიაჰუს, უარი თქვას ახალი დასახლებების გეგმაზე, ხოლო აბასს — პალესტინის ავტონომიის გაეროს წევრობის შესახებ განაცხადზე და სარჩელი შეიტანონ ისრაელის წინააღმდეგ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასასამართლოში“.

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ**.

# ავადმყოფობაზე ადრე სიზარმაცეს ვძლიე!

**ეს წერილი ჩემმა ახლობელმა გადმომცა და უცვლელად გამომაქვს თქვენს სამსჯავროზე:**

„ჩემს ყოველ სიტყვაზე პასუხს ვაგებ: მე აივ ინფიცირებული ვარ და ყოველ ჩემს სიტყვაზე პასუხისმგებელი.

უკვე მეორე ათეული წელი დამთავრდა, რაც დაავადებულად ვითვლები, მაგრამ ამას ჩემი წარმატებებისთვის ხელი არ შეუშლია. რაც მთავარია, მიყვარს, ვუყვარვართ მყავს შესანიშნავი ოჯახი, ერთგული მეუღლე, ორი მოზრდილი ვაჟი, ვვარჯიშობ, ცივ წყალში ვცურავ, ვშრომობ, ანაზღაურებას არ ვემდური, ვისვენებ და ვტკბები... და არა თუ არ მოვმკვდარვარ, ცოცხლებზე უფრო ცოცხლად ვთვლი თავს, ჩემი დაჯერება შეიძლება: სიცოცხლის წყურვილი მუდმივად სიკვდილის წინაშე დგომამ გამიმძაფრა...

ცოდვა გამხელილი სჯობს, ცუდი შედარებაა, მაგრამ... ენერგოინფორმაციული საშუალებები ცოდნა - ბრძნული აზრები, ნებისმიერი მასწავლებლის ინტელექტი არ მცირდება იმის გამო, რომ მოსწავლეებს ცოდნას უზიარებს. პირიქით, ყოველი მათგანი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება მოსწავლის ტვინში მომენტალურად ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ყველა ცოცხალი არსებისთვის ბედნიერება და მატერიალური კმაყოფილება მოაქვს.

ენერგოინფორმაციულ საშუალებებს განეკუთვნება ლოცვები, რელიგიური რიტუალები, ასტრონომიული გამოთვლები, ჰიპნოზი და შთაგონება, ფსიქოტერორი, ზომბირება, ფსიქოთერაპია და ა.შ. რისი წყალობითაც ადამიანი ცდილობს დასახულ მიზანს მიაღწიოს. ვინაიდან დედამიწის კლიმატური, გეოქიმიური და ტექტონიკური თავისებურებები ინფორმაციულ-ენერგეტიკული პროცესებით არის განპირობებული, არსებობს გარესამყაროს მოვლენების და ობიექტების მიმართ ადამიანის ნებისყოფაზე დაძაბვის უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა და ყოველი მათგანი საკუთარ თავზე განსაკუთრებული ძალისხმევით მუშაობას მოითხოვს. ისე, თავისთავად არავის არაფრისთვის მიუღწევია, რადგან შრომის გარეშე არაფერი გამოდის. ასე, რომ იმ ჰიპნოზის ჩათვლით, ყველაფერს სწავლა, რისთვისაც ფულს ხარჯავენ, შემდეგ ორმაგად იბრუნებენ, თუ უფრო მეტად არა.. ამის მიხედვით, ადამიანები იყოფა ორ ნაწილად: ერთნი - შრომობენ და ფულს ამით აკეთებენ, მეორენი - ფულს იმით აკეთებენ, რომ პირველთა ნაშრომს ვილაცაზე იყენებენ. შანსი ისწავლო საკუთარ თავზე მოახდინო ზეგავლენა და გააკეთო ფული, ანუ, იცხოვრო - არსებობს ყოველთვის. მთავარია, გინდოდეს იცოცხლო.

მოკლედ, სასიკვდილო ეპიდემია დედამიწამ არაერთხელ გადაიტანა. შიდსიც უნდა გადაეტანა.

ბევრი ცნობილი უნივერსიტეტების ათეიზმის მკვლევარებმა, თავის დროზე, გამოავლინეს რწმენით და ლოცვით ავადმყოფების გაჯანსაღების ფაქტები და ათეიზმს ზურგი აქციეს. ათეიზმის მეორე „აქილევსის ქუსლია“ ზნეობის დაკარგვა, იმ ხალხის არაადამიანური და უმსგავსო საქციელი, რომელთაც ღმერთის არსებობის არ სჯერათ, მაგრამ ფარისევლობენ, ვითომ მორწმუნენი არიან, მათ ცოდვების არ ეშინიათ. ცნობილია, რომ ახალგაზრდა კომუნისტების პირველ ყრილობის დამთავრების შემდეგ კომკავშირელებს მოთხოვეს, ცას ტყვიები დაუშინეთ იმის ნიშნად, რომ ღმერთი არ არსებობსო. ყველამ ესროლა, მხოლოდ ერთმა — მღვდლის შვილმა შეიკავა თავი და განაცხადა: თუ ღმერთი არ არსებობს, ტყვიას რატომ უნდა ვესროლო და თუ არსებობს, რატომ უნდა ვაწყენინოო. თუ არ სწამთ, რა რჯით, აცხადონ საპირისპირო. ცხადია, იციან, რომ უფლის ყოვლისშემძლე ძალა ყველგან თან სდევს, ზუსტად განსაზღვრულად, ჯერ კიდევ გენეტიკის და შემდეგ წინაპართა დამსახურებისამებრ მიეზღვება ყველას. ამ რწმენით ვცხოვრობ და დამაქვს ჩემი „მძიმე ჯვარი“:



**საქმე იმაშია, რომ:**

იმ წელიწადს დამამთავრებელ კლასში გადავედი. სოხუმში მამიდაჩემთან ივნისის ბოლოს ჩავედი. ბანაობის გახურებული სეზონი იყო. ბიჭები სახლში საერთოდ არ ვჩერდებოდით, მთელ დღეს და ღამეს თითქმის ზღვაზე ვატარებდით. იმ დროს ყურებამდე შეყვარებული ვიყავი. თბილისიდან ჩამოსვლის პირველ დღეებში გამუდმებით ნიაზე ვფიქრობდი, უმისობა მიჭირდა... მაგრამ ნატაშას დანახვაზე გული სხვანაირად ამიჩქროლდა. ჩემზე ოდნავ უფროსი ქერა, პუტკუნა გოგონას გვარი ქართული ჰქონდა, გარეგნობა რუსული, ქართულად ლაპარაკობდა - რუსად ითვლებოდა. ყოველ ზაფხულს სოხუმში ვატარებდი, მაგრამ მანამდე რატომღაც არ შემიმჩნევია, თუმცა ბიჭები მარწმუნებდნენ, უკვე მერამდენი წელია, ჩვენი ქუჩის თავში „სილამაზის სალონში“ მუშაობსო. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ნატაშაც არ იყო ჩემდამი გულგრილი.

მე და ნატაშა ჩუმად ვხვდებოდით ერთმანეთს. ის ჩემი პირველი ქალი გახდა. ცხელი ზაფხული ერთად გავატარეთ და დაქორწინებაზე ჩემი საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ის-ის იყო გამოცდები ჩავაბარე და მისაღები გამოცდებისთვის თადარიგი დავიჭირე... არასდროს დამავიწყდება სატელეფონო ზარი სოხუმიდან: ბიძაშვილებმა დამწუხრებით მაცნობეს, ნატაშას შიდსი აღმოაჩნდა, ცუდად არის, სასწრაფოდ მოსკოვში გადააფრინეს, ყველა მისი შეყვარებული ექიმს გაესინჯა და იქნებ, შენც გამოგეკვლიაო... კიდევ უფრო შემზარავი იყო ჩემი სტუმრობა ინფექციურ საავადმყოფოში, სადაც სისხლი ჩავაბარე, დაჩქარებულად გამოსაკვლევად თანხა გადავიხადე და ცოცხალმკვდარმა დავტოვე იქაურობა. პასუხის მიღების მოლოდინში, იმ ღამეს საერთოდ არ მიძინია, თუმცა იმედიც ბჟუტავდა ჩემში, რადგან სოხუმიდან კიდევ დამირეკეს ბიჭებმა და მითხრეს, ნატაშას ზოგიერთ მეგობარი ინფიცირებული არ აღმოჩნდაო.

ეს იყო საშინელი დღე და ღამე ჩემს სიცოცხლეში. შემდეგ მსგავსი არ განმეორებულა. ყველაფერს საზღვარი ქონია, მით უმეტეს, ნერვიულობას, რომელმაც პიკს მიაღწია, როცა კვლევის ცენტრიდან დამირეკეს და იქ მისულს დანანებით მაცნობეს, რომ აივ ინფექციაზე „დადებითი ვიყავი“.

თავიდან გაურკვევლობამ შემიპყრო. არ ვიცოდი, შემდეგ როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ჯერაც არაფერი ვიცოდი ამ ინფექციის შესახებ გარდა იმისა, რომ „კლავს“. მე კი ჯერჯერობით არაფერს ვგრძნობდი, გარდა სიკვდილის შიშისა.

კარგად მახსოვს, რომ დედაჩემმა მოახერხა ჩემი პანიკური შიშის განელება. პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ მოიპოვა ინფორმაცია დაავადების შესახებ და წაკითხვას მაიძულებდა, იმ სახელმძღვანელოების ნაცვლად, რომელიც უნდა მემეცადინა და გამოცდებისთვის მოვმზადებულიყავი, მე კი სიკვდილის მოლოდინში ვიყავი და არაფრის არც გაგონება და არც დანახვა მსურდა, ამიტომ დედამ თავად წამიკითხა: „ინფექციის უარესი შედეგის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მის შესახებ ადამიანებს სწორი ინფორმაცია ჰქონდეთ. დაინფიცირებულებმა თავი უმწეოდ არ იგრძნონ, არ იფიქრონ, რომ განკურნება შეუძლებელია, იმუნური სისტემის გაძლიერებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების უამრავი გზა არსებობს. მკურნალობის ახალი მეთოდებით აივ ინფიცირებულთა ცხოვრება ხანგრძლივდება. მაგრამ ინფიცირებულს სიზარმაცის ნაკლები უფლება აქვს ვიდრე დაუინფიცირებელს“.

ბოლო ეს სიტყვები განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

თუმცა ჯერაც პანიკური შიში მქონდა და ძალუმად არ ვებღაუჭებოდი სიცოცხლეს... მას უკან უკვე 20 წელზე მეტი გავიდა, ბევრი ცნობილი თუ უცნობი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ დაავადებამ, მე კი ჯერაც ცოცხალი ვარ, მეტიც, ჯანმრთელი და სიცოცხლისუნარიანი, რადგან სრულიად ახალგაზრდა მივხვდი, რომ შინაგანი კლიშე უფრო საშიშია,




ვიდრე დაავადება, ან განსხვავებულობის პანიკურად აღქმა, რადგან უფრო ეჩვენებათ, თითქოს, დასცინიან, ვიდრე სინამდვილეშია. ამიტომ მათთან სხვებს კი არ უჭირთ ურთიერთობა, არამედ თავად უფრთხიან იმ „სხვებს“. ანუ საქმე დაავადებაში კი არა, დისკრიმინაციის მოლოდინსა და შიშშია, ანუ, დაავადებისადმი საკუთარ დამოკიდებულებაში.

ამის გაცნობიერებამ გადამარჩინა, რადგან მე შიშის მოლოდინზე მაღლა დგომა იმავე წუთებიდან გადავწყვიტე, როცა მისი მზაკვრული ხასიათის შესახებ ინფორმაცია „გადავხარშე“. პასიურობასა და იზოლაციაზე არც მიფიქრია. თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობს, ვერიდებოდი ყველაფერს, რასაც შესაძლო იყო ჩემგან სხვისი დაავადების საფრთხე გამოეწვია. ამით კომპლექსებს დავაღწიე თავი. და თუ ვინმემ ეს ვერ შეძლო, ვერავის დააბრალებს.

ვიცი და ვწუხვარ, რომ აივ-ინფირიცებულები თავს გაკიცხულად და გარიყულად მიიჩნევენ, ერიდებიან აივ-ზე ტესტირებას, მალავენ აივ-სტატუსს, უარს ამბობენ მკურნალობასა და მათთვის განკუთვნილ სპეციალიზებულ პროგრამებში მონაწილეობაზე — და ძალიან ცდებიან, რადგან მათი წამალი მხოლოდ აქტიური ცხოვრების წესია და არა სხვა რამე, რაც ყველას ძალუძს, თუ არ დაიზარებს. მივმართავ დაინფიცირებულებს:

**ჩემო კარგებო,**

**მხოლოდ აქტიურობით შეიძლება არ გაიუარესოთ ჯანმრთელობა, არ გაზარდოთ ეპიდემიის გავრცელების რისკი. საკუთარ თავს არ აუკრძალოთ, რისი გაკეთებაც გსურთ, იმის გათვალისწინებით, რომ ოდნავ უფრო მეტად უნდა უფრთხილდებოდეთ ირგვლივ მყოფთ, ოდნავ მეტად გიყვარდეთ ისინი, ვიდრე სხვებს. მუდამ გახსოვდეთ, რომ თავად თქვენზე — ინფიცირებულებზეა დამოკიდებული თქვენი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა და ისიც, თუ რამდენად დაცულნი იქნებიან თქვენს ირგვლივ მყოფნი პანიკური შიშის გარეშე სხვა დაავადებებისგანაც ხომ იცავენ თავს ადამიანები. ამის ღრმად გაცნობიერება დაგეხმარებათ ისევე, როგორც მე - საზოგადოების ღირსეულ წევრად იგრძნოთ თავი.**

**ჩემი ღრმა რწმენით, ადამიანი ყველა ასაკში უნდა სჭირდებოდეთ, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ უყვართ, არამედ იმიტომაც, რომ შეუძლია სასარგებლო იყოს სხვებისთვის და არა ხელით სათრევი. ასეთები, უახლოეს ადამიანებსაც მალე ბეზრდებათ. ამიტომ, პირველ რიგში, ადამიანს საკუთარი თავი თვითონ უნდა უყვარდეს და უფრთხილდებოდეს და ამაში ხელს არ უშლიდეს სიზარმაცე. ხომ დაკვირვებიხართ, რომ ადამიანებს ურჩევნიათ გადაყლაპონ აბები, დალიონ წამალი, ვიდრე, დავუშვათ, ტკივილის ასაცილებლად ივარჯიშონ, ან იარონ ბევრი, რათა დავუშავათ, მუხლის ტკივილი აიცილონ თავიდან. ყველა უბედურება საკუთარი თავის მოვლაზე უარის თქმით იწყება.**

**მე ავადმყოფობაზე ადრე სიზარმაცეს ვძლიე!**

**ყველაზე უფრო სწორედ სიზარმაცის მორევის გაცნობიერება გამიჭირდა. ახლაც მახსოვს დედაჩემის სიტყვები: სიზარმაცე ყველაზე რთული დაავადებაა, რომელსაც ვერანაირი წამალი ვერ შველის. სიზარმაცის ნაშობია ნებისმიერი დაავადება. გონიერ არსებებს ექიმი საერთოდ არ სჭირდებათ. ცხოველებზე გონიერის თქმა ძნელია, განსაკუთრებით, გარეულებზე, მაგრამ მათ სიცოცხლის ბოლომდე ექიმები არ ემსახურებათ.**

**ინფექციის მატარებლობა რომ დაავადებას არ ნიშნავს, ამის ნათელი მაგალითი მე ვარ“.**

**ეჭვი არ მეპარება, მკითხველებს შეკითხვებიც ექნებათ და ზოგიერთი საკითხი სადაო მოეჩვენება.**

**ველით თქვენს გამოხმაურებას.**

**ქეთევან ჩემია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რომ არ შეგცივდეთ



ყოველწლიურად, შემოდგომა-ზამთრის სეზონზე ათასობით ადამიანს ტემპერატურის მკვეთრი დაქვეითებისა და სიცივის გამო სერიოზული პრობლემები უჩნდება, რაც არა მხოლოდ მთელი ორგანიზმის დასუსტებას, არამედ სიცივისადმი ზედმეტად მგრძნობიარეებში სეზონური ალერგიის მიზეზიც კი ხდება.

რატომ გვცივა? – ალბათ, იმიტომ, რომ კანზე, რაოდენობრივად, სიცივეზე მორეაგირე ათჯერ მეტი რეცეპტორი გვაქვს, ვიდრე სითბოზე, ამიტომ ორგანიზმის რეაქცია, სიცხესთან შედარებით, სიცივისადმი გაცილებით მწვავეა.

ჩავიცვათ თუ არა სიცივეში ბევრი?

ბევრს მიაჩნია, რომ სიცივისგან თავდაცვის საუკეთესო საშუალება ბევრი ტანსაცმლის ჩაცმაა, რაც ყოველთვის გამართლებული როდია. ეს განსაკუთრებით ნეგატიურ შედეგებს იძლევა პატარა ბავშვებთან მიმართებაში.

**საწინააღმდეგო არგუმენტი 1.**

ადამიანის თბური დაცვის სისტემა მუშაობას იწყებს მაშინ, როდესაც ჩნდება განსხვავება გარემოსა და სხეულის ტემპერატურას შორის, ტანსაცმელი კი ამ განსხვავებას არბილებს გარკვეული ვადით და გარემოს ტემპერატურის ცვლილებაზე დაცვით რეაქციებს ამუხრუჭებს.

ძლიერ თბილად ჩაცმულ ადამიანში თბორეგულაციური მექანიზმები მხოლოდ მაშინ იწყებს მუშაობას, როდესაც სხეულის მიერ სითბოს დანაკარგი უკვე საკმაოდ დიდია.

მოგეხსენებათ, თბილად ჩაცმულ ადამიანს რომ შესცივდება, სითბოს შესავსებად აქტიურ ქმედებებს იწყებს: სწრაფ სიარულზე გადადის, დარბის, ყოველივე ეს კი აძლიერებს სისხლის მიმოქცევას და სითბოს წარმოქმნა ეს- ესაა იწყება, რომ გაძლიერებული სისხლის მიმოქცევით სისხლი მას უკვე სხეულის ზედაპირისკენ მიაქანებს და ადამიანი კიდევ უფრო დიდ სიცივეს გრძნობს.

**საწინააღმდეგო არგუმენტი 2.**

რამდენიმე ხანში სითბოს წარმოქმნა ნორმალიზდება, მაგრამ ორგანიზმის თერმორეგულაცია დეზორიენტირებულია, უჭირს სითბოს წარმოქმნასა და გაცემას შორის წონასწორობის აღდგენა და აქტიური მოძრაობების შემდეგ თბილი ტანსაცმლის ქვეშ უკვე ჭარბი სითბო იგრძნობა. ეს უკანასკნელი კი ხელს უშლის მის გარემოში გამოყოფას; აქ ორგანიზმს სხვა გზა აღარ რჩება – რადგან ჭარბი სითბოსგან გარემოში გაცემით ვერ თავისუფლდება რთავს სხვა დამცავ მექანიზმს: იწყება გაძლიერებული ოფლდენა.

**საწინააღმდეგო არგუმენტი 3.**

ამის შედეგად სხეულის ზედაპირზე წარმოქმნილი ოფლი იწყებს სწრაფ აორთქლებას და უკვე ტანსაცმლის ქვეშ იკარგება სითბო. ზოგიერთი ქსოვილის ტანსაცმლიდან ოფლი შეიწოვება და აორთქლების პარალელურად სხეულისკენ გადაადგილდება, ტანსაცმელი ნესტიანდება, ნესტიანი სამოსი კი ოცჯერ ძლიერ ატარებს სითბოს და ორგანიზმი კვლავ განაგრძობს მის კარგვას, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, ნესტიან ტანსაცმელს ზამთარში საკმაოდ ბევრი დაავადების გამოწვევა და გამწვავება რომ შეუძლია.

ამრიგად, მოჭარბებულად თბილად ჩაცმა იწვევს ორგანიზმის:

1. თერმოსარეგულაციო სისტემის დეზორიენტაციას.
2. ტანსაცმელს არ ძალუძს შეცვალოს სითბოს გაცემითი თვისებები.
3. სიცივეში ჭარბად ჩაცმისას ტანსაცმელი აუცილებლად ნესტიანდება.

**გირჩევთ!**

წელიწადის ცივ პერიოდში ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება უმნიშვნელო დისკომფორტით რომ გადაიტანოთ, გირჩევთ:

* ამ პერიოდში შეძლებისდაგვარად თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს.

* ეცადეთ დაისვენოთ დასვენების დღეებში.

* განსაკუთრებული ფიზიკური აქტივობა წელიწადის ცივ სეზონზე არ არის მიზანშეწონილი.

* უპირატესობა მიანიჭეთ ზოგადმოსამაგრებელ პროცედურებს.

* ადაპტოგენების მიღების დროა, ისეთების, როგორებიცაა კვერციტინები, მათ დიდი რაოდენობით შეიცავს ციტრუსთა ქერქი.

– სვით ასკილის ნახარში.

– სასარგებლოა ძილის წინ თაფლიანი თბილი რძის დალევა.

– ზოგი უპირატესობას მარწყვის მურაბიან ჩაის ანიჭებს, ამავე მიზნისთვის გამოდგება ნებისმიერი კენკრის მურაბიანი ჩაი.

– გუნება-განწყობილებას მნიშვნელოვნად გამოგიკეთებთ გულყვითელას, კრაზანას, პიტნის ან გვირილის ნახარში.

– სვით სამკურნალო მცენარეთა ბალზამები ჩაისთან ან რძესთან ერთად.

– მცირე რაოდენობით (100 მლ) გლინტვეინი ან პორტუგალიური პორტვეინი დასაშვებია საღამოს, ვახშმის შემდეგ.

– ზამთრის მოღუშული და ცივი დღეების ადვილად ატანასა და გადატანაში ხშირად მოიშველიეთ ავტოტრენინგი, შეახსენეთ თავს, რომ ზამთარი გავა და მალე გაზაფხული მოვა.

# შინ აივ-ინფიცირებულია

ადამიანის იმუნოდეფიციტის გამომწვევი ვირუსის აღმოჩენიდან დიდი დრო გავიდა, დედამიწაზე დაავადებულთა და ინფიცირებულთა რიცხვი სულ უფრო მატულობს.

ყოველი ზრდასრული ადამიანი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჩაუფიქრებია აივ-ინფიცირებულის ფსიქოემოციურ მდგომარეობას. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს მისი მძიმე ფიქრები, როცა დიაგნოზის დადასტურების შემდეგ ჯერაც ვერ ახერხებს ოჯახის წევრების თუ ახლობელი ადამიანებისათვის საშინელი „განაჩენის" გამხელას და განსაცდელის პირისპირ მარტოდ რჩება.

**პრობლემა №1 –**
**ვის გაანდონ საიდუმლო**
**ახალი ამბავი?**

დიაგნოზის დასმის შემდეგ აივ-ინფიცირებულთაგან უკლებლივ ყველა ერთი, უდიდესი ფსიქოლოგიური პრობლემის წინაშე დგება – გაანდოს თუ არა მის თავს დამტყდარი ამბავი ახლობელ ადამიანებს? გაუგებენ კი სწორად? როგორი იქნება მათი რეაქცია?

დასაწყისში ყველა დუმილს ირჩევს და უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის მარტოდ გაძლებას ცდილობს. დიაგნოზი „აივ-ინფექცია" მკაცრი განაჩენია, მძიმე დარტყმაა, რომელთანაც გამკლავებ ამქვეყნად ყველაზე ძლიერებსა და ამტანებსაც კი უჭირთ; ამიტომ საიდუმლოების გამხელის დროც დგება.

პაციენტები განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და ზრუნვას იმათგან ითხოვენ, ვისაც სხვებზე ადრე ამცნობენ სასტიკ დიაგნოზს.

აივ-ინფექციის მიმდინარეობა, უმეტესწილად, სწორედ იმ კლიმატსა და გარემოზეა დამოკიდებული, რომელიც ინფიცირებულის ოჯახში არსებობს. ამიტომ გარშემომყოფები უნდა ცდილობდნენ, მას კეთილსაიმედო, მშვიდი გარემო შეუქმნან, ყოველმხრივ აარიდონ კონფლიქტური სიტუაციები და მძიმე ფიქრები, უსიამოვნო განცდები გასართობ მოვლენებზე გადაატანინონ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ადამიანის იმუნოდეფიციტის გამომწვევი ვირუსი მხოლოდ ინფიცირებული სისხლის ჯანმრთელ ადამიანის სისხლის მიმოქცევაში მოხვედრის, სქესობრივი აქტის, დაავადებული დედიდან ნაყოფზე ორსულობის, მშობიარობისა და ძუძუთი კვების გზით ვრცელდება.

დაავადებულთა კატასტროფული ტემპებით მატების მიუხედავად, ჯერ არსად დაფიქსირებულა ინფექციის შარდით, ოფლით, ნერწყვით ან ცრემლით გავრცელების ფაქტი – დაუზიანებელი კანის საფარველი საიმედოდ იცავს ადამიანს ამ მრისხანე ინფექციის გამომწვევის ორგანიზმში შეჭრისაგან.

ჩვეულებრივ, ინფიცირებულს თავის მოვლის უნარიც შესწევს და შინ ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულების ძალ-ღონეც არ აკლია. ამიტომ ნუ აუკრძალავთ სახლში საქმიანობას – იგი ყოველთვის უნდა გრძნობდეს, რომ მისი შესრულებული საქმე ირგვლივ ყველას უწინდელივით სჭირდება.

**გასათვალისწინებელი აუცილებელი რჩევები:**

– ოჯახის წევრების დაინფიცირება შესაძლებელია მხოლოდ მიკროტრავმებით, ნაკაწრებით და ნახეთქებით დაზიანებული კანიდან ინფიცირებული სისხლის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ.



ამიტომ როცა სახლში აივ-ინფიცირებული ან შიდსით დაავადებულია, ოჯახის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კანის საფარველის მთლიანობას, განსაკუთრებით – ხელებზე.

საამისოდ აუცილებელია, ხელის კანის სპეციალური კოსმეტიკური კრემებითა თუ მალამოებით რეგულარული დარბილება. სასურველია, ფრჩხილები ყოველთვის ძირში იყოს მოჭრილი. სიფრთხილის ზომების დაცვის მიუხედავად, თუ კანზე ნაკაწრი, მიკროტრავმა ან ნახეთქი მაინც გაჩნდა, კანის ეს უბანი დაუყოვნებლივ უნდა დაიფაროს სპეციალური პლასტირით. კანის დაცვა საკუთარი თავის დაცვას ნიშნავს.

– დაავადებული ან ინფიცირებული ადამიანის პირნაღები მასით ან ექსკრემენტებით დასვრილი ოთახი უნდა დასუფთავდეს რეზინის ხელთათმანით. სოფლად ან ისეთ ადგილებში, სადაც ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა არ არის, ყველაფერი უნდა მოგროვდეს ერთად და დაიწვას.

ავეჯის დაბინძურებული მაგარი ზედაპირები ჯერ თბილი საპნიანი წყლით უნდა გაირეცხოს და შემდეგ კი 3-პროცენტიანი წყალბადის ზეჟანგით გაიწმინდოს. რბილ ავეჯს განსაკუთრებული გაწმენდა დასჭირდება.

– დაავადებული ან ინფიცირებულის სისხლით დასვრილ თეთრეულთან შეხება აუცილებელია ხელთათმანით, შემდეგ კი კარგად გამოხარშვა – გამოხარშვისას ვირუსი იღუპება;

– თუ სამკურნალო მიზნებისათვის პაციენტს ექიმი ბინაზე ჩასატარებელ სამედიცინო პროცედურებს უნიშნავს, საამისოდ განკუთვნილი ნებისმიერი სამედიცინო ინსტრუმენტი ცალკეა შესანახი, ხოლო მანიპულაციები უნდა ჩატარდეს ხელთათმანებით, ერთჯერადი გამოყენების ნივთებითა და შპრიცებით, რომელიც გამოყენების შემდეგ ცალკე პაკეტით უნდა გადაიყაროს;

– აბსოლუტურად უსაფრთხოა შიდსით დაავადებულ ან აივ-ინფიცირებულთან საერთო ტუალეტის, აბაზანით (არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ტუალეტისა და აბაზანის მდგომარეობა ჰიგიენური თვალსაზრისით, უნაკლო უნდა იყოს) ტელეფონითა და ჭურჭლით სარგებლობა, უვნებელია ხელის ჩამორთმევა და მეგობრული გადაკოცნა-გადახვევა;

ზოგადი წესი ასეთია: ნებისმიერმა უნდა შეძლოს და თავიდან აიცილოს ინფიცირებული სისხლის თავისი კანის დაზიანებულ ადგილებსა და ლორწოვან გარსებზე მოხვედრა, დანარჩენ შემთხვევაში, შეუძლიათ, თავი აბსოლუტურად უსაფრთხოდ იგრძნონ და გასაჭირში ჩავარდნილი ოჯახის წევრისადმი სათანადო ყურადღება, თავაზიანობა და სიყვარული სრულად გაიღონ.

**გვერდი მოამზადა**
**ზვიად ლონლაძემ**



# თავსატეხი



შვეულად: ამოკი, ადექი, ბაჭია, დაური, ეტაპი, იფანი, იძახა, კლიშე, ლინზა, ოპუსი, ქურთა, შაბტო, ჩვარი, ცინკი, ხაზვა, ჯარია, ჰავაი.

ჰორიზონტალურად: ამატი, ანწლი, ანდეკი, აფსკი, ბრიდი, ზუზგა, თეინა, იუნტი, მიუნა, ნოინი, პორშე, რანდა, სუმო, ტკაპა, ფლეში, ჭუშა, ღიდრი, ცეკვა, ძუნა, ხრამი, პიუკი.

# სამიდან ერთი



შვეულად: 1. კოხიკო, ბეკონი, ღუღუნა. 2. მეთოდი, პიხარი, ფენდა. 3. ფინალი, ბოკონი, სურათი. 4. ჩარხი, პასტა, ტაკი. 5. მენიუ, მენტრი, მუხტი. 6. ხუმარა, ჯახირი, ლეჩინი. 11. ზარბაცი, კორკოტი, ველვეტი. 12. პაკეტი, საგურა, მურაბა. 13. ტიპაჟი, პომადა, ეგგინი. 14. ნარინი, კოდაკი, ჭადარი. 16. ქირტი, ულაპი, ოპელი. 17. კრაზი, კლემა, კვიცი.

ჰორიზონტალურად: 3. ფაფუნაკი, ფოტოზალი, ფლეიტონი. 7. ტოლედო, ქუზილი, სამეთი. 8. ნიკოტინი, ბალაგანი, კატოფელი. 9. სომალი მედარა, მალედა. 10. ლეოპიზანა, მარათონი, პაპარაცი. 12. ფაზონი, პამური, საპონი. 15. პოეზა, პორშე, პალეტი. 18. დელფინი, სულთანი, კამარა. 19. კლარნეტი, პლაფონი, შტეკერი. 20. რიფენი, ლორინი, ნოდარი. 21. კრამანა, კრაველი, კრიზისი.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 17 | ■ | 25 | ■ | 5 | 9 | 8 | 32 | 9 | ■ | 7 |
| 6 | 2 | 31 | 14 | 20 | 2 | ■ | 18 | ■ | 12 | ■ | 20 |
| ■ | 29 | ■ | 12 | ■ | 30 | 9 | 20 | 2 | 9 | 12 | 2 |
| 25 | 11 | 27 | 11 | 27 | 18 | ■ | 8 | ■ | 16 | ■ | 21 |
| ■ | 20 | ■ | 20 | ■ | 21 | 9 | 2 | 6 | 2 | ■ | 19 |
| 25 | 2 | 23 | 2 | 13 | 2 | ■ | ■ | 14 | ■ | ■ | 2 |
| 9 | ■ | 14 | ■ | 20 | ■ | 10 | ■ | 22 | ■ | ■ | 7 |
| 1 | 18 | 28 | 2 | 9 | ■ | 4 | 9 | 2 | 9 | 4 | 2 |
| 2 | ■ | 9 | ■ | 26 | ■ | 2 | ■ | ■ | 24 | ■ | ■ |
| 3 | ■ | 20 | ■ | 13 | ■ | 20 | 18 | 30 | 2 | 21 | 2 |
| 2 | 3 | 2 | 7 | 9 | 20 | 2 | ■ | ■ | 20 | ■ | ■ |
| ■ | 13 | ■ | ■ | 13 | ■ | ■ | 33 | 14 | 18 | 6 | 9 |
| 16 | 9 | 21 | 10 | 2 | ■ | ■ | 9 | ■ | ■ | 18 | ■ |
| ■ | 15 | ■ | 23 | ■ | 1 | 9 | 12 | 1 | 11 | 13 | 9 |
| 10 | 2 | 20 | 9 | 18 | ■ | ■ | 9 | ■ | ■ | 2 | ■ |

ა 9
ბ
გ
დ-
ე-14
ვ-
ზ-
თ
ი 2
კ 1
ლ
მ-4
ნ-
ო-
პ-
ჟ
რ 20
ს
ტ
უ 11
ფ
ქ
ღ-
ყ
შ
ჩ
ც
ძ
წ-
ჭ-
ხ-
ჯ-
ჰ

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— შეიძლება თუ არა პირი გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვადების გასვლის გამო და რა ვადებია ეს?**

— დიახ, ეს შესაძლებელია და ამ ვადებს კანონმდებლობა ხანდაზმულობის ვადას უწოდებს.

უფრო კონკრეტულად;

სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვიტ,პირი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა/ ორი წელი იმ დანასაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ/ექვსი წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ/ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ-პრიმი/ თხუთმეტი წელი ამ კოდექსის 332-342 პრიმი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს;

დ/ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.



ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე. ახალი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება თითოეული დანაშაულისათვის.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება, თუ დამნაშავე დაემალა გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დინება განახლდება დამნაშავის დაკავების ან ბრალის აღიარებით გამოცხადების შემთხვევაში.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საკითხს, უნდა შეეფარდოს თუ არა ხანდაზმულობის ვადა უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

ამავე მუხლის მე- 5 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დინება შეჩერდება იმ ვადით, რა დროშიც პირს იცავს იმუნიტეტი.

* * *

ვინ ახორციელება შეწყალებას და რა შეიძლება მოხდეს შეწყალებით?

-შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად განსაზღვრული პირის მიმართ.

-შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ანდა მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

-სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

***— როგორია ნასამართლობის გაქარწყლების ვადები არასრულწლოვნის მიმართ?***

— სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, იმას, ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან ექვსი თვის სემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას - სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას — სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

# მოგონება

**დღეს 5 დეკემბერს 40 დღე შესრულდა ანზორ შონიას გარდაცვალებიდან.**

**სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა გაზეთ „თანადგომის“ მორიგი სპეციალური ნომერი (რედაქტორი ანზორ ბაბუხადია), სადაც გამოქვეყნებულია ანზორ შონიას მეგობრების, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების მისი ნიჭის თაყვანისმცემლების წერილები. გთავაზობთ ერთ-ერთ წერილს გაზეთ „თანადგომიდან“.**



## მოღვაწე

ანზორ შონიას დღენიადაგ ფიქრის საგანია ‘‘ერთი ეთნოსის მქონე, ჭეშმარიტი ქართველობა’’.

ამ გვირგვინის მოქარგვის განხორციელებული სურვილია მისი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ნაწერ-ნაფიქრი სტატიები და წიგნები: — ‘‘კოლხები – ქართველთა წინაპრები’’, ‘‘სვანური ენა’’, ‘‘ზანური (მეგრულ-ლაზური) ენა’’, ‘‘მეგრული ენა’’, ‘‘ქართული ეთნოსი’’, ‘‘ერთი სიმართლე სხვა სიმართლეს არ უნდა შეეწიროს’’, ,,დავუბრუნოთ საქართველოს თავისი ისტორიული სახელი ,,იბერია‘‘ (ჟურ. ,,საისტორიო ვერტიკალები‘‘, №1,2002წ.), ‘‘ეროვნული მნიშვნელობის საბედისწერო შეცდომა’’, ‘‘დიდი საქართველოს ტრაგედია’’, ‘‘ეგრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა’’, ‘‘აფხაზეთი – დანაშაულის ტოლფასი უთქმელობა’’, ‘‘რამდენიმე შენიშვნა რამაზ პატარიძის წიგნზე ‘‘ქართული ასომთავრული’’, ‘‘ღია წერილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს’’, ‘‘ლაზიკა და ლაზები – უდიდესი ქართული ტკივილი’’ და მრავალი სხვა, რომელთაგან ზოგიერთი რუსულ ენაზეცაა გამოქვეყნებული.

ამ ნაშრომებში (არა მარტო ჩემი აზრით) მრავალი საგანძური, მრავალი დასაფიქრებელი და მეტად საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული.

,,შენ ხარ კაცი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას სილამაზესა და ლაზათს მატებს!‘‘ — წერს და პროფესორი ლევან მახვილაძე ანზორ შონიას ახლახან გამოცემული წიგნის (,,კოლხები – ქართველების წინაპრები‘‘) კომენტარებში და მართლაც, ამნაირი მოღვაწეები განსაკუთრებით სჭირდება დღეს ჩვენს მამულს, ადამიანები, რომელთა მიზან-თვისებაა დაუოკებელი მისწრაფება იმისკენ, რომ თუნდაც ერთი აგური ჩადოს მამულის ერთიანობის ბალავარში.

ზაურ ფიფია

# zaur qobalias xsovnas

წავიდა სამუდამო სასუფეველში კიდევ ერთი მამულიშვილი.

ზაურის გარდაცვალება, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მისი ოჯახის, მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების, უახლოესი ნათესავების დანაკლისია. სწორედ ისინი არიან უმთავრესი ჭირისუფალნი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ზაურისთანა დიდბუნებოვანი კაცის დაკარგვა, იმგვარი საქვეყნო უბედურებაა, რომელმაც იმათაც ჩაგვწყვიტა გული, ვისთვისაც ზაური სისხლით და ხორცით, ნათესაობით კავშირში არ ყოფილა.

მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი ყოველთვის იყო საერთო სატკივარი და საერთო ბედნიერება. ამ არჩევანით იცხოვრა ზაურმა, არჩევანით, რომელიც მისგან დღემუდამ ღვაწლსა და მსხვერპლს მოითხოვდა და ისიც სამშობლოს საკურთხეველზე დანთებული სანთელივით იწვოდა და გზას გვინათებდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ისეთმა გრძნობამ დაისადგურა, თითქოს საიმედო რამ საყრდენი გამოგვაცალესო.

საერთო ტკივილი, რომელსაც ყველა პატრიოტის გული და გონება მოუცავს, იმითაა გამოწვეული, რომ მას იოტისოდენადაც არ უღალატია მიზნისთვის, რომელიც სრულიად ახალგაზრდა კაცმა არჩია ცხოვრების საზრისად. არა აქვს მნიშვნელობა რას საქმიანობდა: ქმნიდა არალეგალურ ორგანიზაციას საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან კავკასიის ხალხების განთავისუფლებისთვის; სასჯელს იხდიდა შორეულ მორდვეთში გადასახლების პერიოდში; იბრძოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევებისას თუ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეობის დროს...

ამ ცოდვითა და ბოროტებით სავსე წუთისოფელში ზაური იყო გამორჩეულად მართალი ხასიათის მქონე, სიმართლისათვის მებრძოლი, მადლით სავსე პიროვნება. ასეთი კაცის დანაკლისი, როგორც აღვნიშნეთ, საზოგადო, საქვეყნო უბედურებაა, მაგრამ ამ უბედურებას აასკეცებს ის გარემოება, რომ საქართველოს დიდმა ნაწილმა არ იცის, ვინ დაკარგა და რა დაკარგა. წინა რეჟიმების პირობებში ყველაფერი კეთდებოდა, რათა სამშობლოს არ სცოდნოდა თავისი ღირსეული შვილი.

ჩვენი ღრმა რწმენით, მისი ბიოგრაფიის მქონე ეროვნული მოღვაწის ეროვნული ცნობიერების ნაწილად ქცევა, უპირველეს ყოვლისა, ქვეყანას სჭირდება, რამეთუ ზაური იმ დიდ მამულიშვილთა შორის გვეგულება, რომელნიც ზეციური საქართველოდანაც გვწვრთნიან და გვამხნევებენ.

**საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრები**

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ვარდი



მისი დაჭერა რომ გაიგო, ძუ ვეფხვს დაემსგავსა – გაალმასებული ციხის კარებს ეცა და მთელი საქართველოს გასაგონად იკივლა:

– ჩემს მართალ ბიჭს თმის ერთი ღერი რომ ჩამოუვარდეს თავიდან, ჩემთან გექნებათ საქმეო.

ყოველდღე მოდიოდა, იდგა ციხის ეზოში და მის საკანს უყურებდა ცრემლით სავსე თვალებით.



„კანონიერ ქურდებს“ მისი მისამართით გინება და მუქარა დაუწყიათო – გაუგია საიდანღაც და სოზარიანლალიანად მთელი ციხის უფროსობა ფეხზე დააყენა – „მატროსოვში“ გადაიყვანეთ ჩემი ვაჟკაცი ბიჭი, თორემ აქ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებაო, – მოითხოვა.

– რემონტი გვაქვს იქ და როგორც კი მოვრჩებით, გადავიყვანთ, თუმცა აქაც დაცულად არის და არავითარი საშიშროება არ არსებობსო, – ლამის იყო ხატზე დაიფიცა სუბარმა და ისიც ცოტა დამშვიდდა, მაგრამ ციხის ეზო მაინც არ დაუტოვებია – რა იცი, ეშმაკს არ ძინავს, ამ ქურდებმა რაღაც რომ დააპირონ, აქ, მის გვერდით უნდა ვიყოო, – განაცხადა.



... ზედამხედველმა სარკმელთან მიიყვანა მართალი ბაჩო, ეზოში მწუხარედ მდგარი ქალი დაანახა და დანანებით უთხრა:

– რა ქალს ყვარებიხარ, შე გლახა, შენაო...

თეა თავგანწირულის (თუთბერიძის) შესახებ ვლაპარაკობდით...

# კოჰაბიტაცია

ახალი, მოდური სიტყვა გაჩნდა საქართველოში – კოჰაბიტაცია, რაც ურთიერთთანამშრომლობას, თანაარსებობას ნიშნავს.

ეს სიტყვა ჩვენმა დასავლეთმა მეგობრებმა დაამკვიდრეს ბოლო ხანებში და „ნაცმოძრაობამაც“ ისე ჩაებღაუჭა, როგორც წყალწაღებულს ხავსს.

– იკოჰაბიტაციეთ ძველმა და ახალმა ხელისუფლებამ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, იკოჰაბიტაციეთო, – მოგვიწოდებენ ჩვენი ძვირფასი და ღრმად პატივცემული დასავლეთელი მეგობრები.



ამათ, როგორც ჩანს, ვაჟა-ფშაველა არ წაუკითხავთ...

„ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“, – თქვა ვაჟამ.

ესენი – შეეკარითო, – გვაძალებენ...

შეეკარით და იკოჰაბიტაციეთ კიდევაცო.

ვისთან ვიკოჰაბიტაციოთ, კაცო, ამათთან?

კი, მაგრამ, რანაირად და როგორ უნდა მოვახერხოთ ახლა ეს?

გაგვძარცვეს, დაგვაყაჩაღეს, დაგვაჩმორეს, ციხეებში ჩაგვყარეს, შეურაცხგვყვეს და კიდევ ამათთან ვიკოჰაბიტაციოთ?

რას ერჩის და რას ემართლება ქართველ ხალხს პატივცემული დასავლეთი, ვერ გამიგია.

ძალად ხომ არ გინდათ თავი შეგვაძულოთ, თქვე დალოცვილებო?

თუ ასე გაგრძელდა, კიდევ ერთხელ გამოვა ეს ქართველი ხალხი ქუჩაში და ისე ხმამაღლა იტყვის თავის სათქმელს, ისე ხმამაღლა, რომ სიმართლე თქვენს დახშულ სმენას როგორმე მისწვდეს.

კარგი დრო დადგა – ჩაფისულებს შიშმა გაუარათ და გაფიცულები ვართო, – გამოაცხადეს.

გუშინ რომ ჩაფისულები იყავით, დღეს როგორ გახდით გაფიცულებიო? – კითხულობენ მოქალაქეები.

ცხრა წელი მონურად ითმენდნენ ყველაფერს წინა ხელისუფლებისგან და ახლა გუშინ მოსულ ახალ ხელისუფლებას სთხოვენ ოქროს კოშკების აგებას.

# ჩაფისულები და გაფიცულები



– საშიმშილოდ დავჯდებით და პირს ამოვიკერავო, – იქადნებოდნენ ვიღაც-ვიღაცები.

ეს პირის ამოკერვა მაინც რა ჯანდაბაა, სად ისწავლეთ, საიდან მოიტანეთ?

ცხრა წელი პირი გქონდათ ამოკერილი და ახლა ძლივს საინფორმაციო ღრუ რომ გაგეხსნათ, ისევ პირის ამოკერვას აპირებთ?

# ძველი ანდაზების თანამედროვე ვარიანტები:

ძველი ანდაზა – „სხვას ნუ გაუთხრი სამარეს, თორემ შიგ თვითონ ჩავარდებიო“





ძველი ანდაზის თანამედროვე ვარიანტები:

● სხვას ნუ ჩაუდებ ნარკოტიკს, თორემ დრო მოვა და შენ თვითონაც ჩაგედებაო.

● სხვას ნუ გაურჭობ „დუბინკას“, თორემ მოვა დრო და შენ თვითონაც გაგერჭობაო.



● რადგან ცხოვრება უნიტაზი არ არის, სხვას ნუ დაუპირებ ჩარეცხვას, თორემ მოვა დრო და შენ თვითონაც ჩაირეცხებიო.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ასტროლოგიური პროგნოზი


ვერძი – მთლიანობაში ეს პერიოდი თქვენთვის წარმატებული იქნება, თუმცა შესაძლოა, მოგიწიოთ გარკვეული დაძაბული საუბრები. თუ დასასვენებლად გამგზავრებას ვერ ახერხებთ, მაშინ მცირე ხნით განმარტოვდით.


კურო – თუ თქვენ ხელოვნებას რაიმე კუთხით ემსახურებით, მაშინ, შეეცადეთ, დასვენებაცოტა ხნით გადადოთ და ეს დრო გამოიყენოთ.


ტყუპები – მეტ-ნაკლებად წარმატებული კვირა გელით, მოსალოდნელია პერსპექტიული წინადადებების მიღება, ამიტომ ყველა საკითხი სერიოზულად უნდა გააანალიზდეს.


კირჩხიბი – შეეცადეთ ახალი არაფერი წამოიწყოთ და ცოტა ხნით ყოველდღიური საქმით შემოიფარგლოთ ან ჩაერთოდ დაისვენოთ.


ლომი – დაასტაბილურეთ ურთიერთობები გარშემომყოფებთან და პარტნიორებთან, ნუ იქნებით კონფლიქტური და ნუ შეეცდებით საკუთარი პირობების ხაზგასმას.


ქალწული – გააქტიურდება თქვენი საქმიანი ურთიერთობები, შეეცადეთ, არ იყოთ კრიტიკული და ზედმეტი ანალიზითა და აუდიტით მომავალი პარტნიორები არ დააფრთხოთ.


სასწორი – იყავით მშვიდი და დიპლომატიური, ამავე დროს შეეცადეთ, ამ პერიოდში ყველა პერსპექტივა თუ შანსი გამოიყენოთ.


მორიელი – კვირის დასაწყისი და კვირის ბოლო წარმატებული იქნება, ამ დღეებში მოსალოდნელია სასარგებლო შეხვედრები და მოლაპარაკებები.


მშვილდოსანი – მკვეთრად გაუმჯობესდება თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება.


თხის რქა – მოგიწევთ საკმაოდ ბევრი ინფორმაციის მიღება-გადამუშავება, თუმცა, მოსალოდნელია აქ ცრუ და ფსევდო-ინფორმაციებიც იყოს.


მერწყული – ამ კვირაში გარკვეული გამართლების ალბათობაც გექნებათ, მოსალოდნელია სასიამოვნო ინფორმაცია მიიღოთ უცხოეთიდან.


თევზები – ეს კვირა საკმაოდ მშვიდ ტემპში ჩაივლის და რაიმე გართულებას ადგილი არ ექნება. მოგიწევთ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტა. შესაძლოა საჩუქრებიც მიიღოთ.

## ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები: სკანვორდი

1. დეგოლი. 2. პროტონი. 3. პულვერიზატორი. 4. ტაიტი. 5. ნეკროპოლი. 6. ოსასუნა. 7. ვექტორი. 8. ტიმბერლეიკი. 9. ტერმიტი. 10. ტეფტი. 11. პიკადორი. 12. სხალთა. 13. ღამე. 14. ზაფხული. 15. ბრინჯი. 16. ეკიპაჟი. 17. ზღარბი. 18. კერატი. 19. სინატრა. 20. პატრონატი. 21. ტივტივი. 22. ნავსადგური. 23. ლიოტა. 24. თასი. 25. ტუტსი. 26. ენტევე. 27. ხოტორა. 28. კიკო. 29. ბადიმი. 30 ბრუცელოზი. 31. დიმი. 32. მინდია. 33. ნიორაძე. 34. რანდევუ. 35. ავანსი. 36. ნავარდი. 37. იუგოსლავია. 38. ნარჩიტა. 39. საბარგული. 40. კამზოლი. 41. ვისტი. 42. ბუძგი. 43. კრეისერი. 44. ზაზუნა. 45. კონტეინერი. 46. ივდითი. 47. ყაყანი. 48. ნალბანდი. 49. გონიერი. 50. იასი. 51. სპლიყვი. 52. ბაკურიანი. 53. პერევი. 54. ბრავია. 55. სარდალი. 56. ბენგური. 57. სანი. 58. ქავილი. 59. რადარი. 60. ჯილაგი. 61. საკო. 62. ჟირო. 63. კასრი. 64. თოხი. 65. ჯეილო.


# მილოცვა

ალეკო ტუსიაშვილს,

მეგობრები — კახი, თიკო, თამუნა და „მუხამბაზის“ პერსონალი ვულოცავთ იუბილეს. ვუსურვებთ ყველაფერს საუკეთესოს და ლამაზს.

